

ბიზნესი ი წა კარიბების ლოგი

ივნისი 2010

სამეცნიერო,
პრატისტურ-პრაქტიკული ჟურნალი
რევიურული 2008 წლიდა

WWW.B-K.GE

შურალი ხელმძღვანელობს თავისუ-
ფალი პრესის პრინციპებით. ჩატარების
უზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემოვლე-
ოდას ავტორისას. შემოსული სტატიების
შენარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე
აკსენტირდებან ავტორი.

რედაქტორის მისამართი:

თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22.
ტელ: 10-26-28; 98-71-25.
ტელ./ფაქსი: 98-39-30; 8(99)79-00-34.
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: inovacia@caucasus.net

გამოშეველი: სამართლებრივ სახელი „ინოვაცია“

რედაქტორის საჭრის თავმახრანი:

ზაუქან ნაჯუბია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასქეა, ეკონომიკის აკადემიუმის მოქამახი

სამართლებრივ საჭრი:

ეკონომიკის მეცნიერებათა მოქამახი, პროფესორი:
ივან მასხის (თავმჯდომარე), ნობერ ჭითანავა,
ვაჟავა მავალიშვილი, ჯავათი გამილიშვილი, ნობერ ხალაში,
პატარ კოლეგიშვილი, ლათანა კოტიაშვილი, ანზონ აბასიავავა, ნატო ა-
ნაშვილი, ნანა შონია, ვაზანი ბაქათაშვილი, ლავით აცალონია,
თავაუ ხომალიშვილი, ნაზინა ლაპალია, ლალა ალაცავა, ნიკოლოზ
ჩილაძე, თამაზ ჯავახელია, ლაქისა თავალაძეა, ბიორბი ლავათაძე,
ლაშვილი ჩიბუჩანიძე, მაჩაბ ვანიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევე-კონფესიონური
უნივერსიტეტის სიცაბაძე.

პოლიტიკის მეცნიერებათა მოქამახი, პროფესორი:
ვაჟა შაბათიძე, ავთანელი ბუსხიანიძე,

იურიდიკის მეცნიერებათა მოქამახი, პროფესორი
რობერ მაცნავაძე,

ფინანსოფიკის მეცნიერებათა მოქამახი, პროფესორი
ალექსანდრე ალანია,

პედაგოგიკის მეცნიერებათა მოქამახი, პროფესორი
მარია თავალიძე.

ბანკების ზოგლიერი (ბექრინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იმპრა ფიზიკი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალექსანდრე ექვინის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი),

ალექსანდრე ბაქრაძეს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

კონკრეტული:

თამაზ იაშვილი, სულიერ ფუნქციაზე, ანთონ მესხიშვილი

მარკეტინგის სამსახური:

მაკა ახახამია, მზია ნაჯუბია.

საბანკო რეკორდები:

საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
ა/ა: № 400467916;

კოდი: 220101502.

რეგისტრირებულია სასამართლოში;

რეგისტრაციის №06/4-1521°

ვასი 10 ლარი

www.penetron.ge ♦

www.penetron.ge ♦

www.penetron.ge

თვალსაზრისი	
იური პაპასძეა	
გადავადებული გადასახადები	3
საქმიანი წილადაღები	
ახორ მასებიშვილი	
რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსი?!	8
ექსარტის კომეტარი	
ახორ საკაცლებიძე	
ახალი საგადასახადო კოდექსის შუქრდილები	11
თვალსაზრისი	
ბორის ჭიჭინაძე	
როგორ გამოვასწორებთ „ძველით“ გაფუჭებულს?	13
აღრიცხვა-ანგარიშება	
აცელი ხორავა	
როგორ მოვამზადოთ და წარვადგინოთ ფულადი ნაკადების ანგარიშება	17
მარიამ ვარდიაშვილი	
არაწარმოებული აქტივების აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში	23
თვალსაზრისი	
ნოდარ ჭითაძეა	
უნდა ავირჩიოთ პრიორიტეტები	27
SOS!	
პაატა კოლუაშვილი, გიორგი ზიგზიგაძე	
ვმო-ს „რაუნდები“ და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა	33
ბიზნესი	
სათურა ჯოსაძე	
ბიზნესის განვითარების პირობები და პერსპექტივები საქართველოში	39
ვინახები	
ნატო პეპიაშვილი	
ფირმის ფინანსური დიაგნოსტიკა	42
ბირჟაურნალები	
ეკა ჯიმშება	
დაუით ჩაჩანიძე: სჯობს მოსავალი უფრო	

ნაკლები და ხარისხიანი იყოს, ვიდრე, ბევრი და ჯანმრთელობისთვის საშიში	44
PR	
ეკა ჯიმშება	
„ამბოლი“ – ხარისხიანი ავტონანილების გარანტი	48
„ელგასი“ მაღალი ხარისხი, დაბალი ფასები	50
თვითმმართველობა	
ჯავახით გათირიშვილი, ლეონა გათირიშვილი	
თვითმმართველობის პროექტის პლიუსები და მინუსები	51
პერსონული სექტორი	
დავით გამუკალაშვილი, პაატა კოლუაშვილი	
თემის სამეწარმეო მობილიზაცია სოფლის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მექანიზმი	54
ლეილა გაგანავა, თემიზ ლაშვილიანი, ლალი შოშიაშვილი	
საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის	59
თამარ ლაზარიაშვილი	
მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში	61
მასიმოვება	
უზავი სამადაშვილი	
გზა საქართველოს ეკონომიკის ლარიზაციიდან „გლობომდე“	64
ინფორმაციული სისტემები	
ლერი ნოზაძე	
საწარმოთა ბიზნეს-პროცესების მართვის ინფორმაციული სისტემები	70
ქრისტიანაშვილი გუმი	
ნელი სესაძე	
სინერგიული ეფექტები ეკონომიკაში	73
„პიზნეს-მაცნე“ ქურნალი ქურნალი	

გალავალებული გალასახალები...

**გადაუდებელი გასაჭირი,
თუ თავსმოხვეული პრობლემა**



იური კაპასჩუა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი

საქართველოში (ისევე, როგორც რამდენიმე სხვა ქვეყანაში) ცალკეული სამეცნიერო სუბიექტები საგადასახადო მიზნებისთვის შემოსავლებსა და ხარჯებს აღრიცხვავენ ფასს-ის მოთხოვნებისგან განსხვავებულად. პრაქტიკაში დამკაიდრულა ცნება - **გადავადებული გადასახადები**, გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (აქტივები). ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი და გასაგები ამ ეკონომიკური ყაფების მიღმა იმალება ძალიან რთულად აღსაქმელი არსი, კიდევ უფრო რთულად გასაანგარიშებული და აღსალრიცხი ოპერაციები. ფაქტობრივად, სამეცნიერო სუბიექტებს უხდებათ ცალ-ცალკე საგადასახადო და ფინანსური

ბუღალტერიის წარმართვა. აქედან, პირველი აღმინისტრუციულ კონტროლს ექვემდებარება და შესაბამისად, გამოვლენილ დარღვევა-ნაყლოვანებებზე მქაცრია პასუხისმგებლობაც (ჯარიმები, სანქციები, საურავები), მეორე კი - ფასს-ზე დაფუძნებული ფინანსური ანგარიშება, ჰაერივით სჭირდება პარტნიორებს, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, მომწოდებლებს, კორელირობულებს და ა.შ. ფინანსურ ანგარიშებაში ასახული ინფორმაცია გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად. ორივე სახის აღრიცხვა სავალდებულოა, სჭირდება სათანა-დო კვალიფიკაცია, ადამიანური და დამატებითი მატერიალური რესურსი.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ეს არის დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული, მომავალ საანგარიშებო პერიოდებში გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხა;

გადავადებული საგადასახადო აქტივები არის მოგებიდან გადასახადების თანხა, რომელიც უნდა აღდგეს მომავალ საანგარიშებო პერიოდში:

ა) გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან გამომდინარე;

ბ) გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანის გამო;

გ) გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის მომავალ პერიოდში გადატანასთან დაკავშირებით.

დროებით სხვაობას უწოდებენ ბალანსში ნარდენილი აქტივის, ან ვალდებულების საბალანსო ლირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის განსხვავე-

ბის თანხას. დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება იყოს ორნაირი:

ა) დასაბეგრი დროებითი სხვაობა, რომელიც უნდა დაემატოს მომავალ საანგარიშებო პერიოდებში საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხას, როდესაც აქტივის, ან ვალდებულების საბალანსო ლირებულების ამოღება, ან დაფარვა მოხდება;

ბ) გამოსაქვითი დროებითი სხვაობა, რომელიც მომავალ საანგარიშებო პერიოდებში უნდა გამოიქვითოს საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხიდან, როდესაც აქტივის, ან ვალდებულების საბალანსო ლირებულების ამოღება, ან დაფარვა მოხდება.

სააღრიცხვო მოგება არის საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგების, ან ზარალის თანხა საგადასახადო სარჯის გამოქვითვა მდგრადი გადასახდელი (დასაბრუნებელი) მოგებიდან გადასახდის თანხა;

საგადასახადო (დასაბეგრი) მოგება (საგადასახადო ზარალი) არის შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული საანგარიშებო პერიოდის მოგება (ზარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახდის გადახდა (დაბრუნება);

საგადასახადო ხარჯი (საგადასახადო შემოსავალი) არის საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგების, ან ზარალის განსაზღვრისას გამოიყენებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა;

მიმდინარე გადასახადი არის საანგარიშებო პერიოდის საგადასახადო მოგებიდან (საგადასახადო ზარალიდან) გადასახდელი (დასაბრუნებელი) მოგებიდან გადასახდის თანხა;

აქტივის, ან ვალდებულების საგადასახადო ბაზას უწოდებენ იმ თანხას, რომელიც გამოიყენე-

ბა მოცემული აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო მიზნებისათვის.

განმარტებების ასეთი საფეხურებიანი თანმიმდევრობა დაგვჭირდა იმისთვის, რომ გავიგოთ და ერთად ჩამოვყალიბდეთ განსახილველ საკითხზე, რომელიც ნებისმიერი სამეწარმეო სუბიექტისთვის, მართლაც, მწვავე პრობლემაა:

ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც წარმოიქმნება გადავალებული საგადასახადო ვალდებულება, ან გადავადებული გადასახადები, საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი განსხვავების არსებობაა: „ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კერძო სამართლის იურიდიული პირი (მცირე სანარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა) ვალდებულია ბულალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ანარმოს ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ბულალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შესაბამისად“, რაც პირველყოვლისა, ნიშნავს ბულალტრული აღრიცხვის ფუნქციების პრინციპების, მათ შორის, რეალიზაციის (და-

რიცხვის) პრინციპის სავალდებულო გამოყენებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს სამეწარმეო სუბიექტის მიერ შემოსავლების აღიარება-ასახვას აქტივის (საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის) მყიდველზე გადაცემის, ან მომნებისმიერი სამეწარმეო სუბიექტისთვის, მომსახურების განევის მომენტში;

ამავდროულად, მოქმედი საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, სამეწარმეო სუბიექტი (გადასახადის გადამხდელი) ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშებო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და განევა იმგვარად, რომ ცხადად აისახოს დასაბეგრი შემოსავალი (მოგება);

როგორც აქედან ჩანს, ბასისისა და საგადასახადო კოდექსის მიხედვითაც შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების პრინციპები ემთხვევა ერთმანეთს – ორივე შემთხვევაში დასაბეგრი მოგება (შემოსავალი) უნდა განისაზღვროს დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, თუმცა, საგადასახადო მიზნებისთვის დასაბეგრი შემოსავალი (მოგება) იანგარიშება როგორც სხვაობა

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის. ამასთან, დასაბეგრი შემოსავლების გამოსათვლელად გამოიყენება ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმები; წარმომადგენლობითი, საქველმოქმედო, მივლინების, კრედიტისთვის გადახდილი, ან/და გადასახდელი საპროცენტო, რემონტის და სხვა ხარჯების გამოქვითვის მიმართ დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები, ხოლო, ის ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, გართობის ხარჯები, საეჭვო ვალები, საგადასახადო ჯარიმები, სანქციები, საურავები, მოგების, ან საშემოსავლო გადასახადის გადახდისა განთავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა, მიზნობრიობის მიუხედავად, საერთოდ არ ითვლება გამოსაქვით ხარჯად.

საგადასახადო პოლიტიკა ეფუძნება და ხელმძღვანელობს იმით, რომ გადასახადი არის ბიუჯეტში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადასახის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის ცნების განმარტებიდანაც ჩანს, რომ ადმინისტრირების ინტერესები გადამხდელის ინტერესებზე უფრო მაღლა დგას და ამ მიღვომას სრულად ესადაგება დარიცხვის მეთოდი: გადასახადის გადახდის ვალდებულება გადამხდელს წარმოების შემოსავლების ფაქტორივად მიღებისა და ხარჯების განევის მომენტის მიუხედავად. მარკეტინგული მოსაზრებით, თუ კონკურენტულ გარემოში მომსარებლის მოზიდვის მიზნით, ღირებულების ანაზღაურება ყოველთვის არ ემთხვევა აქტი-



ვის მიწოდების, მომსახურების განევის, ან სამუშაოს შესრულების დროს. დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას სამენარმეო სუბიექტზე მთლიანად გადადის ანაზღაურებასთან დაკავშირებული რისკი და ის შესაბამის გადასახადს წინასწარ იხდის მომავალში მისალებ სარგებელზეც კი, რაც მენარმეთა ფართო წრის ინტერესს, რპილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება.

ნებისმიერი სამენარმეო სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობის უმთავრესი მიზანი მოგების მიღებაა. აქედან გამომდინარეობს გაფართოებული კვლავწარმოების, ინვესტიციების მოზიდვის, ტექნოლოგიების სრულყოფის, კონკურენტიანი პროდუქციის წარმოების, ახალი მოთხოვნების ათვისებისა და დაკამაყოფილების, ბიზნეს-გარემოს პრობლემათა გადაწყვეტის მოტივაცია. ამდენად, მოგების მიღების პრეზუმცია ერთდროულად ბიზნესისა და შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას (ქვეყნის საერთო სოციალური კეთილდღეობის ამაღლებას) ემსახურება.

სამენარმეო სუბიექტისთვის მოგება მხოლოდ რეალურად მიღებული შემოსავალია და არა ის, რაც შეიძლება მომავალში ვერც მიიღოს. მენარმე მოგებას მარტივად ითვლის:

მოგება (ზარალი) =

შემოსავლები - ხარჯები

ამაში არის ორგიკა (მიმზიდველიც და რეალურობაც), თუმცა, ისიც უნდა ვალიაროთ, რომ ზოგადად, საგადასახადო მიზნებისთვის, დარიცხვის მეთოდის პრინციპი და გამოყენები დაკამაყოფილი იყო (კვლეული არ იყო შემოსავლების მიზნების მიერთვება). ამ უნდა შეცდომის გამო დაკისრებული ჯარიმები, სანქციები, საურავები კი – მხოლოდ ფინანსურ ხარჯს მიეკუთვნება. ამ ფაქტს შეიძლება მოუქებნო (აქვს კიდევაც) ახსნა, მაგრამ ზოგადად, სახეზე უფრო არსებითი, რაც ასეთი შეზღუდვებიდან გამოდინარეობს: ეს არის სირთულე, ზოგჯერ – ზომაზე მეტი სიმკაცრე, ცალმხრივი (მხოლოდ ადმინისტრატორისთვის ხელსაყრელი) პირობების დომინირება, რაც გადამხდელს ტკირთად აწვება. საერთოდ, არის კი ასეთი განსხვავების არსებობა მიზანშეწონილი? რამდენად ემსახურება ასეთი დაპირისპირება ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს?

სასვენებლად გამგზავრებაც ამ ხარჯს ჩამოეკიდებოდა და ა.შ.

ცხადია, არსებობს წარმოების ინტერესები და კონტროლის მექანიზმებიც, მაგრამ რეალობაში, ჩვენში დამკვიდრებული მენტალიტეტიდან გამომდინარე, გადასახადის არ გადახდის (დამალვის) მოტივაცია ხარჯების გაზრდის, მათში პირადი ან ჯგუფური ინტერესების ჩართვის მიმართულებით მუდმივად მუშაობს. ამდენად, შეზღუდვების დაწესებაშიც პრაგმატული მიდგომებია ჩადებული, თუმცა, არის გაუგებარი (არაერთდგვარი) მიდგომაც, მაგალითად, სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შედეგად გადახდილი ჯარიმები, სანქციები, საურავები გამოსაქვითი ხარჯია, ხოლო გადასახადის გადაუხდელობის, დაგვიანების, ან უნებლიერ შეცდომის გამო დაკისრებული ჯარიმები, სანქციები, საურავები კი – მხოლოდ ფინანსურ ხარჯს მიეკუთვნება. ამ ფაქტს შეიძლება მოუქებნო (აქვს კიდევაც) ახსნა, მაგრამ ზოგადად, სახეზე უფრო არსებითი, რაც ასეთი შეზღუდვებიდან გამოდინარეობს: ეს არის სირთულე, ზოგჯერ – ზომაზე მეტი სიმკაცრე, ცალმხრივი (მხოლოდ ადმინისტრატორისთვის ხელსაყრელი) პირობების დომინირება, რაც გადამხდელს ტკირთად აწვება. საერთოდ, არის კი ასეთი განსხვავების არსებობა მიზანშეწონილი? რამდენად ემსახურება ასეთი დაპირისპირება ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს?

პრობლემის სიმტკიცე უფრო მეტად იგრძნობა მრავალპროფილიან სამენარმეო სუბიექტებში, განსაკუთრებით – სააქციო საზოგადოებებში, რომლებსაც აქვთ საქმიანობის ფართო სპექტრი და სამეურნეო ოპერაციათა დიდი რაოდენობა.

ზოგადად, საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის განსხვავების და კონკრეტულად, გადავადებული გადასახადის გაუფრთვისწინებლობა მიმდინარე

პრობლემებსაც წარმოქმნის: ინვესტიციების დამახინჯებას და იმ ვალდებულების აულიარებლობას, რომელიც გაბერილ მოგებაზე დაფუძნებული, ოპტიმისტური დივიდენდების გადახდას მოჰყვება (საბოლოოდ, გადავადებული გადასახადი მაინც ვალდებულება გახდება). გარდა ამისა, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების გაუთვალისწინებლობით მოგების გაზრდა განაპირობებს სანარმოს საქმიანობის შედეგების ორი მნიშვნელოვანი მაჩვენებელის: ერთ აქციაზე (წილზე) შემოსავლის მაჩვენებლისა და აქციის (წილის) საბაზო ფასი/აქციაზე (წილზე) შემოსავლთან კოეფიციენტის დამახინჯებას.

აღნიშნულის მთავარი მიზეზი ისაა, რომ გადავადებული გადასახადის აღიარება მოითხოვება დარიცხვის პრინციპით.

როგორც ჩანს, დარიცხვის მეთოდის პრინციპები სახელმწიფოს ინტერესებთანაც თანხვედრია, რამდენადაც ეს მას შემოსავლების მიღების გარანტირებულ შესაძლებლობას უქმნის და ის, რაც ფინანსური ანგარიშების მომზადებისთვის მართლაც ფუნდამენტური კონცეფციაა, საგადასახადო მიზნების რეალიზაციისას მენარმის წინააღმდეგ მუშაობს: საგადასახადო მოგება ფაქტორივად არ ემთხვევა (ხოლო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ის ყოველთვის აღმატება) ფასს-ზე დაყრდნობით განსაზღვრულ სააღრიცხვო მოგებას. სახელმწიფო ყველა შემთხვევაში (მცირედი დაგვიანებით, მაგრამ) შეუფერხებლად მაინც მიღების შემოსავლებს და გადამხდელის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობაც კი მისთვის უფრო ხელსაყრელია – ამ გზით, ადმინისტრირების მკაფიო მექანიზმის გამოყენება მისაღებ გადასახადებზე ბევრად მეტი თანხის ამოღების შესაძლებლობას უქმნის.

საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის საკანონმდებ-

ლო აქტებით დადგენილი განსხვავებები შეიძლება გამოწვეულიყოს მუდმივი, ან დროებითი ფაქტორებით. მუდმივი სხვაობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოგებისადა ზარალის ანგარიშგებაში ასახული ხარჯი არ წარმოადგენს ხარჯს საგადასახადო მიზნისთვის. დროებით სხვაობებს კი მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სანარმოს ხარჯების გამოქვითვის უფლება აქვს როგორც საგადასახადო, ისე სააღრიცხვო მიზნებისთვის, მაგრამ გამოქვითვის დროა განსხვავებული. ყოველ მათგანს აქვს ახსნა, მაგალითები და შესაბამისი ბუღალტრული გატარებები. მათი განსილვა შორს წაგვიყვანს. (ისინი სახელმძღვანელოებში, ცალკეული ავტორების ნაშრომებში საკმარისად ვრცლად არის წარმოდგენილი).

ბასს-ც აღიარებს ასეთ განსხვავებას. კერძოდ, ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები, განსაზღვრავს მოგებიდან გადასახადების ბუღალტრული აღრიცხვის წესებს. მათში განსაკუთრებით პრინციპული საკითხად წარმოდ-

გენილია მიმდინარე და მომავალი პერიოდის საგადასახადო დაბეგვრის შედეგების ასახვა, რომელიც გამოწვეულია: სანარმოს ბალანში აღიარებული აქტივების (ვალდებულებების) საბალანსო ლირებულების ამოღლებით (გადახდით) მომავალში და სანარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული მიმდინარე სამეურნეო ოპერაციებითა და სხვა მოვლენებით.

როგორც ამ სტანდარტშია აღნიშნული: „აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების პროცესში არსებითია ის, რომ ანგარიშვალდებული სანარმო ვარაუდობს აქტივების, ან ვალდებულებების საბალანსო ლირებულების ამოღებას, ან დაფარვას. თუ მოსალოდნელია: აქტივების, ან ვალდებულებების საბალანსო ლირებულების ამოღება, ან დაფარვა მომავალში გამოიწვევს გადასახადების გაზრდას (შემცირებას), იმასთან შედარებით, რომ არ ხდებოდეს აქტივებისადა ვალდებულებების ამოღება-დაფარვის დაბეგვრა, სტანდარტი

სანარმოს ავალდებულებს აღიაროს გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (გადავადებული საგადასახადო აქტივი), გარკვეული მცირე გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

მოცემული სტანდარტი მოითხოვს, რომ სანარმომ სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების საგადასახადო დაბეგვრის შედეგები ისევე ასახოს, როგორც თვითონ სამეურნეო ოპერაციები და სხვა მოვლენები. ამგვარად, როგორც კი რომელიმე სამეურნეო ოპერაცია, ან მოვლენა აღიარებული და ასახული იქნება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მაშინვე უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დაბეგვრის შედეგების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. იმ ოპერაციებისა და მოვლენებისთვის, რომელიც პირდაპირ აისახება სანარმოს საკუთარ კაპიტალში, შესაბამისი საგადასახადო დაბეგვრის შედეგებიც პირდაპირ უნდა აისახოს ამავე ანგარიშზე. ანალოგიურად, გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება სანარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით, გავლენას ახდენს ამ საქმიანობიდან წარმოშობილი გუდვილის თანხაზე, ან, იმ თანხაზე, რითაც მყიდველი სანარმოს ნილი შეძენილი სანარმოს იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ნეტო რეალურ ლირებულებაში აღემატება სანარმოთა გაერთიანების ლირებულებას.

ამ სტანდარტში განხილულია აგრეთვე გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარების წესები, მოგებიდან გადასახადებისა და მასთან დაკავშირებული განმარტებითი ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის საკითხები“.



სხვა სტანდარტებს შორის, ეს სტანდარტი, ისევე, როგორც გადავადებული გადასახადების არსის აღქმა, ყველაზე რთულია, თუმცა, **პას 12** განმარტავს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ ტერმინებს, მასში აგრეთვე დეტალურადაა აღწერილი მოგების გადასახადთან დაკავშირებული ყველა საერთო მაგალითი, თუ შემთხვევა და ბულალტრული გატარება.

სირთულეს ქმნის არა ის, რომ აქ გადმოცემული შინაარსი (განმარტებები, მაგალითები, გატარებები) გაუგებარია, არამედ, გადავადებული ვალდებულებების (აქტივების) და აქედან გამომდინარე, გადავადებული გადასახადის გამომწვევი ფაქტორებია ბევრი. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობაში დაუსრულებლად შედის ცვლილებები (იზრდება, მკაცრდება შეზღუდვები, ან თუნდაც მარტივდება სამოქმედო ნორმები), რასაც მუდმივი მიყურადება სჭირდება, მოითხოვს დროს, ენერგიას, გამოცდილებას...

პას 12-ის მიღება დაკავშირებული იყო ცალკეული ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებთან და მან ფაქტობრივად ხელი შეუწყო საგადასახადო აღრიცხვის თანაარსებობას ფინანსურ აღრიცხვასთან. თავად ეს დოკუ-

მენტი და ცალკეულ ავტორთა მეცადინება მიმართულია იქთიკენ, რომ აისხნას არსებული განსხვავების არსი, კონკრეტულ ოპერაციას მოეძებნოს რაციონალური გადაწყვეტა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებითაც საჭიროა კვლევის გაგრძელება, თუმცა ვფიქრობ, უფრო მიზანშენონლივ საერთო ძალისხმევა წარიმართოს საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი განსხვავების აღმოფხვრისკენ, ყოველ შემთხვევაში – განსხვავებათა დაახლოების, ან მინიმიზაციისკენ.

თუ ჩაუკვირდებით, ძირითადი შეუსაბამობა და განსხვავება მხოლოდ ცალკეული სამეცნიერო ოპერაციის ხარჯად აღიარების შეზღუდვებში ვლინდება (სწორედ აქ არის პრობლემის დასაწყისი). ერთობლივი შემოსავლი კი საგადასახადო მიზნებისა და სააღრიცხვო მოგებისთვის ერთნაირად იანგარიშება. ამდენად, მთავარი და მინიჭნელოვანია ხარჯად აღიარებაში არსებული განსხვავების დაძლევის ამოცანის გადაწყვეტა.

მხარეთა ინტერესები იმდენადაა პოლარიზებული, რომ ეს ამოცანა არც ისე მარტივი, თუმცა, მოგვარებადია. მით უმეტეს, მზადდება ახალი „რევოლუციური კოდექსი“, რომელიც შემომ-

ქმედთა მიერ დეკლარირებულია, როგორც გამარტივებისკენ, გადამხდელთა ფართო წრის ინტერესების უზრუნველყოფისკენ მიმართული აქტი. ამდენად, ამ პრობლემის წამოწევა ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების წინ, ვფიქრობ, დროულია. სწორედ ახლა, ამ აქტში უნდა შევიდეს კონცეპტუალური ცვლილებები, რომელიც მოხსნის ცალკეულ შეზღუდვებს და საგადასახადო აღრიცხვას მინიჭნელოვნად დაახლოებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან.

საფრიროა ცალკეული ოპერაციის (შეზღუდვის) დადებითი, თუ გვერდითი მოვლენების საფუძვლიანი ანალიზი და დაპირისპირებულ პოზიციათა დაახლოებისკენ მიმართული ნების გამოხატვა. ვფიქრობ, შედარებით მარტივია დროებითი განსხვავებების დაძლევაში კომპრომისების მიღწევა, რამდენადაც აქ დროში მცირედი დაგვიანებით წონასწორობა ისედაც ბალანსდება. ამიტომ, დაახლოების პროცესი სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. **მუდმივი განსხვავებების** წარმომქმნელი შეზღუდვები კი მეტ დაფიქრებას მოითხოვს, თუმცა, მათი შერჩილება (მუალედურ ვარიანტზე შეთანხმება), აუცილებელია და აქედანვე უნდა გადაიდგას ნაბიჯები.

ANNOTATION

DEFERRED TAXES...

EMERGENCY TROUBLE, OR THE PROBLEM OF FORCED

I.Papasqua,
Academic Doctor of Economic

Deferred tax liability, or defferd taxes for any business subject is the problem of forced, which is created between tax and financial registration, because of differences established by legislative acts.

For the expence recognition of individual agricultural operations limitations established by the Tax Code and deffered tax demand for the recognition of accrual method, which is fundamental concept for the preparation of financial statements, realizations tax purposes is

working against the employer: Tax request disagree (rare exceptions, its always more) with determined accounting profit referenced on IASB.

Is it expedient such existence of differences? How does such confrontation serves the development of economic perspectives?

This article represents the authors opinion about the necessity of solving the task and about the close roads of tax accounting with financial.

რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსი?

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ჩემის აზრით, სერიოზულ დამებავებასა და სრულყოფას მოითხოვს. პროექტი ბევრი მუხლი და უნეტი გაუგებარი და ბუნდოვანია, მეტიც არის ურთიერთსანინააღმდევო მუხლებიც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ყველაფერი შეგნებულადაა გაუთებული, რომ საგადასახადო ინსპექტორის სამუშაოება ჰქონდეს ყოველთვის გამოედავოს გადასახადის გადამხდელს.

ახალი საგადასახადო კოდექსი მთელი რიგი საკითხების დადგენას, რომელიც მოქმედ საგადასახადო კოდექსში ისე-დაც დადგენილია, ავალებს საქართველოს მთავრობას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაც მიზანშენონილი ნამდვილად არ არის. სჯობს, არ ავჩერდეთ დავადგინოთ ის, რაც საჭიროა და პასუხისმგებლობას სხვას ნება გადავულოცავთ!

სურვილი მაქს გამოვთქა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ პროექტან დაკავშირებით, კერძოდ:

- პროექტიდან მთლიანად ამოღებულია ადგილობრივი გადასახადების, მინაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები და მისი დადგენა დავალებული აქვს საქართველოს მთავრობას, რაც ჩემის აზრით, დიდი დანაკლისი იქნება ახალი საგადასახადო კოდექსისთვის. მიზანშენონილად მიმართა, მინაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები დარჩეს ისე, როგორც ეს მოქმედ საგადასახადო კოდექსშია. თუ გადასახადის საბაზისო განაკვეთების გაზრდა, ან შემცირებაა საჭირო, ეს გაკეთდეს ახალ კოდექსში.

- მოქმედ საგადასახადო კოდექსში 2009 წლის ივლისამდე მინა დღგ-ს მიზნებისთვის არ განეკუთვნებოდა საქონელს. 2009 წლის ივლისიდან კი ფორმულირება შეიცვალა და მინა მიეკუთვნა საქონელს. ახალ საგადასახადო კოდექსში მინა მიკუთვნებულია საქონელს, რაც ჩემის აზრით, არასწორია და დღგ-ს მიზნებისთვის მინა არ უნდა ეკუთვნოდეს საქონელს. აქედან გამომდინარე, მე-13 მუხლის, მე-2 პუნქტს უნდა და-

ემატოს სიტყვა „მინა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დღგ-ს მიზნებისათვის საქონელს არ განეკუთვნება ფული და მინა“

- მოქმედი საგადასახადო კოდექსის 47 მუხლისა და ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მუხლი 46-ის, პირველი პუნქტის თანახმად, საგადასახადო ორგანოს განმარტებას არა აქვს იურიდიული ძალა და იგი მხოლოდ რეკომენდაციას წარმოადგენს. ეს მუხლი წარმოშობს დავებს, ხელს უწყობს საგადასახადო მუშაკების თვითნებობას და რაც მთავარია, კორუფციის აშკარა წყარო ხდება. ისმება ლოგიკური კითხვა: რატომ არ უნდა ჰქონდეს საგადასახადო ორგანოს განმარტებას იურიდიული ძალა? აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიმართა საგადასახადო კოდექსის პროექტის 46 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნას შემდეგი წინადადება: „აღნიშნული განმარტება წარმოადგენს რეკომენდაციას და მას არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა.“



აზგორ მესხიშვილი,

„პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფის“ მთავარი კონსულტანტი, დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნეს უნივერსიტეტის სრული პროფესორი

- მე-18 მუხლი მოითხოვს დაკონკრეტებას (დაზუსტებას), რადგან, გაურკვეველია, როგორ განსაზღვროს ფიზიკურმა პირმა რეალიზაციით მიღებული ნამატი, რომელსაც 1953 წელს მიღებული ჰქონდა პინა (სახლი) და ახლა ჰყიდის მას?!

- მე-19 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი მოითხოვს გარკვევას, რას ნიშნავს: „ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები“, ასევე გაურკვეველია, ამავე მუხლის მე-7 პუნქტში, როგორ უნდა დაამტკიცოს ორმა კომპანიამ, რომ არ არიან ურთიერთ დამოკიდებული პირები?

- 61-ე მუხლის, მე-2 პუნქტში, ციფრი 20 შეიცვალოს ციფრი 60-ით, რადგან, საგადასახადოს გადახდის ვადა მცირეა. ეს მაშინ, როცა ზედმეტად გადახდილ თანხას ფიზიკურ პირს, საგადასახადო ორგანო უბრუნებს სამი თვის ვადაში. შესაბამისად, 65-ე მუხლის, მესამე პუნქტში 20 დღის ნაცვლად დადგინდეს 60 დღე.



**საქართველოს
მთავარი სამინისტრი**

• 70-ე მუხლის მე-2 პუნქტში გაურკვეველია – რა შემთხვევაში იგულისხმება ახალი ქონების შეძენა. ეს პუნქტი უნდა დაზუსტდეს.

• 82-ე მუხლის გაცნობისას, თუ არ გაეცანი 280 მუხლის პირველ პუნქტს, გამოდის, რომ 2010-2012 წლებში საშემოსავლო გადასახადი ტოლია 15%-ის. სწორი იქნება 82-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე 20%-ით. 2013 წლის 1 იანვრიდან, 2014 წლის 1 იანვრამდე 18%-ით“. აქედან გამომდინარე, გარდამავალი და დასკვნითი დებულების 280 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ამოღებული იქნას.

• ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის 83-ე მუხლის შესაბამისად, 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწოდებით მიღებული ნამეტი იბეგრება. მოქმედი კოდექსის შესაბამისად კი 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწოდებით მიღებული ნამეტი არ იბეგრება. რა გამოდის? ჩვენ ვამბობთ, რომ გადასახადებს ვამცირებთ, სინამდვილეში ვზრდით. ასეთივე მდგომარეობაა მიწის ნაკვეთის მიწოდების (რეალიზაციის) დროს. მოქმედი კოდექსით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთივების მიწის ნაკვეთივების მიწოდება არ იბეგრება, ახალი კოდექსის პროექტით კი იბეგრება 2 პექტარზე მეტი მიწის მიწოდება. აქედან გამომდინარე, მიზანშენონილად მიმაჩინა 83-ე მუხლის, „ვა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის) მიწოდება.“ მუხლი 83-დან პუნქტი ვა და „თ“ ამოღებული იქნას.

• 83-ე მუხლის „ლ“ პუნქტი-დან ამოღებული იქნას სიტყვები:

„2012 წლის 1-იანვრამდე.“ რადგან, რაც საგადასახადო კოდექსი იქნა მიღებული ყოველწლიურად შედის ცვლილება და ერთი წლით თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის სიტყვის გაცემული ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

• ახალ საგადასახადო კოდექსის პროექტში გაურკვეველია ამხანავობის მიერ მის წევრებზე (თანამფლობელებზე) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის საკითხი. აქედან გამომდინარე, დასაზუსტებელია 83-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ყ“ ქვეპუნქტი.

• დაზუსტებას მოითხოვს 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „ბა“ ქვეპუნქტი რადგან, აქტივის ფასი, მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის დროს, მისი შეძენის ფასი უმეტეს შემთხვევაში არ არის დადგენილი.

• გაურკვეველია 83-ე მუხლის „თ“ პუნქტში, რატომ არის შემოტანილი წინადადება: „ჩქერებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ლირებულება.“

• თავი XII „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები“ მთლიანად უნდა შეიცვალოს ანზორ საკანდელიძის წინადადებების გათვალისწინებით. (უურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010 წელი, მასის, „ალტერნატიული, მაგრამ ჯერ კიდევ დასახვენი“ მიკრო, მცირე და საშუალო მენარმებისთვის საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რასაც მთლიანად ვეთანხმები).

• 208-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს უნდა დაემატოს სიტყვა: „საძოვარი“, რადგან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიებია: სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათბიში და საძოვარიც.

• მუხლი 208-ე, პუნქტი „ვ“ სიტყვა „საძოვრებისთვის“ უნდა შეიცვალოს: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის საშუალო განაკვეთით“. რადგან, ლიცენზიების გაცემა ხდება, როგორც საძოვარ მიწებზე, ასევე სახნავზეც და სათბიშეც.

• მოქმედი საგადასახადო კოდექსით, ფიზიკური პირის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა განთავსუფლებულია მიწაზე ქონების გადასახადისგან, თუ ფიზიკური პირის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს. ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით კი ფიზიკური პირის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იბეგრება მიწაზე ქონების გადასახადისგან, რაც ჩემის აზრით, ეს არ არის კოდექსის ლიბერალიზაცია. 211-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტი უნდა დარჩეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის ვარიანტით და ეს პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გარდა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმღინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემტება 40 000 ლარს.“

• დაზუსტებას მოითხოვს 211-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი, რადგან გასარკვევია, როდესაც ფიზიკური პირი ცხოვრობს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში (კორპუსი) არის ქონების გადასახადის გადამხდელი - (40000 ლარზე მეტი შემოსავალის მქონე) თანასაკუთრებაში არსე-

ბული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტზე (მინის ფართობზე, რომელიც 30 კვ.მ.-ზე მეტია) იხდის მიწაზე ქონების გადასახადს, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წითელი ხაზების ფარგლებში აქვს საკუთარი ავტოფარეხი, რომელიც სხვა ავტოფარეხებთან ერთად სივრცობრივად დაკავშირებულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრების ბინა და მის საკუთრებაში არსებული ავტოფარეხი რეგისტრირებულია ერთ მისამართზე საჯარო რეესტრში. ავტოფარეხის მიერ დაკავებულ მინის ნაკვეთზე გავრცელდება თუ არა საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი? იმ შემთხვევაში თუ ავტოფარეხზე არ გავრცელდება საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი, მაშინ როგორ იანგარიშება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსი) მაცხოვრებ-

ლის საკუთრებაში არსებული, წითელ ხაზებში მოქცეული ავტოფარეხის მიწის ფართობი? (ფაქტიურად დაკავებული ფართის მიხედვით, თუ დაკავებული ფართობის პროპორციულად?). მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით და საგადასახადო მუშაკების განმარტებით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ავტოფარეხით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე, როდესაც მიწის ნაკვეთი საერთო საკუთრება, ერთ და იმავე მიწაზე ფიზიკური პირი ორჯერ იხდის გადასახადს. თუ კორპუსის წითელ ხაზებში მოქცეულია ხუთი ავტოფარეხი, ხუთივე მფლობელი არის ქონების გადასახადის გადამხდელი (40 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე) გამოდის, რომ ერთ და იმავე მიწაზე ათვერ (ათმაგად) იხდიან გადასახადს (?!)

• 210-ე მუხლი შეიძლება ისე გავიკოთ, რომ საწარმო მიწაზე გადასახადს იხდის ერთ შემთხ-


ვევაში 1 პრილამდე, ხოლო, მეორე შემთხვევაში 15 ნოემბრამდე. ამდენად, აღნიშნული მუხლი საჭიროა დაზუსტდეს.

• 211-ე მუხლის, 1 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტში სიტყვების: „სათბები, საძოვრები“ შეიცვალოს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები“, რადგან, გამოუყენებელი სახელმწიფო მიწები არის სახნავიც და მრავალნლიანი ნარგავებიც.

• 276-ე მუხლის, მე-2 პუნქტის სიტყვები ათი დღე შეიცვალოს 30 დღით. რადგან, გადაწყვეტილების გასაჩივრებას ხშირ შემთხვევაში ადვოკატის აყვანა, საბუთების მოძიება და შესწავლა სჭირდება.

• 205-ე მუხლის, მე-5 პუნქტის, „პ“ ქვეპუნქტი უნდა შეიცვალოს და დასაბეგრი გადასახადის წლიური განაკვეთი დადგინდეს, როგორც ეს იყო 2009 წლამდე მოქმედ საგადასახადო კოდექსში. „100 000 ლარისა და მეტი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის-საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.4 პროცენტისა და არა უმცეს 0.8 პროცენტისა.“ არადა, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მიხედვით არის არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმცეს 1 პროცენტისა.

• როგორც მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ასევე, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მთელ რიგ მუხლებში გამოყენებულია კოდექსის სხვადასხვა რამდენიმე მუხლი და სხვადასხვა რამდენიმე პუნქტი, რაც ართულებს კოდექსის მუხლის აღქმასა და გაგებას. ჩემის აზრით, კოდექსის მუხლში დასახელებული სხვა მუხლისა და პუნქტის ნაცვლად დაიწეროს ის, რაც იმ მუხლსა და პუნქტში იგულისხმება. ეს არ გადატვირთავს მუხლს – პირიქით, გაადვილებს კოდექსის მუხლის გაგებასა და გამოყენებას.



ახალი საგადასახადო კოდექსის შექრიცილები

ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის გაცნობისას, მე, როგორც მცირე მენარმეთა ინტერესების დამცველს, გარევეული მოსაზრებები მიჩნდება, რომელსაც მკითხველს მოელედ შევთავაზებ. კერძოც: ახალი საგადასახადო კოდექსით 200 ათასამდე ლარის ნლიური ბრუნვის მცირე მენარმეებს ხელი-სუფლება სთავაზობს ბრუნვის 3%-იან ფიქსირებულ გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ მენარმე დაადასტურებს ამ ბრუნვის შესაბამის მინიმუმ 60%-იან ხარჯს ხელთასების ხარჯის ჩაუთვლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაიბეგრება ბრუნვის 5%-იანი ფიქსირებული გადასახადით.



როგორც წესი, ვაჭრობის სფეროს მცირე მენარმეების ხელფასების ხარჯის გარეშე მინიმუმ 60%-იანი ხარჯების დადასტურება გაუჭირდებათ. მითუმეტეს, ხარჯების დადასტურება-აღრიცხვა აუცილებლად მოითხოვს კვალიფიციური ბუღალტრების დაქირავებას, რომელთა შენახვის სამუალება მათ მნირი შემოსავლების გამო არ ექნება. აქედან გამომდინარე, ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ვაჭრობის სფეროს მცირე მენარმეები ფაქტობრივად დაიბეგრებიან ბრუნვის 5%-იანი ფიქსირებული გადასახადით, რაც ძალიან მაღალია და მათი უმრავლესობის გაკოტრების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ხელისუფლებას გვინდა შევახსენოთ, რომ ძველ საგადასახადო კოდექსში უკვე იყო ბრუნვის ასეთი 5%-იანი ფიქსირებული გადასახადი, რომელსაც ერქვა „მცი-

რე ბიზნესის გადასახადი“ და მოქმედებდა 100 ათას ლარამდე ნლიური ბრუნვის საზღვრებში. 2004 წელს მიღებულ საგადასახადო კოდექსში ეს გადასახადი ამოიღეს იმ მოტივით, რომ არ ჰქონდა ფისკალური ეფექტი და წელიწადში დაახლოებით მხოლოდ 1 მილიონი ლარის შემოსავლებს იძლეოდა. ანიშნული მიზეზით არავინ არ დაინტერესებულა და ვინმეს ეკონომიკური ანალიზი არ გაუკეთებია. ახლა ასეთი ანალიზის გარეშე კვლავ შემოაქვთ ეს. დარწმუნებული ვარ, ნლიური ბრუნვის 100 ათასი ლარიდან 200 ათას ლარამდე გაზრდის მიუხედავად, ეს გადასახადი მაინც არ მიუშავებს (იმავე მიზეზით, რა მიზეზით ადრე არ იმუშავა). ძირითადი მიზეზია ბრუნვის მაღალი ფიქსირებული 5%-იანი გადასახადი, რომელიც აშკარად მიუღებელია ვაჭრობის სფეროს მცირე მენარმეებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ხე-

ლისუფლება ამაოდ ცდილობს შეუთავსებლობის შეთავსებას. არ შეიძლება ბრუნვის ის ფიქსირებული პროცენტი, რაც მისაღებია ვაჭრობის სფეროს მცირე მენარმეებისთვის, მისაღები აღმოჩნდეს სამრეწველო და სამომხმარებლო სფეროებში დასაქმებული მცირე მენარმეებისთვის. ეს თვალნათლივ დაადასტურა 10 წლის წინ ცალ-ცალკე სავაჭრო, სამრეწველო და მომსახურების სფეროებში დასაქმებული მცირე მენარმეების გამოკითხვა-შესწავლამ, რასაც მთელი 5 თვის განმავლობაში სისტემატურად აწარმოებდნენ ჩვენი ასოციაციის წევრების ხელმძღვანელობით შექმნილი სპეციალური ჯგუფები. სწორედ ასეთი შრომატევადი სამუშაოების ჩატარებისა და ამ სამუშაოების გაანალიზების შემდეგ გადავწყვიტეთ ჩვენს ახალ კანონპროექტში ვაჭრობის სფეროს მცირე მენარმეებისთვის შემოგველო ბრუნვის 3%-იანი, სამრეწველო სფეროსთვის ბრუნვის 5%-იანი და მომსახურების სფეროსთვის ბრუნვის 10%-იანი ფიქსირებული გადასახადები.

აღსანიშნავია ისიც, რომ 10 წლის წინ ჩვენი ასოციაციის მიერ დაწერილი კანონპროექტი მაშინდელმა ხელისუფლებამ ჯეროვნად ვერ გამოიყენა. კანონპროექტიდან ჯერ ამოგლიჯეს ვაჭრობის სფეროს მცირე მენარმეების ბრუნვის 3%-იანი დაბეგვრა, გაიტანეს პარამეტრები დასამტკიცებლად და



კიდევაც მიიღეს პირველი წაკითხვით. ხოლო შემდეგ, საგადასახადო მაფიის ზენოლით, რომელსაც მთარეველები ხელისუფლებაშიც ბლომად ჰყავდა, ეს კანონპროექტი მეორე და მესამე წაკითხვაზე საერთოდ აღარ დაუყენებიათ. არადა, ეს კანონი რომ მიეღოთ, ვაჭრობის სფეროს მცირე მენარმეებისა და სალარო-აპარატების დადგინდები პრობლემები დღეს უკვე მოგვარებული იქნებოდა. კანონპროექტიდან ასევე ამოგლივეს სამრენველო სფეროს მცირე მენარმეებისთვის შემოღებული ბრუნვის 5%-იანი ფიქსირებული პროცენტით დაბეგვრა, რომელიც უნდა გავრცელდეს ყველა სახის მცირე მენარმეზე. დაარქვეს მას „**მცირე ბიზნესის გადასახადი**“ და წლიური ბრუნვა ჩამოიყვანეს მიზერულ 100 ათას ლარზე.

ამ კოდექსის ერთადერთი ნათელი შუქია იმ მიერო მენარმეთა გათავისუფლება გადასახადებისა და სალარო-აპარატების დადგმისაგან, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 30 ათას ლარს და არ იყენებენ დაქირავებულ შრომას. თუმცა, ამ შუქსაც ჩრდილად ახლავს ის გადაწყვეტილება, რომ ფინანსთა სამინისტროს თვითონ შეუძლია განსაზღვროს წლიური ბრუნვის გამოთვლის წესი.

მოკლედ, ახალი საგადასახადო კოდექსი მომზადებულია ნაჩქარევად და მისი ამ სახით მიღება ხელს არ შეუწყობს მენარმეობის განვითარებას საქართველოში. რაც მთავრია, მიუღებელია ის მაღალი ჯამური საგადასახადო ტვირთი, რომელიც 13 წელიწადია ფაქტობრივად არ იცვლება და ჩვენიუზარმაზარი ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარი მკვებავი წყაროა.

ჩემის აზრით, გადასახადები დამოკიდებული უნდა იყოს ბრუნვაზე და განისაზღვროს ბრუნვის ფიქსირებული პროცენტებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბოლო მოეღება იმ ეკონომიკურ აბსურდსაც, რომ დღეს მცირე, საშუალო და მსხვილი მენარმე ყველა ერთ ტაფაში იხრავება და ყველა ერთნაირად იბეგვრება. სავაჭრო, სამრენველო და სამომხმარებლო სფეროების მცირე მენარმეები დაიბეგვრებიან ბრუნვის სხვადასხვა ფიქსირებული პროცენტით. გადასახადების დიფერენცირება-კორექტირება მოხდება რეგიონულ ჭრილშიც და შემოღებული იქნება ადგილობრივი საგადასახადო კოეფიციენტებით.

სწორედ ამ პრინციპზეა აგებული ჩვენი კანონპროექტი „**ვაჭრობის სფეროს მიკრო, მცირე**“

და საშუალო მენარმეებისათვის საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც კარგა ხანია ოფიციალურად გაეგზავნა ხელისუფლებას და 2010 წლის მაისში გამოქვეყნდა უურნალში „**ბიზნესი და კანონმდებლობა**“. სპეციალისტთა გამოხმაურება დადებითია. ეს კანონპროექტი, სადაც გათვალისწინებულია ვაჭრობის სფეროს მიკრო მენარმეთა დაბეგვრა ბრუნვის 1%-იანი, მცირე მენარმეების ბრუნვის 2%-იანი და საშუალო მენარმეების ბრუნვის 3%-იანი ფიქსირებული გადასახადებით, ახალ საგადასახადო კოდექსთან შედარებით არის გაცილებით კომპრომისული და მისალები ირივე დაპირისპირებული მხარისათვის (როგორც მცირე მენარმეების, ისე ხელისუფლებისთვისაც). გარდა ამისა, ამ კანონპროექტში ჩაფებულია ბრუნვის გაზრდასთან ერთად გადასახადების არა ერთბაშად, არამედ თანდათან გაზრდის ეკონომიკური ბერკეტები, აგრეთვე სხვადასხვა საინტერესო ნოვაციები.

ასევე სწრაფად ასამოქმედებულია ჯერ კიდევ 2006 წელს პარლამენტში ოფიციალურად გაგზვნილი და 2010 წლის ივნისის თვეში ამავე უურნალში გამოქვეყნებული კანონპროექტი „**ახლადგახსნილი სამრენველო სანარმოებისათვის საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ**“, რომელიც დაფუძნებულია უკვე მრავალგზის გაცხადებულ ჩვენს პრინციპებზე. ეს კანონპროექტი სასწრაფოდ უნდა ავამუშაოთ და აუცილებლად შევიტანოთ ცალკე კარად მომავალ საგადასახადო კოდექსშიც, რადგან კანონპროექტი ეხება მხოლოდ ახლადგახსნილ სანარმოებს და მისი მიღებით არასდროს არავითარი პრიბლემა არ შეექმნება არც მიმდინარე და არც მომავალი წლების საბიუჯეტო შემოსავლებს.

აზორ საკანდელიძე,
საქართველოს თავისუფლად მენარმეთა
ასოციაციის თავმჯდომარე,
აკადემიური დოქტორი





პორის ჭიშინაძე,
სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის
სახელმისამართის უფროსი
უნივერსიტეტის უფროსი
მასწავლებელი

როგორ გამოვასწორებთ „ქველით“ გაფუჭებულს

**ანუ გამოიყენოთ თუ არა ახალი საგადასახადო
კოდექსი ქართულ ბიზნესს ლაპირინთებიდან?!**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე 20 წელი გავიდა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ორიენტირები კვლავ ბუნილოვანია. რაოდენ გასაკვირად არ უნდა მოვარეჩვენოს, ამ ხნის განმავლობაში, მრავალი ათეული ე.ნ. უცხოელი „ექსპერტი“ მოძრვალია, შესაბამის რჩევებს და რეკომენდაციებს აძლევდა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას, თუმცა, საქართველოს ეკონომიკა არა და არ უმჯობესდებოდა!

წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზების ძებნა არ გვიცდია. ე.ნ. უცხოელი „კეთილისმყოფელი“ ხელოვნურად ცდილობდნენ მათი ქვეყნების გამოცდილების ჩვენს ეკონომიკური ადაპტირებას. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ შენახვაზე საქართველოს ბიუჯეტიდან მრავალი მილიონი დოლარია დახსარჯული, რაც დღესაც მძიმე ტვირთად აწვება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს.

მანც რა არის ძირითადი მიზეზი, რატომ არ გამოვიდა საქართველოს ეკონომიკა ფაქტობრივი კოლაფსიდან? პირველ რიგში უცხოური გამოცდილების გაზიარებისას საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ღრმა ანალიზი და შემდეგ იმ მიღწეულების გაზიარება, რომელმაც უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია. ფაქტია, რომ ვერცერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, თუ მას არა აქვს ნორმალური და ბიზნესის ხელშეყობაზე ორიენტირებული საბაჟო, საგადასახადო და გადასახადებთან მიმართებაში არსებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატული აქტები. 1992 წლიდან მოყოლებული არცერთი უცხოელი „კეთილისმყოფელი“, უცხოური გამოცდილების საქართველოში გადმოტანისას არ ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის

ეკონომიკურ თავისებურებებს. რაოდენ გასაკვიროც არ უნდა იყოს, ისინი გეგარნახობდნენ ისეთ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებს, რომელთა წაკითხვაც არა თუ ბიზნესში, არამედ თვით, ამ კანონების მიმღებ პირებსაც უჭირდათ. ამის ნათელი მაგალითია 1997 წლის ივნისში პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული პირველი საგადასახადო კოდექსი. რატომ იქნა მიღებული აღნიშნული კოდექსი მხოლოდ უცხოელების რეკომენდაციით და რატომ არ გავითვალისწინეთ ქართველი მეცნიერების გამოცდილება? მავანი გვპასუხობდა, რომ უცხოელებს მეტი გამოცდილება გააჩნიათ. სწორედ ასეთმა არაპროფესიონალურმა და ხშირ შემთხვევაში გააზრიებულად ცუდად გადადგმულმა ნაბიჯებმა ქვეყნა უდიდეს ვალებში (საშინაო და საგარეო) ჩააგდო, რომლის შედეგებსაც ეხლავი მიეკით. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ 1997 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა გააუარესა ქვეყნაში არსებული ბიზნეს გარემო და იმდროინდელი ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია.

ბენებრივია, ყველა უცხოური ქვეყნის მთავრობები ცდილობენ იქონიონ გავლენის სფეროები სხვა განუვითარებელ და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში, აიძულონ იმ ქვეყნის უმაღლე-

ლე უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტსა ან სხვა ვალდებულ პირს გადაუეზზავნოს წერილობითი განმარტება, რომელიც გამოხატავს საგადასახადო ორგანოს პოზიციას პირის მიერ შესრულებული, ან შესასრულებელი სამეურნეო ოპერაციისას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებაზე. თუმცა აღნიშნული განმარტება წარმოადგენს რეკომენდაციას და მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. აღნიშნული მუხლის განმარტებიდან სჩანს, რომ განხილულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ცუდ დღეში ვარდება და კანონიც არ იძლევა იმის განმარტებას, თუ ვის უნდა მიმართოს საკითხის საპოლოოდ გასარკვევად გადასახადის გადამხდელმა. უცხოეთში კი საქმე ამ მხრივ სხვანაირადაა – თითოების ყველა ევროპული ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოების ვალდებულებებს და საგადასახადო ორგანოს განმარტებას აქვს იურიდიული ძალა.

კიდევ უფრო რთულად დგას საქმე საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის გამოყენებისას, რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელის მიერ მომზარებელთან ნალი ანგარიშსნორებისას საკონტროლო-

სალარო აპარატის ჩეკის გაუცემლობის შემთხვევას. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი ნალი ანგარიშსნორებისას ჩეკს არ გამოუწერს მომხმარებელს, მაშინ, ის პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში 1500 ლარის ოდენობით და ყველი შემდგომი განმეორებისას 2500 ლარის ოდენობით. აღნიშნული მუხლი ენინააღმდეგება ევროპულ ქარტიებს (იმ ქარტიებს, რომელსაც მიერთებულია საქართველო და შესაბამისი რატიფიცირებაც განხორციელებულია პარლამენტის მიერ). დიახ, აღნიშნული მუხლი დისკრიმინაციულია და არღვევს გადასახადის გადამხდელთა მთავარ უფლებას – ჰქონდეთ მათ ბიზნესის კეთების საშუალება. აღნიშნული მუხლი გაუგებარი და ბუნდოვანია იმდენად, რამდენაც მინიმალური ხელფასი საჯარო სამსახურში ჯერაც 150 ლარია, ხოლო კერძო სექტორში ბოლომდე გარკვეული არ არის, და მას დამქრავებლები თავად განსაზღვრავენ. გასარკვევია ისიც, საიდან შემოდის საქართველოში საკონტროლო-სალარო აპარატები და რა ღირს ის მომწოდებელ ქვეყნებში? ხომ არ აქვს ადგილი სალარო აპარატების

იმპორტით დაკავებული პირების მიერ ფასების ხელოვნურ ზოდას და შემომტანების მიერ მათზე კარტერული ფასების დაწესებას?

აქვეუნდა აღვნიშნოსაგადასახადო კოდექსის 280¹ მუხლის შესახებაც. აღნიშნული მუხლი არეგულირებს ახლადდარეგისტრირებული მეწარმეებისთვის საგადასახადო სესხის გაცემას. როგორც საქართველოში ჩატარებულმა სტატისტიკურმა დაკავირვებებმა გვიჩვენა, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული საგადასახადო სესხით ფაქტურად მეწარმეების ძალიან უმნიშვნელო ნაწილმა ისარგებლა. მაშინ, როცა მსურველი ძალიან ბევრი იყო.

ზემოთაღნიშნული საკითხის მოგვარებას ართულებს ისიც, რომ დღეისათვის არ არსებობს კანონი, რომელიც მოახდენდა ბიზნესით დაკავებული პირების დიფერენცირებას – **მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესად**. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, ყველა მეწარმე მიუხედავად მათი წლიური ერთობლივი შემოსავლისა, ერთნაირი დაბეგვრის რეჟიმშია მოქალავი. (უცხოეთში კი მეწარმეები სხვადასხვანაირი წესით იბეგრებიან მათი წლიური შემოსავლიდან გამომდინარე) თუ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მოთხოვნებს გამოვიყენებთ მაღალმდინარებული რეგიონის რომელიმე სოფელში არსებული წისქილის, ან ჯიხურის შემთხვევაში, მაშინ აღნიშნული სანქციის გამოყენება (500 ლარი, 1500 ლარი, 2500 ლარი) ბუნებრივა, გამოიწვევს მათი საქმიანობის პარალიზირებას. (მაშინ, როცა, აღნიშნული ჯარიმის ინდენცია არ იქნება დასკრიმინაციული. ასეთი გაუაზრებელი და არაეფექტური ჯარიმების შედეგად მეწარმე პირებს უგროვდებათ საპიუჯეტო დავალიანება, რაც საერთო ჯამში ბიზნეს-გარემოს გაუარესებას იწვევს.

ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობები ზოგჯერ მიმართავს



საბიუჯეტო დავალიანებების ჩამონერის პრაქტიკას, რომელიც ცნობილია საგადასახადო ამნისტიის სახელით. საგადასახადო ამნისტია საყოველთაო ხასიათს ატარებს და მისი გამოცხადება ძირითადად ხდება მწვავე საბოუჯეტო, ეკონომიკური და საბანკო კრიზისის, ან საომარი მოვლენების შემდეგ. ამნისტიის ძირითადი მიზანია, ამ სიკეთით ისარგებლოს ყველა მენარმეტ (მცირე, საშუალო, მსხვილი) მიუხედავად მათი საბიუჯეტო და გალიანების სიდიდისა. არც წინა და არც ახალ ხელისუფლებას არ გამოუცხადებია ტოტალური საგადასახადო ამნისტია, არადა, ამის აუცილებლობა მართლაც არსებობდა. 2004 წლის 24 დეკემბერს მიღებულმა კანონმა „ამნისტიისა და არადეკარინებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“, ფაქტოურად 1997 წელს მიღებული კოდექსის შედეგად დაზარებულ მენარმეტებს ვერანაირი შევბა ვერ მოგვარა. პირიქით, აღნიშნული კანონის მიღებით დაზარალდნენ ის მენარმეტი ფიზიკური პირები, რომელიც იმდროინდელი საგადასახადო კოდექსის შედეგად პატიოსნად ახდენდნენ საბიუჯეტო გადასახადების დეკლარირებას, მაგრამ კოდექსის უნიათობიდან გამომდინარე, სრულად ვერ იხდიდნენ გადასახადებს. ამნისტია შეეხო მხოლოდ იმ მენარმეტებს (თუ ამას შეიძლება მენარმეტი დაერქვას), რომელიც საერთოდ არ ადგენდნენ არანაირ დეკლარაციებს და გაანგარიშებებს საგადასახადო ორგანოებში. გამომდინარე აქედან, ეს კანონი ვერ ჩაითვლება ამნისტიად და მისი მიღებით მცირე მენარმეტის ფართო ფენებმა ვერანაირი სიკეთე ვერ იგრძვნეს.

ამნისტიის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის 15 დეკემბერს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“, აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია ის კატეგორია მენარმეტისა, რომელიც შეუძლიათ ისარგებლონ საგადასახადო შეთანხმებით. კერძოდ: საგადასახადო შეთანხმებით შეუძლიათ ისარგებლონ იმ მენარმეტმა, რომელთა

საგადასახადო ვალდებულებების ჯამური ოდენობა აღემატება 10000 ლარს და არ არის აღიარებული გადამხდელის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს გააჩნია აღნიშნული რაოდენობის საბიუჯეტო და ვალიანება, მას უფლება აქვს წერილობით მიმართოს შემოსავლების სამსახურს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გადამხდელმა უნდა შესთავაზოს შემოსავლების სამსახურს იმ თანხის ოდენობა, რომლის გადახდასაც მეწარმე შეძლებს. ამის შემდეგ შემოსავლების სამსახური გადამხდელის წერილს გადაუგზავნის ფინანსთა სამინისტროს, ხოლო, ეს უკანასკნელი კი მიმართავს საქართველოს მთავრობას გადასახადის გადამხდელის წერილის განხილვის მიზნით. საქართველოს მთავრობა იღებს გადანებულეტილებას გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების, ან არგაფორმების შესახებ. თუ მთავრობა თანხმამა საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, ამ შემთხვევაში შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გადამხდელს გაუფორმოს საგადასახადო შეთანხმების აქტი. ერთი შეხედვით, საკითხი მარტივია, თუ ღრმად ჩაუკვირდებით მას, საჭიროა ამ დადგენილების ან გაუქმება, ან მასში ძირებული ცვლილებების შეტანა. კერძოდ: საერთოდ გაურკვეველია რატომ მაინცდამინც 10000 (ათიათასი) ლარს ზემოთ დავალიანების შემთხვევაშია შესაძლებელი საგადასახადო შეთანხმების გაფორმება და რა დააშავა 10000 (ათიათასი) ლარამდე დავალიანების მქონე მენარმეტმა (ასეთები კი ძალიან ბევრია). ასევე გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით სარგებლობს საქართველოს მთავრობა საგადასახადო შეთანხმების გაფორმების, ან არგაფორმების დროს (ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ჩვენთვის უცნობია). ბუნდოვანია ისიც, რომ მთავრობის მიერ მიღებული დადებითი გადანებების შემდეგ შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული გაუფორმოს გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შეთანხმების აქტი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა არ დაკმაყოფილებს გადასახადის გადამხდელის თხოვ-

ნას საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, გადასახადის გადამხდელს მისი გასაჩივრების არანაირი იურიდიული უფლება არ გააჩნია. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის 15 დეკემბერს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“, ხშირ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს ობიექტურად გამოყენებული, რაც საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მსურველთა სამართლიან გულისნყრომას გამოიწვევს. (ეს ძირთადად გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს არანაირი კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაიცვას მთავრობამ საგადასახადო შეთანხმების გადასახადის გადამხდელის წერილის განხილვის მიზნით. საქართველოს მთავრობა იღებს გადანებულეტილებას გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ან არგაფორმების შესახებ. თუ მთავრობა თანხმამა საგადასახადო შეთანხმების გადასახადის გადამხდელის წერილის განხილვის მიზნით, საქართველოს მთავრობა იღებს გადაუგზავნის ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილია გადამხდელს გაუფორმომოს საგადასახადო შეთანხმებაზე, ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს). საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ მეწარმეს შეიძლება გაუფორმდეს საგადასახადო შეთანხმება, ზოგიერთს კი არა. აღნიშნული მიდგომა კი ენინალმდეგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 65-ე მუხლის მე-5-ე ნანილს, რომლითაც აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შედავათის დაწესება და ცალკეული პირების გათავისუფლება გადასახადისგან. აღნიშნული დადგენილების არსებობის შეუწყის ხელს ქვეყნის ბიზნეს – გარემოს განვითარებას. (შეიძლება პირიქით, მისი გაუარესება გამოიწვიოს).

ბიზნეს – გარემოს გაუარესების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის №577 ბრძანება „საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის ქრონომეტრაჟის შედეგების წინა ნელზე გავრცელების წესის“ მიღების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა, რომ თუ ქრონომეტრაჟი გამოივლენდა, რომ სამუშალო დღიური ბრუნვა მეტი იყო გადამხდელის მიერ შემდეგ შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული გაუფორმოს გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შეთანხმების აქტი. შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა არ დაკმაყოფილებს გადასახადის გადამხდელის თხოვ-

ნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, და სხვა ფაქტორებით) გათვალისწინებით. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ივლისის თვეში საგადასახადო სამსახურმა ქრონომეტრაჟით საზოგადოებრივი კვების ობიექტში დააფიქსირა საშუალო დღიური ბრუნვა 500 ლარი, მაშინ, აღნიშნული ბრუნვა უნდა იქნეს გამოყენებული ნინა წლის დასაბეგრი შემოსავლის გაანგარიშებისას. აღნიშნული მიდგომა დაბეგვრის მიზნებისას არაკორექტულია. ამ შემთხვევაში ხშირად მენარმები იბეგრებიან მიუღებელ შემოსავაზე, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ ვირტუალური შემოსავლის გადასახადით დაბეგვრა. როგორც საგადასახადო სამსახურების მიერ ჩატარებულმა ქრონომეტრაჟის სტატისტიკურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, შემონმებლების მხრიდან ფაქტიურად არ ხდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის №577 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, სეზონურობის, ფორსმაჟორის, ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების და სხვა ფაქტორების გათვალისწინება და ყველანაირი მტკიცების ტვირთი გადასახადის გადამზდელს ეკისრებოდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ფინანსთა მინისტრის ზემოთაღნიშნული ბრძანება მოქმედებდა სულ რაღაც 3 თვე, 2009 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა აღნიშნული ბრძანება და გაუქმება ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. გაუქმების შემდეგ კი მენარმების ურმავლესობას დიდი საბიუჯეტო დავალიანებები დაუგროვდათ. ისმის კითხვა: რა აზრი ჰქონდა აღნიშნული ნესის მოქმედებას მხოლოდ 3 თვე? რატომ დებულობდენენ ამ ნესს, თუ ასე მაღლ აუქმებდნენ? რატომ გაუქმდა აღნიშნული ნესი თუ ის დადებითი ეფექტის მომტანი იყო? თუ უარყოფითი ეფექტის მომტანი იყო, მაშინ, რატომ არ ჩამონერათ აღნიშნული ნესით დაჯარიმებულ მენარმებს საბიუჯეტო გადასახადები? ერთი სიტყვით, საკითხის დამოუკიდებელი საჭიროების მხრიდან, რათა არ დაიჩაგრონ აღნიშნული ნესით დაჯარიმებული

მენარმები პირები, რომელთა რაოდენობა არც თუ ცოტაა საქართველოს მასშტაბით.

ქრონომეტრაჟის წინა წელზე გავრცელების წესი მოქმედებდა წინა ხელისუფლების დროსაც, მაგრამ ასალი მთავრობის მოსკლის შემდეგ აღნიშნული წესი სამართლიანად გაუქმდა. როგორც იმდროინდელი საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავდნენ, ქრონომეტრაჟის ჩატარების იმდროინდელი წესის მოქმედება არაკონსტიტუციური იყო – იგი არსებითად, რომელიც არღვევდა გადასახადის გადამზდელის უფლებას, ჰქონდა ვაჭრობის ნორმალური უფლება. 2004 წლამდე მოქმედი წესის მოქმედებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ბიზნეს–გარემო და საბიუჯეტო დავალიანების ხელოვნური ზრდა გამოიწვია. გამომდინარე აქედან, საინტერესოა, რატომ დადგა დღის წესრიგში კვლავ აღნიშნული წესის შემოღება 2009 წლის სექტემბერში? საჭიროა ამ წესის მოქმედების შედეგად დაზარალებული მენარმების ბედით დაინტერესდეს საქართველოს მთავრობა და აღნიშნული წესის მოქმედების შედეგად დაზარალებულ მენარმებს შეასაბამისად გარკვეული შეღავათები დაუწესდეთ.

სნორედ ასეთი არაპროფესიონალურად (შეიძლება ითქვას, მიზანმიმდართულად) მიღებული კანონები იწვევს საბიუჯეტო დავალიანების ზრდას, რაც საერთო ჯამში ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესებას უწყობს ხელს. გამომდინარე აქედან, კი საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. (ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას ამტკიცებს ასევე ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალის ზრდაც, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 3 521 775 000 აშშ დოლარია. თუ ამ ტემპით წავიდა საგარეო ვალის ზრდა, მაშინ უახლოეს წლებში ქვეყნის ეკონომიკა სრულ კატასტროფამდე მივა. აღსანიშნავია ისიც, რომ საგარეო ვალის ზრდა ხშირ შემთხვევაში არასწორი საბაზო და საგადასახადო პოლიტიკითაა გამოწვეული).

თუ ჩვენი ქვეყნის სახელმწი-

ფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სტატისტიკით ვიმსჯელებთ, საგარეო ვალის გასტუმრებას იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს გადავიხდით, დასტილდება 30 წელი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ დღეისათვის არსებული საგარეო ვალი კვლავ არ გაიზრდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამართულ საგადასახადო და საბაზო კოდექსის. სწორედ ამ კანონებმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და ყველა გადამზდელის ერთნაირ პირობებში ჩაყენება. (საგადასახადო კოდექსით დაუშვებელია გადამზდელის მიმართ ინდივიდუალური შეღავათების დანესება, თუმცა, ხშირად ეს აკრძალვა ჩვენთან ირღვევა). მიუხედავად ამისა, არც თუ იმვიათად, გადასახადის გადამზდელები არათანაბარ პირობებში არიან, რაც სხვადასხვა საქართველზე კარტერული ფასების დაწესებას იწვევს. აღნიშნული მძიმე ტკირთად აწვება ქვეყნის მოსახლეობას. (კარტერული ფასების დაწესებას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ნავთობპროდუქტების, კომუნიკაციების და სააფთიაქო სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაბამისი მარეგულირებელი კომისიები, რომლებსაც ევალებათ ბაზარზე წესრიგის დამყარება).

P.S. ვიდრე სტატია დასაბეჭდად მომზადდებოდა, საქართველოს მთავრობამ უკვე ნარმოადგინა საგადასახადო კოდექსის ახალი კანონპროექტი, რომელიც „რევოლუციურად“ მოინათლა. რამდენად „რევოლუციურია“ იგი და შეუწყობს თუ არა ხელს მისი საბოლოო ვარიანტის მიღება ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას და იქნება თუ არა იგი უფრო მოქნილი და გადამზდელისთვის ხელსაყრელი, მომავალი გვიჩვენებას. უურნალი „პიზნესი და პარომედებობა“ მზადისტიკონიდებაში, ხოლო კანონპროექტის განხილვაში, ხოლო კოდექსის მიღების შემდეგ მკითხველებს შესთავაზოს სათანადო განმარტები.

ზურნალი „პიზნესი და პარომედებობა“ მზადაა მონაწილეობის კანონპროექტის განხილვაში, ხოლო კოდექსის მიღების შემდეგ მკითხველებს შესთავაზოს სათანადო განმარტები.

როგორ მოვამზადოთ და ნარვალგინოთ ფულალი ნაკალების ანგარიშგება



ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად სანარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკონომიკური გამომებავების შესაძლებლობების, აგრეთვე, მათი გამომუშავების სამეცნიერო და დროულობის შეფასება სჭირდებათ.

ინფორმაცია, რომელიც ეხება გარკვეულ პერიოდში სანარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკონომიკური გამომებავების ცვლილებებს, ფულადი ნაკალების კოს-სიცივირებას საოპერაციო, საინვესტიციო და ათვიანის სამიანობების მიხედვით, ასახება ფულადი ნაკალების ანგარიშგებაში. ეს უკანასკნელი უნდა მომზადეს ბას 7 „ფულადი ნაკალების ანგარიშგების“ მოთხოვნათა შესაბამისად და ყოველი სანაკარიშგებო პერიოდისთვის ნარცენილ იწეს, როგორც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

(გაფრქვეულა, დასაწყისი იხ. ბეჭედი, მაისი 2010 წ.)

ანელი ხორავა,
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
აღრიცხვა- ანგარიშგების
კათედრის მასწავლებელი

გადახდილი პროცენტები და დივიდენდები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები, რადგან ისინი მოხაწილეობები წმინდა მოგებისა და ზარალის განსაზღვრაში. ამავე დროს, მიღებული პროცენტები და დივიდენდები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, რადგან ისინი წარმოადგენენ ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებს ან ინვესტიციების უკუგებას. ბას 7-ის თანახმად, გადახდილი დივიდენდების ასახვა ასევე შესაძლებელია საფინანსო საქმიანობიდან გადინებული ფულადი ნაკადების სახით.

გადახდილი პროცენტების გასაანგარიშებლად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის დასაწყისისათვის არსებული გადასახდელი პროცენტების ნაშთს უნდა დაემატოს მიმდინარე წლის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარებული საპროცენტო ხარჯი და გამოაკლდეს პერიოდის ბოლოსათვის არსებული გადასახდელი პროცენტების ნაშთი.

რაც შექება გადასახდელი დივიდენდების თანხას, მისი გაანგარიშებისათვის საჭიროა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლების ანგარიშგების, გაუნაწილებელი მოგებისა და გადასახდელი დივიდენდების ბუღალტრული ანგარიშების მონაცემთა გამოყენება. კერძოდ, გამოცხადებული დივიდენდების გასაანგარიშებლად გაუნაწილებელი მოგების ნაშთს პერიოდის დასაწყისში უნდა დაემატოს წლიური წმინდა მოგება და გამოაკლდეს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი პერიოდის ბოლოს. გადახდილი დივიდენდების დასადგენად კი გადასახდელი დივიდენდების ნაშთს პერიოდის დასაწყისში უნდა დაემატოს გამოცხადებული დივიდენდების თანხა და გამოაკლდეს გადასახდელი დივიდენდების პერიოდის ბოლოსათვის არსებული ნაშთი.

საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი პროცენტების მთლიანი თანხა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება იმისდა მოუხედავად, აღიარებულია ისინი ხარჯებად სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ კაპიტალიზებულია აღგერინაბიული მეთოდის შესაბამისად, ბას 23-ის – „სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“ – მიხედვით.

მოგების გადასახადობან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ცალკე აისახება და კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, მი შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი კონკრეტულად განიხილება საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობად. თუ ამ უკანასკნელს აქვს დაგილი, მაშინ, საგადასახადო ფულადი ნაკადები შესაბამისად საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას წარმოადგენს. მაშინ კი, როდესაც საგადასახადო ფულადი ნაკადები განაწილებულია ერთზე მეტი სახეობის საქმიანობაზე, ნაჩვენები უნდა იყოს გადახდილი გადასახადების მთლიანი თანხა.

გადახდილი მოგების გადასახადის გასაანგარიშებლად ვისარგებლოთ ქვემოთ მოტანილი მონაცემებით.

მაგალითი 4. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მონაცემებით, 2010 წლის 31 დეკემბრისათვის გადასახდელი მოგების გადასახადის თანხამ 15 ათასი ლარი, 2011 წლის 31 დეკემბრისათვის კი – 11 ათასი ლარი შეადგინა. სრული შემოსავლების ანგარიშგების თანახმად, მიმდინარე წლის დარიცხული მოგების გადასახადი შეადგენს 19 ათას ლარს. მოგების გადასახადის ვალის დასაფარავად გადახდილი ფულის გასაანგარიშებლად გადასახდელი მოგების გადასახადის ბუღალტრულ ანგარიშზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ჩანაწერები:

3310

დებეტი

გადასახდელი მოგების გადასახადი

კრედიტი

<p>ფული (დამაბალისებული თანხა)</p>	<p>ნაშთი პ/დ დარიცხული მოგების გადასახადი 19.000</p>
<p>ნაშთი პ/ბ <hr/></p>	<p><hr/></p>
<p>34.000</p>	<p>34.000</p>

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში ყველაზე ხშირად გახვდება გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული და მათ შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები. გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრების დასადგენად აუცილებელია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გასული და გადაფასებული აქტივების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება. გრძელვადიანი აქტივების თვითდირებულებიდან უნდა გამოირიცხოს გასული აქტივების თვითდირებულება და მათი გადაფასებით მიღებული ნამეტი.

ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული გაფინანსირებულ კერძო მონაცემებით.

საწარმოს ფინანსური აღრიცხვის მონაცემები 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცხრილი 3

მაჩვენებლები	2010 წ.	2011წ.
ძირითადი საშუალებების თვითდირებულება	250	278
ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	29	34
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	11	41

შენიშვნა: 2011 წლის განმავლობაში 35 ათას ლარად გაიყიდა ძირითადი საშუალებები, რომელთა თვითდირებულება შეადგენდა 51 ათას ლარს, ხოლო დაგროვილი ცვეთა 9 ათას ლარს. საწარმოს არ გააჩნია ძირითადი საშუალებების მომწოდებელთა მიმართ დავალიანება.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების საინვესტიციო ნაწილში შესატანი ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად, საჭიროა გამოყენებულ იქნეს ძირითადი საშუალებების თვითდირებულების ანგარიში.

2100

ძირითადი საშუალებების თვითდირებულება

კრედიტი

<p>დებეტი</p>	<p>კრედიტი</p>
<p>ნაშთი პ/დ შესაძენად გადახდილი ფული (დამაბალისებული თანხა)</p>	<p>გასვლა ნაშთ პ/ბ</p>
<p>250.000 49.000</p>	<p>51.000 278.000</p>
<p>ძირითად საშუალებათა გადაფასების რეზერვი (41.000 -11.000)</p>	<p>ნაშთ პ/ბ 329.000</p>
<p>329.000</p>	<p>329.000</p>



საქართველო
მდგრადი ეკონომიკის მინისტრი

ამრიგად, ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული შეადგენს 49 ათას ლარს და იგი უნდა აისახოს საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების სახით.

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრების გაანგარიშებისას გაითვალისწინება მიღებული პროცენტები და მიღებული დივიდენდები. აღნიშნულის გასაანგარიშებლად გამოიყენება მისაღები პროცენტებისა და მისაღები დივიდენდების ბუღალტრული ანგარიშები, სადაც აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და სრული შემოსავლების ანგარიშგების მონაცემები.

მაგალითი 5. მიღებული პროცენტებისა და მიღებული დივიდენდების თანხის გაანგარიშების საილუსტრაციოდ განვიხილოთ ქვემოთ მოტანილი ცხრილის მონაცემები:

ცხრილი 4

საწარმოს ფინანსური აღრიცხვის მაჩვენებლები

(ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2010 წ	2011 წ
მოთხოვნა მისაღებ პროცენტებზე 31 დეკემბრისათვის	8	5
მოთხოვნა მისაღებ დივიდენდებზე 31 დეკემბრისათვის	11	9
საპროცენტო შემოსავალი	25	29
შემოსავალი დივიდენდებიდან	47	59

ამ მონაცემების საფუძველზე მიღებული პროცენტებისა და მიღებული დივიდენდების თანხების გაანგარიშება შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასეთ სახეს მიიღებს:

1820

დებეტი	მოთხოვნა მისაღებ პროცენტებზე	კრედიტი
ნაშთი პ/დ	8.000	მიღებული პროცენტები 32.000 (დამაბალანსებული თანხა)
საპროცენტო შემოსავალი 29.000		ნაშთი პ/ბ
	37.000	5.000

1810

დებეტი	მოთხოვნა მისაღებ დივიდენდებზე	კრედიტი
ნაშთი პ/დ	11.000	მიღებული დივიდენდები 61.000 (დამაბალანსებული თანხა)
შემოსავალი დივიდენდებიდან 59.000		ნაშთი პ/ბ
	70.000	9.000
		70.000,

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების გაანგარიშებისთვის, უნდა დაგადგინოთ აქციების ემისიიდან მიღებული ფული, რისთვისაც სააქციო კაპიტალის ცვლილებას საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში უნდა დაემატოს საემისიო კაპიტალის ცვლილება ამავე პერიოდში.

მაგალითი 6. საწარმოს სააქციო კაპიტალისა და მასში მიმდინარე ცვლილებების შესახებ მონაცემები ავსახოთ შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე და განვსაზღვროთ აქციების ემისიიდან მიღებული ფულის ოდენობა. (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

საწარმოს სააქციო კაპიტალი 31 დეკემბრისათვის (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2010წ	2011წ
ჩვეულებრივი აქციები	200	500
საემისიო კაპიტალი	300	430
გაუნაწილებელი მოგება	260	460

წლის განმავლობაში განხორციელდა აქციების ბონუსური ემისია:

საემისიო კაპიტალის ხარჯზე – 20.000 ლარის

გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე – 100.000 ლარის

ამ მონაცემების საფუძველზე ჩვეულებრივი აქციებისა და საემისიო კაპიტალის ანგარიშებზე წარმოებული ჩანაწერები ასეთი სახის იქნება:

5110

დებეტი ჩვეულებრივი აქციები კრედიტი

ნაშთი პ/დ	200.000
საემისიო კაპიტალი	20.000
გაუნაწილებელი მოგება	100.000
აქციების ემისიით მიღებული	
ფული	180.000
(დამაბალანსებელი თანხა)	
500.000	500.000
5140	

საემისიო კაპიტალი

დებეტი კრედიტი

ნაშთი პ/დ	300.000
აქციების ემისიით მიღებული	
ფული	150.000
(დამაბალანსებელი თანხა)	
450.000	450.000

დებეტი	გაუნაშილებელი	მოგება	კრედიტი
		ნაშთი პ/დ	260.000
ჩვეულებრივი აქციები	100.000	მიმღინარე წლის მოგება	300.000
ნაშთი პ/ბ	160.000	(დამაბალიანსებელი თანხა)	
	560.000		560.000

ამრიგად, აქციების ემისიიდან მიღებული ფული შეადგენს
330.000 (180.000+150.000) ლარს.

სესხების, თამასუქებისა და სხვა საგალო ვალდებულებების დაფარვის ან პირიქით, მათი წარმოქმნის დასადგენად საჭიროა განისაზღვროს მათი ცვლილება წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე და წარდგენილ იქნეს ფულადი ნაკადების ანგარიშებაში ფულადი ნაკადების გადინების ან შემოდინების სახით. ამ ნაწილში ერთ-ერთ მუხლს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების ფინანსური იჯარით აღებიდან წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულება. ასეთი ვალდებულების მიმღინარე ნაწილის დასაფარავად ფულის გადახდა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გადინების სახით კლასიფიცირდება.

ფულადი ნაკადების ანგარიშებაში აისახება უკვე შემოსული ან შემოსასვლელი უცხოური ვალუტის საქურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე. ეს თანხები აისახება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისაგან განცალკევებულად და შეიცავს საქურსო სხვაობას, თუ ასეთს პქონდა ადგილი. ამით პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს არსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შესაბამისობის უზრუნველყოფა ხდება. რაც შეეხება შემოსულობას ან ზარალს, რომელიც წარმოიქმნება გასაცვლელი საგალუტო კურსების ცვლილების შედეგად, ისინი არ ითვლება ფულად ნაკადებად.

ფულადი ნაკადების ანგარიშებაში ასახული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შემდეგ საბალანსო მუხლებს: ნაღდი ფული, ფული საბანკო ანგარიშებზე, მოკლევადიანი ინვესტიციები.

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენის გაანგარიშების ილუსტრირება მოვახდინოთ ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე.

მაგალითი 7. საწარმოს ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედეგება შემდეგი მონაცემებისაგან (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2010წ	2011 წ
1. ნაღდი ფული	50	71
2. ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	210	188
3. მოკლევადიანი ინვესტიციები	135	117
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (პტ.1+2+3)	395	376
5. საგალუტო კურსის ცვლილების შედეგი(ზარალი)	(53)	-
6. კორექტირებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (პტ.4-პტ.5)	342	376



ბასს 7-ის თანახმად, „ზოგჯერ საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა პირდაპირ გავლენას არ ახდენს მიმდინარე ფულად ნაკადებზე, თუმცა მოქმედებს საწარმოს კაპიტალისა და აქტივების სტრუქტურაზე. არაფულადი ოპერაციების ამოღება ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან შეესაბამება ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზანს, რადგან ამგვარი მუხლები არ გულისხმობს მიმდინარე პერიოდის ფულად ნაკადებს.“

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემაღებელობის განსაზღვრისათვის გამოყენებული პოლიტიკა, ხოლო სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ნებისმიერი ცელილება ანგარიშგებაში აისახება ბასს 8-ის „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცელილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ - მიხედვით.

საწარმოს განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს საწარმოს არსებითი ოპერაციები, რომელთა შედეგად ფულადი სახსრების მოძრაობა არ ხდება, მაგრამ ასეთი ოპერაციების შესახებ ინფორმაციის არსებობა საჭიროა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცელილების სრული სურათის მისაღებად. ასეთი ოპერაციებია:

- აქტივების შეძენა შესაბამის გალდებულებათა უშუალო აღებით ან ფინანსური იჯარით;
- საწარმოს შეძენა აქციათა ემისით; და
- სასესხო გალდებულებების საგუთარ კაპიტალად კონვერტირება.

ფინანსური იჯარა მოიჯარის ბუდალტრულ ჩანაწერებში აისახება მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელი ღირებულების კაპიტალიზების გზით. ამ დროს ადგილი აქვს აქტივის და შესაბამისად, გალდებულების წარმოქმნას, მაგრამ სააღრიცხვო პერიოდში ფულადი სახსრების მოძრაობა ამ ოდენობით არ ხდება.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში).

სავალუტო კურსის ცელილების შედეგად წარმოქმნილი ზარალით კორექტირებული, პერიოდის დასაწევის არსებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეადგენს 342 (395-53) ათას ლარს. მისი შედარებით პერიოდის ბოლოსათვის არსებულ შესაბამის მაჩვენებელთან დავადგინეთ, რომ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის განმავლობაში გაიზარდა 34 (376-342) ათასი ლარით.

ფულადი სახსრების მთლიანი ნაკადები, რომელიც წარმოქმნება შვილობილ საწარმოებსა და სხვა სამეურნეო ერთეულებზე კონტროლის აღებასა და დაპარგვასთან დაკავშირებით, განიხილება, როგორც საინვესტიციო საქმიანობა.

შვილობილ საწარმოზე ან სხვა სამეურნეო ერთეულზე კონტროლის აღების ან დაპარგვის სახით გადახდილი ან მიღებული ფულადი სახსრები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აისახება ნებო თანხით. შვილობილი საწარმოს მფლობელობის წილის ისეთი ცელილების შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადები, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაპარგვას, კლასიფიცირებული უნდა იყოს საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადად.

ისეთი საინვესტიციო და საფინანსო ოპერაციები, რომლებიც არ საჭიროებენ ფულად სახსრებს ან მათ ეკვივალენტებს, არ აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ისეთი საინვესტიციო და საფინანსო ოპერაციები, რომლებიც არ საჭიროებენ ფულად სახსრებს ან მათ ეკვივალენტებს, არ აისახება ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. აქტივების შეძენა შესაბამება ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემაღებელობის განსაზღვრისათვის გამოყენებული პოლიტიკა, ხოლო სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ნებისმიერი ცელილება ანგარიშგებაში აისახება ბასს 8-ის „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცელილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ - მიხედვით.

საწარმოს განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს საწარმოს არსებითი ოპერაციები, რომელთა შედეგად ფულადი სახსრების მოძრაობა არ ხდება, მაგრამ ასეთი ოპერაციების შესახებ ინფორმაციის არსებობა საჭიროა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცელილების სრული სურათის მისაღებად. ასეთი ოპერაციებია:



არაწარმოებული აქტივების აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში

სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვიანობის სრულყოფის მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №101 ბრძანებით მოწოდებული და სახელმწიფო კანონით მიღებულია აღრიცხვის რეფორმის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სექტორში ბუღალტრეული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის რეფორმის ძირითად მიმართულებებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2007 წლის 28 დეკემბრის 1321 ბრძანებით დამტკიცდა ინსტრუქცია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრეული აღრიცხვის შესახებ, რომლითაც შეიქმნა სამართლებრივი ბაზა სახელმწიფო სექტორის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვისათვის.

ინსტრუქცია შედგენილია სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკისა და ბუღალტრეული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი განსაზღვრავს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ფინანსებისა და აღრიცხვის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. აღნიშნულ ინსტრუქციაში გამოყენებული მირითადი ცნებები, კლასიფიკაციები და განსაზღვრებები ეფუძნება ეკონომიკურ განსჯას და პრინციპებს, რომლებიც მიუხედავად იმ გარემოებისა, რომელშიც ხდება მათი გამოყენება, უნიკერსალურ სასიათს უნდა ატარებდეს და მოქმედების ძალას ინარჩუნებდეს. მაგრამ, ის ფაქტი, რომ საჯარო სექტორში ადგილი აქვს მხოლოდ მისოვის დამახასიათებელ ეკონომიკურ ნაკადებს, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო აქტივებზე, განაპირობებს იმას, რომ ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ზოგიერთ ტერმინს არ ექნება თანაბარი მნიშვნელობა კერძო სამართლისა და საჯარო სუბიექტისთვის და მხოლოდ ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის გამოიყენება.

ეკონომიკური აქტივები წარსულში მომხდარი სამეცნიერო მოვლენის შედეგად ინსტიტუციონური ერთეულების მიერ მიღებული კონტროლირებადი რესურსებია, რომელთა მიმართ ინდიკირდული და კონკრეტური აღნიშნული მიზანების მიხედვით საქართველოს უფლების რეალზაციას და მათი გარკვეული დროის განმავლობაში ფლობის შე-

მარიამ ვარდიაშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკი-
სა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი

დეგად მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის, ან მომსახურების პოტენციალის შემოდინება.

ეკონომიკური აქტივები დირექტორების დაგროვების საშუალებებს წარმოადგენენ და სარგებელი მოაქვთ მათი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გამოყენების შედეგად, ან ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლების სახით (პროცენტები, დივიდენდები და ფინანსური აქტივების, მიწის, წიაღისეული აქტივების და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივების იჯარიდან მიღებული რენტა).

ამავე მოვლენის პლანიზიპაცია

სახელმწიფო მმართველობის ორგანოები აქტივების უფრო ფართო საექტრს მოიცავს, ვიდრე, კერძო საწარმოების საკუთრებაში მყოფი აქტივები. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები შეიძლება ფლობდენ კოლექტიური, ან ინდივიდუალური მომსახურების საწარმოებლად განკუთვნილ აქტივებს აგრეთვა, აქტივებს, რომელთა მომსახურებაც უშეალოდ საზოგადოების მიერ მოიხმარება და აქტივებს, რომლებიც მათი ისტორიული, ან კულტურული მნიშვნელობის გამო დაცვას საჭიროებენ. გამოყენების მიხედვით სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტივები სამ ჯგუფად იყოფა (იხ. ნახ. 1):

ზოგადი დანიშნულების აქტივები გამოიყენება კოლექტიური, ან ინდივიდუალური მომსახურების საწარმოებლად.

ინფრასტრუქტურული აქტივების გამოყენებიდან მიღებულ სარგებელს მოიხმარს საზოგადოება.

ეროვნული მემკვიდრეობის აქტივებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ინახავენ განუსაზღვრელი დროით მათი უნიკალური ისტორიული, კულტურული, საგანმანათლებლო, მხატვა-

ନାଟ୍ୟବିଜ୍ଞାନ



რული, ან არქიტექტურული მნიშვნელობის გამო.
სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის მიზნებისთვის, მოქმედი ინსტრუქციით, აქტივები კლასიფიცირდება არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებად და სხვა დებიტორულ დავალიანებად (ის. ნახ. 2):

არაფინანსური აქტივები შეიძლება შეიქმნას წარმოების პროცესის შედეგად, იყოს ბუნებრივად წარმოქმნილი, ან წარმოადგენდეს საზოგადოებრივი მოწყობის პროდუქტის.

წარმოებული აქტივებია:

- ძირითადი აქტივები;
 - სასაქონლო მატერიალური მარაგები;
 - ფასეულობები.

ბუნებრივად წარმოქმნილ, ან საზოგადოებრივი მოწყობის პროცესში ჩატარებული არასებობს საკუთრების უფლება და რომლისგანაც მოსალოდნელია გეონომიკური სარგებლის შემოსვლა, ეწოდება არაწარმოებული აქტივები. არაწარმოებული აქტივები მოიცავს:

• ბუნებრივად წარმოქმნილ მატერიალურ აქტებს, და

- არაწარმოებულ არამატერიალურ აქტივებს

ბჟევირიგად წარმოქმნილი აქტივები შრიცვას
მიწას, წიაღისეულ აქტივებს და სხვა ბუნებრი-
ვად წარმოქმნილ აქტივებს, რომელთა საკუთრე-
ბის უფლება ძალაშია შესული.

მიწა, თავისთვად, წარმოადგენს გრუნტს ნი-
ადაგის საფარით და მასთან დაკავშირებული
ზედაპირული წყლების და მნიშვნელოვანი გა-
უმჯობესების ჩათვლით, რომელთა მიწისგან ფი-
ზიკური განცალკევება შეუძლებელია, შემდეგი
ობიექტების გამოყენებით:

ა) მიწაზე, ან მიწის ქვეშ აშენებული შენობა-
ნაგებობები, როგორიცაა: გზები, საოფისე შენო-
ბები და გაირაბებები;

ბ) კულტივირებული გენაცები, ხეხილის ბალები და სხვა პლანტაციები;

გ) მარცვლეული კულტურები და ცხოველების გასამრავლებელი აღგილები;

6 6.28 6.2 28.28 7

დ) წიაღისეული;
ე) არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები;

გ) მიზისქეშა წყლის რესურსები.
წიაღისეულ რესურსებს განეკუთვნება ნავოობის, ბუნებრივი გაზის, ნახშირის, ლითონის მადნისა და სასარგებლო არამაღლეული წიაღისეულის დადასტურებული მარაგები.

სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივები მოიცავს რადიოსის შირული სპექტრით სარგებლობის დიცენზიებს, რომლებიც გაიცემა 10 წლის ვადით, არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსებს, წყლის რესურსების და ელექტრომაგნიტური სპექტრს.

ელექტრომაგნიტურ საექტრში აღირიცხება
რადიოსისტმირეგების ნაკრები, რაც ხმის, მონაცემებისა და სატელევიზიო სიგნალების გადაცემისას გამოიყენება.

არაგულტივიობებულ ბიოლოგიურ რესურსებში აღირიცხება ცხოველები და მცენარეები, რომლებზეც შეიძლება სარგებლობის უფლების დაწესება და რომელთაც გააჩნიათ ეპონომიკური დირებულება, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბუნებრივი განახლება რომელიმე ინსტიტუციონალური ერთეულის უშუალო კონტროლის, პასუხისმგებლობისა და მართვის ქვეშ არ იმყოფება. მაგალითად, გაუვალი ტექნიკი და ოვაზის მარაგები, რომელთა კომერციულად გამოყენებაც შესაძლებელია.

ამასთან, არაგულტივირებული ბიოლოგიური რესურსები მოიცავს მხოლოდ იმ რესურსებს, რომლებიც შედიან მასთან დაკავშირებული მიწის ღირებულებაში.

წყლის რესურსებში აღირიცხება გრუნტისა და სხვა მიწისქვეშა წყლების რესურსები, რომლებიც:

ა) საქმაოდ დეფიციტურია იმისათვის, რომ
მათზე სარგებლობის უფლებების დაწესებისა
და გამოყენების უზრუნველყოფა გამართლებუ-

აქტივები



ლი იყოს;

ბ) ეკონომიკური მიზნებისთვის მათი გამოყენების საშუალებას იძლევა და ასეთი ექსპლუატაცია უახლოეს მომავალში შესაძლებელია;

გ) გააჩნიათ ეკონომიკური დირექულება, რომელიც მიწის დირექულებაში არ შედის.

არამატერიალური არაწარმოებული აქტივები წარმოადგენს საზოგადოებრივი მოწყობისთვის განკუთვნილ პროდუქტებს, რომელთა არსებობაც დადასტურებულია სამართლებრივი, ან ბუღალტრული ქმედებებით. ისინი მფლობელებს უფლებას აძლევენ წარმართონ ესა თუ ის კონკრეტული სახის საქმიანობა, ან, აწარმოონ კონკრეტული სახის საქონელი ან მომსახურება. ამასთან, სხვა ერთეულებს აუკრძალონ მსგავსი საქმიანობის წარმართვა მესაკუთრების ნებართვის გარეშე. არამატერიალური არაწარმოებული აქტივებია: დაპატენტების ობიექტები, ლიზინგის და სხვა ხელშეკრულებები, აგრეთვე შეძენილი გულებილი.

პატენტი არის არაწარმოებული არამატერიალური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფს გამოგრძების სამართლებრივად დაცვას.

ლიზინგი და სხვა ხელშეკრულებები, რომელთა კლასიფიცირებაც ხდება ეკონომიკურ აქტივებად, მოიცავს - ლიზინგის ხელშეკრულებებს მიწაზე, შენობა-ნაგებობებზე და მანქანა-დანადგარებზე; ელექტრომაგნიტური სპექტრის, ან სასარგებლო წიაღისეული საბადოების გამოყენების ექსპლუზიურ უფლებებს; ხელშეკრულებებს სპორტსმენებსა და აგტორებთან; აგრეთვე, უფლებებს ჯერ კიდევ არაწარმოებული მატერიალური აქტივების შეძენაზე.

შეძენილი გულებილი მოიცავს სხვაობას მოქმედი საწარმოსთვის გადახდილ დირექულებასა და მისი აქტივების დირექულებას შორის, ვალდებულებების გამოკლებით.

არაწარმოებული ამატივების

მიღების ოპერატორი

არაწარმოებული აქტივების მიღების სხვადასხვა გზა არსებობს, ესენია; ეკონომიკურ აქტივად აღიარება, შეძენა, მიღება გრანტით, შექმნა.

შესაძლებელია არსებობდეს არაწარმოებული ობიექტები, რომლებიც არ არის ასახული ბალანსში, ვინაიდან, შეუძლებელია განისაზღვროს მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. იმისათვის, რომ ობიექტი აღიარებული იქნეს ეკონომიკურ აქტივად, აუცილებელია მასზე საკუთრების უფლებათა ამოქმედება და ეკონომიკური სარგებლის მიღების განსაზღვრა.

თუ ობიექტი, რომლის არსებობაც ცნობილია, ხდება ეკონომიკური აქტივი, მაშინ მისი აღიარება და ბალანსშე დამატება უნდა აისახოს სხვა მოცულობითი ცვლილებებში.

ბუნებრივად წარმოქმნილი არაწარმოებული აქტივის ეკონომიკურ აქტივად აღიარების აუცილებლობა შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა მოვლენებმა. მაგალითად:

მეზობელ რაიონებში საერთო ეკონომიკურმა განვითარებამ შეიძლება უპაცრიელი მიწის ფართოები გადააქციოს ისეთ ადგილებად, სადაც შესაძლებელი იქნება საკუთრების უფლებათა ამოქმედება და მისი ეკონომიკურად გამოყენება.

ასეთ შემთხვევაში მიწის ეკონომიკურ აქტივად აღიარება ბუღალტრულად აისახება გატარებით:

დებეტი – მიწა

პრედიტი - აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები

არაწარმოებული აქტივების სააღრიცხვეო სისტემაში ასახვის შემდეგ ოპერაციები, რომლებიც მათი საკუთრების შეცვლასთანაა დაპავშირებული, აისახება ისევე, როგორც ძირითადი აქტივებით ოპერაციები.

არაწარმოებული აქტივების სხვა ერთეულების მიღებან შეძენა, ან გრანტით გადაცემა, შესაბამისად აისახება:

დებეტი - არაწარმოებული აქტივები

პრედიტი - ფულადი ანგარიშები, ან ფალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან, ან/და

პრედიტი - გრანტები

ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს შორის არაწარმოებული აქტივის გადაცემა, მიმღებ ორგანიზაციაში აისახება ბუღალტრული მუხლით:

**დებეტი - არაწარმოებული აქტივები
პრედიტი - წმინდა დირებულება**

მმართველ ერთეულს შეუძლია შექმნას ეკონომიკური აქტივები ბუნებრივად წარმოებულ აქტივებზე საკუთრების უფლებათა ამოქმედების გზით, როგორიცაა: მაგალითად, **ელექტრომაგნიტური საექტრო**. ასეთი სახის აქტივის მიღება აისახება:

**დებეტი - სხვა ბუნებრივი აქტივები
პრედიტი - აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები**

არაწარმოებული აქტივის აღიარება უნდა შეწყდეს მისი გასვლისას; ან/და როდესაც აქტივის გამოყენების, ან შემდგომი გასვლისას ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლებელია.

აქტივის გასვლა შეიძლება მისი გაყიდვით, ან უსასეყიდლოდ გადაცემით.

არაწარმოებული აქტივის გაყიდვისას საბალანსო დირებულებასა და გაყიდვის დირებულებას შორის სხვაობა, როდესაც საბალანსო დირებულება მეტია გასაყიდ ფასზე, და ადგილი აქტივის ზარალს, აისახება ანგარიშის მოგება/ზარალი ფლობიდან დებეტში. ხოლო, როდესაც საბალანსო დირებულება ნაკლებია გასაყიდ ფასზე, და ადგილი აქვს მოგებას, სხვაობა აისახება ანგარიშის მოგება/ზარალი ფლობიდან კრედიტში.

არაწარმოებული აქტივების უსასეყიდლოდ გადაცემა აისახება გრანტების, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების, ან წმინდა დირებულების (ერთი დონის სახელმწიფო მმართველობის ერთეულებს შორის გადაცემის შემთხვევაში) ანგარიშების დებეტსა და არაწარმოებული აქტივების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში.

არაწარმოებული აქტივი, რომელსაც ადარ გააჩნია ეკონომიკური დირებულება, უნდა ჩამოიწეროს ბალანსიდან. მაგალითად, მინერალური რეზერვების, მიწის, ტყის, თევზის მარაგის და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივების კომერციული უქსპლოატაცია შეიძლება არარეალური გახდეს მათი ამოწურვის, ან გამოფიტვის გამო. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული აქტივის ჩამოიწერა აისახება;

**დებეტი - სხვა მოცულობითი ცვლილებები
პრედიტი - არაწარმოებული აქტივები**

არაწარმოებული აქტივების მთლიანი, ან ნაწილობრივი განადგურება სტიქიური უბედურების შედეგად, ანალოგიური გატარებით, სხვა მოცულობითი ცვლილებების დებეტსა და არაწარმოებული აქტივების კრედიტში აისახება.

არაწარმოებული აპტივების

წილმდებარებითი შევასება და

არაწარმოებული ასახვის დო

არაწარმოებული აქტივების ლირებულება განისაზღვრება პირვანდელი, ან შეძენის დირებულებით, რომელიც კორექტირებულია ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მათი შეძენის შემდეგ.

არაწარმოებული აქტივების შეძენის შემთხვევაში დირებულებითი შეფასება ხდება გადახდილ ფასზე აქტივების საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი დანახარჯის დამატებით.

მიწა და შენობები მათი ერთად შეძენის შემთხვევაში აღირიცხება ცალ-ცალკე როგორც დამოუკიდებელი აქტივები. ლირებულებითი შეფასების საფუძვლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შეფასების გზით დადგენილი მიწის დირებულებასა და მასზე არსებული ნაგებობების დირებულების თანაფარდობა.

მიწა არამორტიზირებადი აქტივია, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და შესაბამისად მას ცვეთა არ დაერიცხება.

მიწის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები, რომლებიც იწვევენ მიწის რაოდენობრივი და სარისხობრივი მახასიათებლებისა და მიწის პროდუქტიულობის ზრდას, ან ეწინააღმდეგებიან მისი ხარისხის დაცემას, ემატება მიწის საბალანსო დირებულებას და ადირიცხება, როგორც არაწარმოებული აქტივის მიღება.

არაწარმოებულ არამატერიალურ აქტივებს მოქმედების ვადის განმავლობაში ერიცხება ამორტიცაზია სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა შეუძლებელია წლიურად 10% -ის ოდენობით.

წილისეული და სხვა ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივების დირებულებითი შეფასება ხდება მათი კომერციული გამოყენებიდან მოსალოდნებლი წმინდა შემოსავლების მიმდინარე დირებულებით.

ბუნებრივად წარმოქმნილი აქტივის ბალანსზე ადგების მომენტის განსაზღვრისთვის გამოიყენება პირველი მასტრაბული კომერციული გამოყენების, ან იმ ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, რომელიც იძლევა უფლებას მის კომერციულ გამოყენებაზე.

ამრიგად, არაწარმოებული აქტივები სამეცნიერო ოპერაციის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამდ, ბუნებრივად წარმოებული აქტივებია, რომლის აღიარება ხდება მათზე საკუთრების უფლების ძალაში შესვლის შემდეგ. არაწარმოებული აქტივების აღრიცხვისას მათი სწორი კლასიფიკაცია, ლირებულებითი შეფასება და დროული აღიარება ინსტიტუციონალური ერთეულის ეკონომიკური მდგრამარების და ქვეყნის მასშტაბით არსებული ეკონომიკური აქტივების რეალური შეფასების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.



უნდა ავირჩიოთ პრიორიტეტები

**საქართველოს მთიანეთის სოციალურ-
ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების
თავისებურებანი და პერსპექტივები**

მსოფლიოში აღიარებულია (ციურიხის კარტოგრაფიული ინსტიტუტი) დედამიწის რელიეფის შემცევები სერატი: ხმელეთის თითქმის 50% ზღვის დონიდან 500 მეტრზე მაღლაა, მათ შორის 27% - 1000 მეტრზე, 1% - 2000 მეტრზეა, 5% - 3000-ზე და 2% - 4000 მეტრზე მდებარეობს [1, 11].

ეს მონაცემები ადასტურებს, რომ დედამიწაზე მთის ტერიტორიებს ხვედრითი ნონით მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. სავარაუდოდ, მომავალში მათი როლი კიდევ უფრო გაიზრდება და ისინი შეიძენენ კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორის ფუნქციას.

**ცენტის „მთიანეთის“
სოციალურ-ეკონომიკური
და ეკოლოგიური ასპექტები
(მსოფლიო გამოცდილება)**

მსოფლიოს მთიანი რეგიონები ერთ-ერთი კლასიფიკირებით დაყოფილია 4 კატეგორიად (ზონად) ორი მთავარი კრიტერიუმის მიხედვით: ზღვის დონიდან ტერიტორიის სიმაღლე და რელიეფის ვარდნა (300 მეტრით 5 კმ ორთოგონალურ პროექციაში). ასე-თი მიდგომით გაანალიზებულია და დახასიათებული მსოფლიოს 199 ქვეყანა და განსაზღვრულია მთის ტერიტორიების შემდეგი წილები: 0-10%, 10-25%, 25-50%, 50-100%. დასახელებული კლასიფიკირებით საქართველო წარმოდგენილია IV კატეგორიაში (ზონაში), რომელშიც სხვა 51 ქვეყანაც ერთიანდება (მათ შორისაა სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, საბერძნეთი, იტალია, შვეიცარია, ყირგიზეთი, იაპონია და სხვ.). თითოეული ქვეყანა თავად განსაზღვრავს საკუთარი ტერიტორიის ვერტიკალურ ზონებს. ამიტომ ჩამოყალიბდა განსხვავებული მიდგომები. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, პოლონებიში

მთიანეთად ითვლება ტერიტორია, თუ იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 350 მეტრზე, საფრანგეთში მიღებულია 600 მეტრი, ბულგარეთში – 600, საბერძნეთში – 800, უკრაინაში – 500 მდა სხვ. [1, 11-12].

რაც შეეხება საქართველოს, მისი ზონალობის მაჩვენებელი განისაზღვრა საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ (1999 წ. შემდგომი დამატებებით).

ამ კანონის მე-4-ე და მე-5-ე მუხლები განმარტავს „მაღალმთიანი რეგიონის“ ცნებას:

„მუხლი 4.

ჰიტსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტევა-

ცენტრ ჰითანავა,
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
უზრნალ „ბიზნესი და
კანონმდებლობის“
სამეცნიერო საბჭოს წევრი

დობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაცლის შემთხვევაში – 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი.

მუხლი 5.

ჰიტსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მთლიანად მხოლოდ მთიულეთზე და გუდამაყრის ხეობებზე, ფშავ-ხევსურეთზე და თუშეთზე, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლება“ [2, 4-5].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიის 26,7% – 500 მეტრზეა ზღვის დონიდან, 21,7% – 500-დან 1000 მეტრზე, 19,1 – 1000-1500 მეტრზე, 31,5 – 1500-3000, 1,5% – 3000 მეტრზე ზევით მდებარეობს [3, 35].

ვერტიკალური ზონალობის ეს თავისებურება უდევს საფუძვლად



ეკონომიკის გადაადგილებასა და სპეციალიზაციას.

თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით რიო-დე-უანეიროს სამიტის შემდეგ (1992 წ.) თვისებრივად შეიცვალა დამოკიდებულება მთიანეთის განვითარების პრობლემის მიმართ. მთიანეთის განვითარების მრავალმხრივი პრობლემბის სხვადასხვა ფორუმებზე განხილვის (ინდონეზიაში კონფერენცია „საერთაშორისო თანამშრომლობა მთიან რეგიონებში თანამშრომლობისათვის“ (2002 წ.), იოანსბურგის სამიტი (2002), ბიშკეკში მთიანეთის მსოფლიო სამიტი (2002) შემდეგ მათ მიმართ მეცნიერების მიდგომები დაუასლოვდა ერთმანეთს და მიღწეულია კონსენსუსი: მთიანეთი განიხილება როგორც უნიკალური ფუნქციურ-ტერიტორიული წარმონაქნი, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს მსოფლიოს (შესაბამისად ქვეყნების) განვითარების პროცესში. დაკონკრეტებულია მთიანეთის როლი და მნიშვნელობა გლობალური მასშტაბით ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. მიჩნეულია, რომ მსოფლიოს ბიოსფერული რეზივატების 45%-მდე მთიან ზონაშია განთავსებული. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მთის რეგიონებს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განმტკიცების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა

არსებულ მოდელებს, ცხოვრების წესს, მეურნეობრიობის ტრადიციებს, ფოლკლორის მრავალფეროვნებას, გარემოს დაცვის დაგროვილ გამოცდილებას და სხვ.

დღეს მსოფლიოში მთიანეთის განვითარების ფუძემდებლურ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზად აღიარებულია მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც რიო-დე-უანეიროს სამიტმა მიიღო (1992 წ.).

გდეგრადი განვითარების კონცეფციის არსი

თავად ცნება „მდგრადი განვითარება“ მოიცავს რთულ საზოგადოებრივ პროცესებს, რადგანაც იგი მიჩნეულია სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების მაგისტრალურ მიმართულებად. იგი უნდა პასუხობდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების დაკამაყოფილებას და ამავდროულად მომავალი თაობების განვითარების ინტერესებსაც უნდა ითვალისწინებდეს. ასეთია მდგრადი განვითარების გაერთის ყოვლისმომცველი შეფასება [4. 128].

რიო-დე-უანეიროს დეკლარაციამ აღიარა საზოგადოებრივი განვითარების მეთოდოლოგიური სამერთიანობა: სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარება. ეს მიდგომა განსხაზღვრებისათვის განვითარების საზოგადოების შემდ-

გომიპროგრესისთვის. **ჯერ-ერთი,** იგი რეალურად გამოხატავს სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთმოქმედების სრულიად ახალ პრინციპებს და, მეორე, შეესაბამება, როგორც გლობალურ, ასევე ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის საერთო ინტერესებს. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვისადმი დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდება ადრე არსებულისგან. ეს გამოწვეულია მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობის კატასტროფული ხასიათით.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მოსახლეობის (დაახლოებით 6,5 მლრდ) დიდი ნაწილიდან (ამასთან, 1,5 მლრდ ადამიანი ხარისხიანი წყლის გარეშე) წყალზე მოთხოვნილებას ვერ იკავითო-ლებს სოფლის მოსახლეობის 75%. ექსპერტთა აზრით, თუ ასე გაგრძელდა XXI საუკუნის მეორე ნახევარში მოსალოდნელია მტკნარი წყლის რესურსების ამონურვა [5. 69]. მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო მიწების 25% დეგრადირებულია. ოზონის ფენა, რომელიც ისრუტავს ბიოლოგიურად საშიშრადიაციას, ინტენსიურად იშლება. მისი ფენის შემცირების სიჩქარე წელიწადში 1-2%-ს შეადგენს. XX საუკუნეში დედამიწაზე საშუალო ტემპერატურამ ერთი პროცენტით მოიმატა. მიწის, წყლის, ატმოსფეროს გაჭუჭყიანებამ, მათ შორის რადიაციამ ფართო მასშტაბები მიიღო [6. 46].

როგორც ჩანს, ეკონომიკის განვითარებამ მწვავე, საყოველთაო მნიშვნელობის ეკოლოგიური პრობლემები შექმნა, რომელებიც გამოირჩევან სიმძაფრით, მასშტაბებით, ნინააღმდეგობრივი ხასიათით. კაციობრიობის ბუნებისადმი პრაგმატული მიდგომა, მაღალი ტექნოლოგიებით, მტაცებლური დამოკიდებულებისა და შესაბამისად, მოგების მაქსიმიზაციის პრინციპებით შექმნა სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიურ პრობლემათა რთული კვანძი. ეს მოსაზრება მკვეთრად დაფიქსირდა რიო-დე-უანეიროს სამიტზე.

მაგალითად, კონფერენციის გახსნისას მისმა თავმჯდომარემ მ. სტრონგმა განაცხადა: „ეკონომიკური ზრდის პროცესებს, რომლებმაც შექმნეს მდიდარი უმცირესობის კეთილდღეობისა და ძლიერების უპრეცედენტო დონე, საზოგადოება მიჰყავს ერთდროულად რისკებისკენ და დისპალანსისკენ, რომლებიც ერთნაირად ემუქრება მდიდრებსაც და ლარიბებსაც. განვითარების ასეთი მოდელი და მისი შესაბამისი მოხმარების ხასიათი არ არის მდგრადი მდიდრებისათვის და არ შეიძლება განმეორებულიქნას ლარიბების მიერ [7, 127].

ბიზნესი და ეკოლოგია კონფლიქტში აღმოჩნდნენ ჩათრეული. თვითონ ბიზნესმა შექმნა მწვავე ეკოლოგიური პრობლემები. ამიტომ, ლოგიკურად დადგა ამოცანა: ბიზნესმა ეკოლოგიური პრობლემები უნდა გადაწყვიტოს. ეს შეუძლია მხოლოდ ეფექტურ ეკონომიკას. ასეთი ეკონომიკა საქართველოს სამწესაროდ, დღეს არ გააჩნია, იგი სისტემურ კრიზისში იმყოფება. ამასთან, ჩვენთან, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში (განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ სივრცეში) ორი უმწვავესი პრობლემა ერთ კვანძად შეიკრა და ერთდროულად გლობალურად დაისვა მოხმარებისათვის.

სილარიბესთან ორგანიზებული ბრძოლისა და გარემოს დაცვისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიული ამოცანა. აღსანიშნავია, რომ ორი უმწვავესი ზოგადსაკაცობრიო პრობლემა ზედმინებულით ეროვნულიც გახდა. ეს თავისებურება როგორც გლობალურ, ასევე, ეროვნულ დონეზე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

აქვე უნდა ითქვას იმ ტენდენციაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი ნილად ხელი შეუწყო ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამწვავებას. საქმე გვაქვს პარადოქსთან: მეცნიერება საერთოდ (როგორც ასეთი) მნიშვნელობის ჩამოყალიბების ნაცვლად, რომელსაც შეეძლო გარკვეულწილად შეემცირებინა გარემოზე ადამიანის აგრესიული ზემოქმედება და აეცდინა ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გამწვავება, უფრო დამდგარ, ან ფორმირებად შედეგებს (ტენდენციებს) აფიქსირებდა, აფასებდა და დიდი დაგვიანებით იძლეოდა საერთო რეკომენდაციებს. ამიტომ, სამეურნეო პრაქტიკა ყოველთვის წინ უსწრებდა ეკოლოგიური საფრთხის მიმართ მეცნიერული ცოდნის ზრდას და ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

იმისათვის, რომ სწორად გავიცნობიეროთ სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა, სამივე პრობლემა ერთ მთლიან სისტემა-პროცესად უნდა წარმოვიდგინოთ. ისინი ერთმანეთთან უშუალოდ არიან დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისიხთ გამოირჩევიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხოლოდ ეროვნულ საზღვრებში არ არიან განთავსებული – მათ ძლიერი ინტერნაციონალური ბუნებაც აქვთ.

ამიტომ მართებულად არის მიჩნეული, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარება ყოველთვის განხილულ იქნას როგორც ერთიანი გლობალური (და ლოკალურიც) პროცესი, თავისი პროცეს-შენაკადებით, მათი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით. ეს კი სისტემურ მიდგომებს და შესაბამისად, კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდოლოგიას უნდა დაეფუძნოს!

მდგრადი განვითარების პროცესისადმი სისტემური მიდგომის მაგალითად გამოდგება გაეროს მიერ შემუშავებული ინდიკატორთა სისტემა, რომელიც შემოღებულია 1995 წლიდან და მოიცავს 130 ინდიკატორს [8, 87-91]. მათ საფუძველზე ქვეყნებს საშუალება აქვთ ადგილობრივი პირობების მიხედვით თვითონ განსაზღვრონო რიცხვტირები. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული კლასიფიკაციით ინდიკატორები განიხილება შემდეგი თანმიმდევრობით; სოციალური ინდიკატორები (სილარიბის დაძლევა, დემოგრაფიული მდგრადობა, განათლება, ჯანმრთელობა, დასახლების მდგრადი განვითარება და სხვა); ეკონომიკური ინდიკატორები (მშპ, მოხმარების მოდელების შეცვლა, ფინანსური რესურსები, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები, შრომის ნაყოფიერება); ეკოლოგიური ინდიკატორები (წყლის რესურსები, მთის ზონაში მდგრადი განვითარება, სოფლის



მეურნეობა, სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარება, პიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ატმოსფეროს დაცვა და სხვ.).

იმისათვის, რომ ინდიკატორების შესაბამისი პრობლემები (ამოცანები) გადაწყვდეს შემოთავაზებულია ინსტიტუციური ინდიკატორების გამოყენება. იგულისხმება მდგრადი განვითარების სტრატეგიების შემუშავება, გარემოზე ეროვნული სტატისტიკის პროგრამების შექმნა, მილიონ მოსახლეობაზე პოტენციური მეცნიერებისა და ინჟინერების რაოდენობის განსაზღვრა, მდგრად განვითარებაში მეცნიერების როლი და სხვ.

ინდიკატორების განსაზღვრის ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგია გვიჩვენებს, რომ კაცობრიობა დადგა არჩევანის წინაშე: დარჩეს ორიენტირებული როგორც დღემდე წარმოების განუსაზღვრელ ზრდაზე, თუ ეს ზრდა იყოს განსაზღვრული ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის უნარის რეალური შესაძლებლობებით, თანაც სოციალური განვითარების როგორც უახლესი, ასევე, შორეული მიზნების განხორციელების გათვალისწინებით.

გაეროს რეერმენდაციების მიხედვით, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა

მსოფლიოში განხორციელდეს რამდენიმე მოთხოვნა. პირველი, დაჩარდეს ეკონომიკის განვითარება. 2050 წლისათვის მიღწეულ იქნას ეფექტურიანობის ზრდა 5-10-ჯერ, რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებანი და მოისპოს სიღატაკე (2000 წელს მსოფლიო მოსახლეობის 42% სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა).

მეორე, მსოფლიოში უნდა შენელდეს მოსახლეობის ზრდა. იგულისხმება, რომ აზიისა და აფრიკის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე, ამის შესაძლებლობას რეგიონების ეკოლოგიური სიტუაცია იძლევა.

მესამე, ძირითადი პიოლოგიური კაპიტალის შემცირების შეწყვეტა. იგულისხმება ბიოლოგიური რესურსების ოპტიმალური ხარჯვა, რათა მან არ გადააჭარბოს ბუნებრივ აღწარმოებას.

მეოთხე, წარმოების ხასიათის რადიკალური ცვლილება. ენერგიის მაქსიმალური დაზოგვით იგულისხმება ენერგიის ხარჯვის სტაბილიზირება და შემცირება.

მეხუთე. ინვესტიციების ზრდა გარემოს დაცვაში და მისი შემცირება შეიარაღებაში. XX საუკუნის ბოლოს ყოველწლიურად მსოფლიოში შეიარაღებაზე ერთი ტრილიონი დოლარი იხარჯებოდა, ეს ბევრად მეტია, ვიდრე

გარემოს დაცვისთვის გამოყოფილი თანხები. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში გარემოს დაცვის ხარჯები ეროვნული შემოსავლის 1,5-3%-ს შეადგენდა, ხოლო, შეიარაღების ხარჯები – 5-6%-ს.

მდგრადი განვითარების კონცეფიაში მოცემულია ფუნდამენტური მოთხოვნები, მათ შორის მნიშვნელოვანია ადამიანის უფლება – იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და ბუნებასთან სრულ პარმონიაში; გარემოს დაცვა, როგორც მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი; წინააღმდეგობის შემცირება მსოფლიო ხალხებსა და მდიდარ და ღარიშ ფენებს შორის. ბუნების დაცვითი კანონმდებლობის სრულყოფა, უარის თქმა მდგრადი განვითარების ხელისშემსლელ ტექნოლოგიებზე და სხვა. ყველა ეს მოთხოვნა ქმნის კონცეფტუალურ, მეთოდოლოგიურ ბაზას ნებისმიერ ქვეყანაში მდგრადი განვითარების პრინციპებზე ეროვნული ეკონომიკის გადაყვანის სახელმწიფო პროგრამების შედგენისა და განხორციელებისათვის [9. 565].

მთიანი რეგიონების (მთიანი თიპის) განვითარების რეალიზაციის მსოფლიო გამოცდილება

მსოფლიოში გამოიკვეთა რეგიონების დასპროპორციული განვითარების პრობლემა, ამჟამად ერთმანეთისგან განასხვავებენ შემდეგი სახის ტერიტორიებს: დეპრესიული რეგიონი (სადაც განვითარების ტემპები მკვეთრად დაეცა), სტაგნაციური (სადაც განვითარება ნელი ტემპებით, ან საერთოდ არ ხდება), პიონერული (ყამირი), რომლებიც ახალ ათვისებას ექვემდებარება. მიკრორეგიონები, ეკონომიკური რეგიონები, პროგრამული, უნიკალური (პროექტული), პრობლემური [10. 62].

ნებისმიერი ქვეყანა თვითონ განსაზღვრავს ცენტრისა და მი-



სი ტერიტორიის (რეგიონის) ურთიერთობებს, ხელს უწყობს მათი ინტერესების დაპალანსებას და ერთიანი სტრატეგიით ცდილობს ქვეყნის კომპლექსურ განვითარებას. ამ მიზნით გამოიყენება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თავისებურებებს მისადაგებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიღებობები.

ჩვენთვის საინტერესოა მთიანეთის განვითარების მსოფლიო გამოცდილების კონტექსტში გავეცნოთ ჩვენივე ზონის (IV ზონა) ქვეყნების გამოცდილებას. უპრიანია განვიხილოთ თუნდაც ორი ქვეყნის, შვეიცარიისა და იაპონიის გამოცდილება.

შვეიცარიაში სხვადასხვა დროს ეტაპობრივად განხორციელდა სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა. პირველ რიგში მთის ზონის ფერმერებისა და მეტყევებისთვის სუბსიდიები გამოიყო და შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეიქმნა. ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობა (კომლი) სახელმწიფოსგან იღებს დოკუმენტაციას, ასევე, მიზნობრივ სუბსიდიებს. მთიანი რეგიონის ათვისების თვალსაზრისით, ქვეყანაში განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები: სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა; ტრანსპორტის განვითარება; მიზნობრივი (წერტილოვანი) დაფინანსება. შეღავათიანი გადასახადების დაწესება. გამოიყენება მცირეპროექტებისთვის შეღავათიანი სესხების გაცემის პრაქტიკაციორთა განმავლობაში, შეძენილი გამოცდილების ფონზე, მიზანშეწონილდ ჩაითვალა მთიანი რეგიონის განვითარების ფედერალური კონცეფციის შემუშავება და ფედერალური კანონის მიღება (1974 წ.), რომლის შესაბამისად ხორციელდება სახელმწიფო პოლიტიკა.

რაც შეხება იაპონიას. ამ ქვეყანაში გამოიყენება პრობლემების გადაწყვეტის მიმართ პროგრამული მიღებომა. მაგალითად, 1965 წელს მთავრობამ დაამტკიცა ქვეყნის მთიანი რეგიონების განვითარების აქტი (პროგრამა), რომელშიც ხაზი გაესვა ქვეყნის მთიანეთის განვითარების სპეციფიკურ

ნიშნებს და განისაზღვრა შემდეგი მიზნები:

- საგზაო-სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, რესურსების (განსაკუთრებით წყლისა და მიწის) ადგილობრივი პირობების შესაბამისად ეფექტიანი გამოყენება. ადგილობრივი წარმოების განვითარება და დასაქმება, სოციალური ინფრასტრუქტურის მისაცვლომობის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრიორიტეტებით განვითარების პოლიტიკას მთავრობა ახორციელებდა სექტორული (დარგობრივი) პროგრამებით. ასეთი მიღებომით ხაზი გაესვა სახელმწიფოს როლს პრობლემის გადაწყვეტაში.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე მსოფლიოში შემუშავებულია და პრაქტიკულად ხორციელდება შემდეგი სახის რეკომენდაციები [1. 65-68].

• მთიანეთის (როგორც ქვეყნის ტერიტორიის) აღიარება ქვეყნის განვითარების მიზნების განვითარების და სპეციფიკურ კომპონენტად (ეს ნიშნავს, რომ პრობლემა დაფიქსირებულია სახელმწიფოს პოლიტიკაში);

• მთიანეთის მდგრადი განვითარების აღიარება (გულისხმობს ქვეყნის განვითარების სტრატეგიის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიღების შემცირების განვითარების მიღებას);

• მთიანეთის ეკონომიკური განვითარების დივერსიფიკაცია (გულისხმობს ეკონომიკურ განვითარებაში დიფერენცირებული მიღების გამოყენებას);

• სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება (გულისხმობს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას);

• სექტორული (დარგობრივი) პოლიტიკის განხორციელება (გულისხმობს მთიანეთის ათვისების პროცესების კოორდინირებულად რეგულირებას);

• ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება ინოვაციური განვითარებისთვის (გულისხმობს

მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას);

- ადგილობრივი კულტურული თავისებურებების შენარჩუნება-განმტკიცება (გულისხმობს ფართო გაგებით ეროვნული თვითმყოფადობის მისამართოვანი კომპონენტის ახალ რეალობასთან ადაპტირებას და შემდგომ განმტკიცებას);

- მთიანი რეგიონების ეკოლოგიური სისტემების კონსერვაცია (გულისხმობს ტერიტორიაზე ბუნებრივი ბალანსის შენარჩუნება-განმტკიცებას);

- მთიანეთის მდგრადი განვითარების ინსტიტუციონალიზაცია (გულისხმობს შესაბამისი სტრუქტურების და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნას);

- მთიანეთში განსახლების სისტემებისა და რაიონული დაგეგმვარების პროექტების (სქემების) წინაშერები შემუშავება (გულისხმობს პრევენციული ზომების მიღებას);

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მთიანი რეგიონების (მთიანეთის) განვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათი ლოგიკურად აისახა სხვადასხვა კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიღების შემცირების განვითარებას. განვითარების მათგანი 1991 წელს მიღებულ იქნა „აღმდების დაცვის კონვენცია“, რომლის შემუშავებაში მონაწილეობდა 6 ქვეყანა. ეს დოკუმენტი გამოირჩევა მასშტაბური ხედვით და მთიანეთის განვითარების პრობლემების მიმართ კომპლექსური მიღებომით. აღნიშნული დოკუმენტით მთიანეთის განვითარების 12 ძრითადი მიმართულება გამოიყო:

- მოსახლეობა და კულტურა (მიზანი: მათი საცხოვრებელი სტანდარტების უზრუნველყოფა, სოციალურ-კულტურული დამოუკიდებლობა. ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას);

- ტერიტორიული დაგეგმვარე-

ბა (მიზანი: მიწისა და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენება).

- ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილება (მიზანი: ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება);

- ნიადაგის შენარჩუნება (მიზანი: შემცირდეს მისი დაზიანება);

- წყლის რესურსების მართვა (წყლის ჯანმრთელი სისტემების შენარჩუნება);

- ბუნებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა (ცხოვრების დონის მატერიალური საფუძვლის შენარჩუნება-განმტკიცება);

- სოფლის მეურნეობა (მიზანი: ადგილობრივი პირობების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სისტემის განვითარება);

- სატყეო მეურნეობა (მიზანი: ტყის დამცავი მნიშვნელობის შენარჩუნება);

- ტურიზმი და დასვენება (მიზანი: მოსახლეობის შემოსავლების ზრდა);

- ტრანსპორტი (მიზანი: სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარებისათვის ხელის შეწყობა);

- ენერგია (ელექტროენერგიის გამომუშავების გამოყენებისა და განაწილების პროგრესული მეთოდების დანერგვა. მიზანი: დასაქმებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება);

- ნარჩენების უტილიზაცია (მიზანი: შეგროვების, უტილიზაციის სისტემის შექმნა, რათა თავიდან აცილებულ იქნას გარემოს გაჭირებანება).

გარკვეული დროის შემდეგ, კონკრეტულად 2003 წელს, მიღებულ იქნა „კარპატების დაცვისა და მდგრადი განვითარების ჩარჩო-კონვენცია“, რომელშიც ცალკე გამოიყო სივრცითი დაგეგმვა, მასში ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სივრცითი დაგეგმვისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მიმართულებებს:

- ტრანსასაზღვრო სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას;

- ბუნებრივი რესურსების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებას;

- რაციონალურ ქალაქდაგეგმარებასა და რაიონულ დაგეგმარებას საზღვრისპირა ზონებში;

- გარემოს დაბინძურების ტრანსასაზღვრო გავლენის პრევენციას;

- მიწათსარგებლობის დაგეგმვასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შეთანაწყობას.

როგორც ჩანს, აღნიშნული დოკუმენტი აკონკრეტებს რეგიონის სასაზღვრო პირობა-ფაქტორების მნიშვნელობას მდგრადი განვითარებისთვის. ამ ხაზგასმას დიდი დატვირთვა აქვს და ყოველმხრივ გასათვალისწინებელია ტერიტორიებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნისას.

მთიანეთის რეგიონების განვითარების თავისებურებანი არ-სებითად განაპირობებენ საზოგადოებისა და განსაკუთრებით სახელმწიფოების მხრივ მათი პრობლემების მიმართ ყურადღებას და შესაბამისად პოლიტიკის შემუშავებას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სტრატეგიულ მიდგომებში (პოლიტიკა) უპირატესობა ექლევა სამ მთავარ პრინციპს: **სახელმწიფოს მიერ მთიანი რეგიონის თანაბარ პარტნიორად აღიარებას, მთიანეთის განვითარების თავისებურებების აღიარებას, ქვეყნის დარგობრივი პოლიტიკის მისადაგებას მთიანეთის თავისებურებების მიმართ.** რატომ არის მნიშვნელოვანი ეს პრინციპები? თანაბარ პარტნიორად აღიარება ჯერ-ერთი, ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში პრობლემა დაფიქსირებულია და ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოინახოს (თანაც გრძელვადიან პერიოდში) მისი გადაწყვეტის გზები. **მეორე, ქვეყნის პასუხისმგებელი ხელისუფლება ყოველთვის შეეცდება ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიით იხელმძღვანელოს თუ იგი მოცემულ მომენტში არ არის, თავად შეიმუშაოს. ასეთი სტრატეგია სახელმძღვანელო უნდა იყოს ხელისუფლების მომავა-**

ლი თაობებისთვის. **რას ნიშნავს** მთიანი რეგიონის განვითარების თავისებურებების აღიარება? იმას, რომ ქვეყნის განვითარების სტრატეგიაში ვიხელმძღვანელოთ პროგრამული მიდგომებით, რაც იძლევა საშუალებას მიზნისა და რესურსების, ურთიერთდამოკიდებულება შეფასდეს ობიექტურად, ძირითადი სპეციფიკური ნიშნებისა და ტენდენციების გათვალისწინებით დაგენერირებული მიდგომით კოორდინაცია.

ზემოთ დასახელებული მიდგომებით შემუშავდება ქვეყნების (რეგიონების) განვითარების სტრატეგია, იგულისხმება, რომ მთავარი რგოლების (პრიორიტეტების) გამოყოფით და კომპლექსური მიდგომებით განისაზღვრება განვითარების მიმართულებანი. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. უკანასაწელ წლებში საქართველოში ხელმძღვანელობენ რა მსოფლიოში რეგიონების განვითარების საერთო პრობლემების კლასიფიკით ხშირად ანგარიშს არ უნდევს ქვეყნის შიდა ტერიტორიის თავისებურებებს, მეურნეობრიობის ტრადიციებს, მოსახლეობის უნარ-ჩვევებს და პრიორიტეტად ასახელებენ ისეთ მიმართულებას, რომელსაც პერსპექტივა არ აქვს ან ნაკლებეფექტურია. ის, რაც ჩვენი ქვეყნის ერთი რეგიონისათვის, თუნდაც ერთნაირი პუნქტისანარმოო პირობებით, პრიორიტეტულია, შეიძლება მეორისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს.

ჩვემის აზრით, რეგიონების (ჩვენს შემთხვევაში მთის რეგიონები) განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზი უნდა დაედოს საფუძვლად პრიორიტეტების არჩევას და მათ გათვალისწინებას სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების პროგრამებში.

(გამოყენება
შემდეგ ნორმი)

30-ს „რაუნდები“ ლა საქართველოს სატარიფო კოლეგია

„მთავრობას იმისთანა წერძილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტუ-ას და აუცილებელ საჭიროებას ღდებულამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით – მხად იუს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუკავშირდებოდა მიაშენდოს იქ მაინც საცა კერძო შემდებარებულ გარებას.“

ილია გაგაგაძე

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე რეგულირებადი დარგი სოფლის მეურნეობაა, რის გამოც, საქამიანობა დიდი ხნის განმავლობაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ეგიდით ჩატარებულ „რაუნდებში“ სოფლის მეურნეობა საერთოდ არ განიხილებოდა. თითოეული ქვეყანა, თუ ქვეყანათა აგენტი სოფლის მეურნეობის პროცესების ამაღლების, მოსახლეობისთვის შესაბამისი ცხოვრების დონისა და მისაღები ფასებით სასურსათო პროცესებით უზრუნველყოფის მიზნით, თავად აწესებდა საკუთარი თამაშის ნესებს.



SOS!

ასე მაგალითად, ევროკავშირში სადღეისოდ სოფლის მეურნეობის იმპორტზე საბაჟო მოსაპრებლების საშუალო მაჩვენებელი 62%-მდეა, რაც იმის მიმართ შენებელია, რომ აგშირის წევრ ქვეყნებში ზედმეტად დაცული შიდა ბაზარია შექმნილი. ანალოგიურ მდგომარეობაა განვითარებული ეკონომიკის ქონება ბევრ ქვეყანაში (იაპონია, შვეიცარია და ა.შ.), განვითარებად ქვეყნებში, შეიძლება ითვეას, საპირისპირო ვითარება. ამ კონტექსტში გასაგებია, რომ განვითარებული აგრარული სექტორის ქონება ქვეყნებში დღისათვის ძირითადი აქცენტი ექსპორტის ფინანსურ მხარდაჭერაზე კეთდება, რისთვისაც ეკონოგართიანების ბიუჯეტის ნახევარზე მეტი იხარჯება. მიუხედავად იმისა, რომ ეკონოკავშირმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტის სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხების მოცულობა,

ამ მხრივ გაწეული ხარჯები კვლავაც მაღალია და ის რამდენიმე მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს. ამ მასშტაბით ექსპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა ხელოვნურად ამაღლებს ეროვნული აგრომწარმოებლების კონკურენტუნარიანობას საგარეო ბაზარზე, ამასინჯებს საერთაშორისო ვაჭრობას და არსებით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებზე.

საყოველთაო აზრით, მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე დასაცლეთის სახელმწიფოებში ფერმერთა სუბსიდირების სისტემა მართალია, ესმარება შედარებით დარიბი იმპორტიორ ქვეყნებს იმპორტის გაიაფებაში, მაგრამ დაბალი (სუბსიდირებული) ფასები სურსათზე ბევრ განვითარებად ქვეყნას აიძულებს ხელი აიღოს საკუთარი სურსათის წარმოებაზე, რაც საბოლოო ანგარიშით, მსოფლიოში სურსათის წარმოების შემცირებას

და მასზე ფასების გარდუგალ ზრდას განაპირობებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ბაზრების ლიბერალიზაციის მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა GATT-ის „ურუგვაის რაუნდის“ მარათონულ მოლაპარაკებაზე (1986-1994 წწ.), სადაც პირველ მრავალმხრივ შეთანხმებას მიაღწიეს. შეთანხმებაში განსაზღვრული იყო გმო-ს წევრი ქვეყნების ვალდებულებები საექსპორტო სუბსიდიების შემცირებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრებზე თავისუფლად დაშვების შესახებ. ეს შეთანხმება შეფასდა, როგორც წარმატება, რადგან პირველად გახდა შესაძლებელი აგრარული სექტორის ჩართვა ვაჭრობის მსოფლიო სისტემაში. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ბარიერები აგრარული პროდუქციით ვაჭრობაში კვლავ ძალზე მაღალია.

სოფლის მეურნეობაში პროდუქციონიზმის დონის გან-

ნიში | 2010

საზღვრისთვის გამოიყენება მეწარმეთა მხარდაჭერის მაჩვენებელი (PSE), რომელიც აბსოლუტურ გამოხატულებაში გვიჩვენებს მომხმარებლისა და გადასახადის გადამხდელების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის გადახდილი თანხების მოცულობას. PSE როგორც ინდიკატორი მოიცავს ყველა ეკონომიკურ-პოლიტიკურ დონისძიებას მიუხედავად მათი მიზნებისა და გავლენისა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობასა და მეწარმეთა შემოსავლებზე.

პროტექციონისტური დონისძიებებით (ყველა სახის პროდუქციაზე) ევროკავშირს წამყვანი ადგილი უკავია შვეიცარიისა და იაპონიის შემდეგ. აქ ცალკეული პროდუქტები მნიშვნელოვნადაა სუბსიდირებული, მაშინ, როდესაც ზოგ პროდუქტზე პროტექციონისტური დონისძიებები თითქმის არ ვრცელდება. ასე მაგალითად, ევროკავშირში პროცენტული PSE 2001 წელს შეადგენდა: პირუტყვის ხორცზე 73%-ს, შაქარზე – 44%-ს და რძეზე – 41%-ს. ამავე დროს ეს მაჩვენებელი დორის ხორცზე მხოლოდ 20%-ის ტოლი იყო, ხო-

ლო ალკოჰოლური პროდუქცია და კარტოფილი საერთოდ არ სუბსიდირდებოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ურუგვაის რაუნდზე მიღწეული მრავალმხრივი შეთანხმებისა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიხედვით PSE-ს მოცულობა 1986-2001 წლებში ძალიან უმნიშვნელოდ შემცირდა.

ურუგვაის რაუნდზე ვმოს წევრი ქვეყნის მინისტრები შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ 2000 წლისათვის დაეწყოთ ახალი მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაციაზე. ასეთი მოლაპარაკება მართლაც დაიწყო 2001 წელს (ყაზარი, დოპა, 9-14 ნოემბერი, 2001.), რომელიც დოპას რაუნდის სახელითაა ცნობილი. მიღებული დეკლარაციის გრძელვადიანი მიზანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე სამართლიან კონკურენციაზე დამყარებული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბება გახდა. რაც ობიექტურად მოითხოვს ბაზარზე შესვლის თავისუფლების ხარისხის ამაღლებას, საექსპორტო პროდუქციის სუბსიდირების თანადაობით შემცირებას (ან სრულად გაუქმება)

და ვაჭრობის დამმახინჯებელი შიდა მხარდაჭერის ღონისძიებათა შემცირების გაგრძელებას.

ასეთი მიზანსწრაფვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის ერთნაირად მისაღები არ აღმოჩნდა. ასე მაგალითად, ევროკავშირი (მასზე მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტიმულირებისთვის გაცემული სუბსიდიების 90% მოდის), როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის მეორე მსხვილი ექსპორტიორი (ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ) დაინტერესებულია საგარეო ბაზრებზე შესვლის თავისუფლებითა და მსოფლიო ვაჭრობაში თავისი წილის შენარჩუნებით. აქედან გამომდინარე, დოპას რაუნდის მოლაპარაკებაზე ევროკავშირი მოითხოვდა საერთო საბაჟო მოსაკრებლები შემცირებინათ 36%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15%-სა თოთვეული საბარიფო ხაზის მიხედვით (ცხადია, რომ უფრო მეტი მასშტაბით შემცირება გამოიწვევს დიდ პრობლემებს ევროკავშირის მაღალპროტექციონისტურ ბაზრებზე, განსაკუთრებით – რძისა და შაქრის ბაზარზე). ამის საპირისპიროდ განვითარებადი ქვეყნები მოითხოვდნენ საბაჟო განაკვეთების უფრო მეტად შემცირებას, რადგან მაღალი განაკვეთები განვითარებად ქვეყნებს არ აძლევს შესაძლებლობას განაკითორნ ექსპორტზე ორიგინტორებული დარგები – კერძოდ, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობა.

დოპას რაუნდზე ცხარე დისკუსიის საგანს ბაზრებზე თავისუფალი დაშვებისა და საექსპორტო სუბსიდიების გაუქმებასთან ერთად, ასევე, სოფლის მეურნეობისადმი შიდა მხარდაჭერის საკითხი წარმოადგენდა. ევროკავშირი მოითხოვდა შენარჩუნებული ყოველ ე.წ. „ლურჯი ყუთის“ სისტემა (სახელმწიფო პირდაპირი დამარცხებები, რომ-



ლებიც არ იწვევს ვაჭრობის დამახინჯებას, ან თუ იწვევს, უმნიშვნელოდ), რადგან, მისი გაუქმება სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის შესაძლებლობას მინიმუმადე შეამცირებდა.

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ინტერესთა მკვეთრი სხვადასხვაობის გამო, დოპას რაუნდის მოლაპარაკები 2002 წელს ჩიხში შევიდა.

ვმოს წევრი ქვეყნების მინისტრების მე-5 კონფერენციაზე (კანკუნი, 10-14 სექტემბერი 2003 წ.) მართალია დასაწყისშივე აღინიშნა აგრარულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის დიდი მნიშვნელობა, მაგრამ კონფერენციის მიმდინარეობის ხუთი დღის განმაფლობაში პოზიციების დახმოცემა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის მაინც ვერ მოხერხდა.

ვმოს ბოლო რაუნდების პერსპექტივები ასე დეტალურად იმიტომ განვიხილეთ, რომ მისგან გაგვეკეთებინა შემდეგი ობიექტური დასკვნები:

- ბაზარზე თავისუფალი დაშვებისა და საქასპორტო სუბსიდიების გაუქმების საკითხზე საჭირო რომ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების (ანუ მდიდრებისა და დარიბების) ინტერესები ოდეს-მე თანხვედრაში მოვიდეს. ინტერესთა შეუთანხმებლობა მათ შორის ყოველთვის იყო და უნდა ვიგარაულოთ, რომ ასეთად დარჩება პერსპექტივაშიც.

- პლიტიგური და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერ ინტეგრირებულ თანამედროვე მსოფლიოში ცალკე აღებული განვითარებადი ქვეყნების აგრარული სექტორის აღორძინება (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში რომელთა ეკონომიკის დიალის კოეფიციენტი მეტია დაღვიწინავით) შეუძლებელია.

- საექსპორტო სუბსიდიების შემცირება, როგორც წესი, ეკო-

ნომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი მოცულობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას შეზღუდავს სურსათის ყველა ექსპორტიორ ქვეყანაში. იმ ქვეყნებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ადგილობრივი წარმოების სურსათის სუბსიდირება, ფასების მეშვეობით შიდა და გარე ბაზრებზე კონკურირების საშუალება მიეცემათ, მაგრამ სხვა მხრივ, აღნიშნული პროცესი გაზრდის სურსათზე მოთხოვნას (შესაბამისად ფასებს), რაც სურსათის იმპორტიორ ქვეყნებს მძიმე ტეირთად დაწვება. გასათვალისწინებელია მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორიც, კერძოდ, ბიომეურნების მასშტაბების გაფართოება, რაც, ასევე სურსათის რაოდენობის შემცირებას და მასზე ფასების ზრდას გამოიწვევს.

- განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრუქტურია, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებოდეს საქუთარი აგრარული პოტენციალის სრულად ამოქმედებას სასურსათო უსაფრთხოების მიღწევადი დონის უსრუცევლყოფის მიზნით (ეს სტრატეგია შესაბამის საკანონმდებლო აქტებსა და სახელმწიფოს მიერ დამუშავებულ მიზნობრივ პროგრამებში უნდა აისახოს).

დღეს მსოფლიოში შექმნილ ვითარებაში ასეთი დასკვნების მიზნებისა, ვფიქრობთ, საეჭვო აღარ უნდა იყოს. საკამაო შეიძლება გახდეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკავებული პოზიციია სურსათის მწარმოებელი დარგების განვითარებისა და სასურსათო პრობლემის მოგვარების მიმართ. მით უფრო იმ სიტუაციაში, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ექსპერტები დიად აფიქსირებენ საგანგაშო პროგნოზე, 2010-2015 წლებში

მოსალოდნელი გლობალური სასურსათო კრიზისის შესახებ.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია მთავრობამ არ დაითვალოს ეკონომიკური თუ სოციალური ზარალი, რომელსაც განაპირობებს ის არარაციონალური პოლიტიკა, რომელიც უკვე ორი ათეული წელია ხორციელდება საქართველოში. მით უფრო, რომ პრეცედენტი თუ როგორი ეკონომიკური (მათ შორის აგრარული) პოლიტიკა უნდა გატარდეს ჩვენს ქვეყნებაში მსოფლიოში მრავლად არსებობს. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ეპროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება. კერძოდ, ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთვარების შემდეგ ეპროპის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში აღმოჩნდა დასაქმებული. თუმცა, მალე გაირკვა, რომ მატერიალური წარმოების სხვა დარგებში არსებული მაღალი ხელფასები და ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობები მის უმრავლესობას ქალაქისკენ უბიძებდა. ეს იყო ფრიად ავის მომასწავებელი ვითარების სიგნალი, რომელსაც საბოლოო ანგარიშით, შესაძლოა სოფლების დაცარიელება და ქალაქების სურსათით მომარაგების სრული მოშლა გამოეწვია. საჭირო გახდა მრეწველობის დარგებსა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა შემოსავლების გარკვეული გამოოთახილება. რისოთვისაც ეპროკავშირის ქვეყნებმა დაიწყეს ფერმერებისთვის საჭირო ისეთი საბრუნვის საშუალებების სუბსიდირება როგორიცაა: საწვავ-საცხები მასალები, მინერალური სასუქები, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები და სხვ. ეს პრაქტიკაც ცოტაოდენი ცვლილებებით ევროპის ქვეყნებში ფაქტობრივად დღესაც შენარჩუნებულია. თუ რას მიაღწია ამ ქვეყნებმა ასეთი აგრარული

პოლიტიკით, საყოველთაოდაა ცნობილი (შენარჩუნებული სოფლები, კულტურული, თუ კელური ლანდშაფტები, განვითარებული ინფრასტრუქტურა, ყოფაცხოვრების მაღალი დონე, სასურსათო პროდუქციის მზარდი ექსპორტი, სასურსათო უშიშროების გარანტირებული დონე), ხოლო, თუ რას მიერთავთ ჩვენ, ეს შეიძლება ყველასათვის (მათ შორის მთავრობისთვისაც) არ იყოს ცნობილი. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის: ახალგაზრდობისგან დაცლილი სოფლები და სამუშაოს არაკალიიფიციური მაბიებლებით გადატვირთული დედაქალაქი; ათასობით ჰექტარი მიტოვებული მაღალპროდუქტული მიწა (უცხოელ ექსპორტთა შეფასებით, დაახლოებით დამუშავებაში არსებული ინტენსიური საგარეულის 1/3, ანუ, 350.0 ათას ჰა-მდე); პრაქტიკულად ყველა დასახელების სურსათის დიდი ოდენობით იმპორტი (მ.შ. ისეთიც კი, რომელიც ახლო წარსულში ექსპორტის საგანს წარმოადგენდა; დაკარგულია არა მარტო საგარეო, არამედ, საშინაო ბაზარიც კი (შიდა ბაზარზე ადგილობრივი წარმოების სურსათის ფარდობა იმპორტირებულ სურსათთან 1/4-ნაა, რაც ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს არის გადაცილებული). დაბოლოს, ყველა ჩამოთვლილი „სიკეთის“ შედეგი საგარეო ვაჭრობის ბალანსის უზარმაზარ დეფიციტს (რომელიც ძირითად სურსათის იმპორტითაა განპირობებული) და ქვეყნის საგარეო ვალშია აკუმულირებული (რომელიც უკვე 2 მლრდ. აშშ დოლარს აჭარებს).

როგორ მივაღწიეთ ასეთ „შედეგებს“? საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმჯობესია ქვეყნას ჰქონდეს არასწორი აგრარული პოლიტიკა, ვიდრე, ის საერთოდ არ გააჩნდეს! საქართველო კი სწორედ ის ქვეყნაა, რომელსაც საერთოდ აგრარული პოლიტიკა არ გა-

აჩნია. აგრარული სექტორი მთლიანად საბაზრო სტიქიაზეა მიშვებული და მთავრობის აზრით, საბაზრო კონკურენციაში ეს სფერო სწორედ ასე უნდა იყოს წარმოდგენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა უმცა ისტორიის საკუთრებაა. დღეს მისი პრინციპებით მოქმედება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ მას ყველა პოტენციური კონკურენტი დაიცავს და დაემორჩილება. (რეალურ სინამდვილეში, თუ როგორ იცავენ მას, ანუ, როგორ ასრულებენ ვმო-ს მოთხოვნებს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, ზემოთ დაწვრილებით აღვწერეთ). ფაქტია, რომ როგორც პრაქტიკულად ყველა ქვეყნა საკუთარ აგროწარმოებას ეხმარება აქტიურად (ფინანსურად, მორალურად, მატერიალურად და ა.შ.) ქართველი აგროსაქონელმწარმოებელი ვერ იქნება დაცული და ყოველთვის დაჩაგრული აღმოჩნდება კონკურენტულ ბრძოლაში. სახელმწიფოს შეარდაჭერის გარეშე ის მუდამ არაკონკურენტულიანი დარჩება, როგორც შიდა, ისე, გარე ბაზრებზე.

ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება, რომელიც საქართველომ ვმო-ში შესვლისას აიღო (2000 წლის 14 მაისი) წინასწარ შეთანხმებული ე.წ. „ბმული ტარიფების“ შემოღება იყო. მას შემდეგ, რაც მალაში შევიდა „ბმული ტარიფების“ საქართველომ მართალია დაკარგი შიდა ბაზრის დაცვის ერთერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი (თავისუფალი საბაზო ტარიფების სახით, რომლის მოქმედება 2005 წლამდე გრძელდებოდა), მაგრამ, მას ამ მხრივ კვლავაც გააჩნია არანაკლებ მნიშვნელოვანი ბერკეტები. კერძოდ, ჩვენს ქვეყნას შეუძლია გამოიყენოს ანტიდემპინგური გადასახადი ისეთი იმპორტის მიმართ, რომელიც იყიდება თვითმიმდევრულებაზე ნაკლებ

ფასში, ან როცა საექსპორტო ფასი უფრო დაბალია, ვიდრე იგივე პროდუქციაზე ექსპორტიორი ქვეყნის ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასი. ასეთი გადასახადი გამოიყენება საბაზო გადასახადთან ერთად დამატებითი გადასახადის დაწესების გზით 0-დან 30%-მდე უარგლებში. გარდა ამისა, არსებობს ე.წ. დამცავი დონისმიებები, რომლებიც გამოიყენება ისეთი სწრაფად მზარდი იმპორტის მიმართ, რომელიც ზარალს აყინებს დაგილების დამატებითი გადატვირთულების მიზანის მიერთებს. დამცავი დონისმიებები აისახება პროდუქციის კონკრეტულ სახეობაზე საბაზო ტარიფის გადიდებაში, ან, საიმპორტო ქვოტის დაწესებაში.

მთავრობას, მის ხელთ არსებული ეკონომიკური, თუ ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებით, რა თქმა უნდა შეუძლია, ქვეყნის აგრარული სექტორი კონკურენტუნარიანად აქციოს, თუ მას ელემენტარულად ამის ნება ექნება. როგორც ხელისუფლების ნებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ის უფლებები და მექანიზმები რომლებიც მან, როგორც ვმო-ს წევრმა ქვეყნამ შეიძლება გამოიყენოს როგორც დარგის სუბსიდირებაზე, ისე შიდა ბაზრის დაცვისთვის.

დღეს საქართველოს არამარტო პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ, მოელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სატარიფო პოლიტიკა გააჩნია. თუმცა ასეთ პოლიტიკას ეკონომიკური სიკეთე არ მოუტანია. მხედველობაში გვაქვს ის უტევარი აქსიომა, რომლის თანახმად, ლიბერალურ სატარიფო პოლიტიკას მაშინ ახლავს ეკონომიკური ეფექტი, როგორც ამ გზით მიღებული მოგებით შეიძლება დაიფაროს ის ზარალი, რომელიც იმპორტულ პროდუქციაზე სატარიფო განაკვეთების შემცირებითაა გამოწვეული. ამასთან,

გასათვალისწინებელია, რომ ეფუქტის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ მაჩვენებელს კონკურენტუნარიანი დარგების აღორძინება და შემდგომი განვითარება წარმოადგენს. თუ ამ მაჩვენებლით შემოვიფარგლებით, უნდა ითქვას, რომ ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ, არა თუ კონკურენტუნარიანი დარგების შემდგომ განვითარებაზე, არა-მედ, მათ გადარჩენაზე გვიწევს საუბარი.

თანამედროვე მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ამა თუ იმ ფორმით (საგადასახადო განაკვეთების შემცირება, შედავათიანი კრედიტები და საბაჟო განაკვეთები, დაგროვილი საბიუჯეტო დავალიანების ჩამოწერა და ა.შ.) კონკურენტუნარიანი დარგების უპირატესი განვითარების ფინანსური მსარდაჭერის პოლიტიკა ხორციელდება. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში შიდა ბაზარზე აგროსექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მსარდაჭერის ისეთი პოლიტიკის გატარებით, რომელიც ადგილობრივ გარემონტირებას ჩაისახავს ჩამოწერის შემდეგ, არა-მედ, მათ გადარჩენაზე გვიწევს საუბარი.

არა „სათბურის“ პირობებში, არამედ, თანაბარ სასტარტო მდგომარეობაში. სხვაგვარად ქართველ ფერმერებს არასოდეს არ შეეძლებათ კონკურენციის გაწევა სუბსიდირებულ იმპორტობან.

ვმო-ში გაწევრიანების პერიოდში ექსპერტთა მხრიდან იყო გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ სოფლის მეურნეობის რიგ პროდუქტებზე დაწესებული ბმული ტარიფების დონე ვერ უზრუნველყოფდა შიდა ბაზრის დაცვას სუბსიდირებული იმპორტისგან, რაც არ იქნა გათვალისწინებული. უფრო მეტიც, გაწევრიანების შემდგომ პერიოდში ბმული ტარიფების განაკვეთები (თავდაპირველად იყო სამი დონე 0, 12 და 30%) მნიშვნელოვნად შემცირდა (ორი დონე 0 და 12%). ასე მაგალითად, თავდაპირველად ბოსტნეულზე ბმული ტარიფი 20%-ს შეადგენდა, რომელიც გარდავულწილად უზრუნველყოფდა იაფგასიანი და შედარებით დაბალხარისხისანი თურქელი, ირანული, ბულგარული და სხვა ქვეყნების ბოსტნეულისგან ბაზრის დაცვას, მაგრამ დღეს ბოსტნეულზე სა-

ბაჟო ტარიფი მხოლოდ 12%-ს შეადგენს.

ცალკე აღნიშვნის დირსია მზა ჩაის პროდუქციაზე დაწესებული ბმული ტარიფი, რომელიც თავიდან 20%-იანი საბაჟო ტარიფით შემოიფარგლა. იმპორტირებული ჩაის დაბევგრის ეს დონე პრინციპში საკმარისი იყო შიდა ბაზრის დასაცავად და ქვეყნის მეჩაიერობის აღორძინება-განვითარებისთვის. მაგრამ დღეს, როცა საბაჟო ტარიფი ჩაის მზა პროდუქციაზე მხოლოდ 12%-ს შეადგენს, ქართული ჩაის წილი ადგილობრივ ბაზარზე 15%-მდე დაცეცა და იგი ფაქტობრივად აზერჩამ, მარიამ-ჩამ, ლიპტონმა და სხვა დასახელების ჩაიმ ჩანაცვლა. ასეთ ვითარებაში ქვეყნის მეჩაიერობა ერთ დონეზეა გაყინული და მას „მგელი ლილების“ დაბრუნების რაიმე ნიშან-წყალი არ ეტყობა. ანალოგიურ მდგომარეობაში არა-ერთი დარგია საქართველოში.

როცა მთავრობა თავს იწონებს იმით, რომ საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა საბაჟო ტარიფების სისტემის ლიბერალიზაციით, ლოგიკურია დაისვას კითხვა – რომელ ადგილზე გართ მსოფლიოში აგრძოლის გაერთიანებას და შეარებით დაბალხარისხისანი თურქელი, ირანული, ბულგარული და სხვა ქვეყნების ბოსტნეულისგან ბაზრის დაცვას, კითხვა – რაში გამოიხატება პრიორიტეტულობა? შეიძლება თანამედროვე მსოფლიოში პრიორიტეტული დარგის განვითარება მოხერხდეს ფერმერისთვის ერთჯერადად დარიგებული ნახევარი ტომარა სასუქით, ან 20 ლიტრი დიზელის საწვავით? უფრო მეტიც, მთავრობა თვლის, რომ მაღალმოსავლიან წლებში წარმოქმდებული აგრარული პროდუქცია მიწოდების კანონის თანახმად, უფრო იაფი იქნება, მაგრამ იმას ადარ კითხულობს, რო-



გორ მოახერხოს მაღალი მოსავლის მიმდებამა ფერმერმა მომავალ წელს აგროპროდუქტის აღწარმოება, ანუ, როგორ შეიძინოს პერმანენტულად გაძვირებადი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, მათ შორის, მინერალური სასუქები, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები, მანქანა-იარაღები და სხვა მასალები.

მიუხედავად საგამაოდ მიმდებარეობისა ქვეყნის აგროსექტორს გააჩნია რეალური შანსი კრიზისის დაძლევისთვის, ოდონდ, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მთავრობა ბოლომდე გაიცნობიერებს შექმნილ სიტუაციას და დაუყოვნებლივ შეიმუშავებს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ისეთ სტრატეგიასა და მიზნობრივ პროგრამას, რომელიც დაფუძნება არსებული მდგომარეობის კრიტიკულ ანალიზს, აგროსექტორის განვითარების შეფარდებით უპირატესობას და იმ რეალურ შესაძლებლობას, რომელიც ქვეყანას მოცემულ ეტაპზე გააჩნია.

როცა აგროსექტორის განვითარების შეფარდებით უპირატესობაზე გმიჯელობთ, მხედველობაში გვაქვს ის უნიკალური ბიოგეოკლიმატური პირობები, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ვაწარმოოთ უკნებელი, მაღალხარისხისხვანი, გემური და სხვა თვისებებით გამორჩეული ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქტი. ეს კომპონენტები კი თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის კონკურენტუნიანობის ერთ-ერთი ძირითადი განვითარებულია, როგორც შიდა, ისე, საგარეო ბაზრებზე. არის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რომელთა დროული ამოქმედება საქართველოს მრავალდარგონი აგროსექტორის დაჩქარებული ადორმინებისა და შემდგომი განვითარების მყარი საფუძველი დაცვის სამინისტროს მინიჭირებული შეინარჩუნავის დოკუმენტის მიზანით და ა.შ.

რა უნდა გაკეთდეს ამ მიზ-

ნით? როგორც უკვე ითქვა, პირველ ყოვლისა, შესამუშავებელია აგრარული სექტორის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება სოფლად საქონელმწარმოებელთა ეკონომიკური სტიმულირების ზრდა (შემოსავლების გაზრდა) და ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე.

აღნიშნული ამოცანის რეალიზაცია სახელმწიფოს მხრიდან ობიექტურად მოითხოვს აგრარული რეფორმის შედეგად მცირე ნაკვეთებად დანაწევრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციისა და სხვადასხვა ტიპის კომპერატივების დაფუძნებისთვის სათანადო პირობების შექმნას; სოფლად საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციას, საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, სერტიფიცირებული ორგანული მიწათმოქმედების განვითარებისთვის ხელშეწყობას; ვმოს მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას შიდა ბაზრის დასაცავად. ამავე მიზნით უნდა აღსდგეს საბაჟო შედავათების არსებული პრაქტიკა, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოების საშუალებებზე (ელიტური საოცესლე მასალა, ჯიშიანი პირუტყვი, სანაშენე კვერცხი და ა.შ.) კრცელდებოდა. ვმოს ს ხელშექრულების თანახმად, საქართველოს მიეცა უფლება გამოიყენოს აგრარული სექტორის მხარდასაჭერად 150-200 მლნ. ლოდარის ექვივალენტური საშუალებები, ვმოში გაწევრიანების წლისათვის ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის გათვალისწინებით და ა.შ.

ეს კომპონენტი აგროსექტორის დაჩქარებული ადორმინებისა და შემდგომი განვითარების მყარი საფუძველი დაცვის სამართლებრივი ხასიათის დონისძიები საჭი-

რო განხორციელდეს ერთიან კომპლექსში, რომლის საერთო სინერგიული (ეგონომიკურ-სოციალური) ეფექტი, საბოლოო ანგარიშით, აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, საექსპორტო პროდუქციის ზრდაში და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული დარგების აღორძინებასა და განვითარებაში უნდა აისახოს. აგროსექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილი ფინანსური სახსრების ოდენობა, ჩვენი გათვალებით, ბევრად ნაკლები იქნება იმ საგალუტო რესურსებზე რომლითაც ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად „აფინანსებს“ სურსათის ექსპორტიორი ქვეყნების აგრარულ მეურნეობას. ამასთან, აღორძინებული სოფელი და აგრარული პროდუქციის ზრდა არის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების (მინერალური სასუქები, მანქანა-იარაღები და ა.შ.) მწარმოებელი ქარხნების საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის პირველადი და მეორადი გადამუშავების საწარმოთა სრული დატვირთვა და ა.შ. ყოველივე ეს ბუნებრივია, ზრდის მოსახლეობის საერთო დასაქმების დონეს, აუმჯობესებს მათ საყოფაცხოვრებო პირობებს და სხვის სოციალური დაბაბულობის ფონს ქვეყანაში. ამდენად, სოფლის მეურნეობის აღწარმოების საშუალებებზე (ელიტური საოცესლე მასალა, ჯიშიანი პირუტყვი, სანაშენე კვერცხი და ა.შ.) კრცელდებოდა. ვმოს ს ხელშექრულების თანახმად, საქართველოს მიეცა უფლება გამოიყენოს აგრარული სექტორის მხარდასაჭერად 150-200 მლნ. ლოდარის ექვივალენტური საშუალებები, ვმოში გაწევრიანების წლისათვის ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის გათვალისწინებით და ა.შ.

პაატა პოლუაშვილი,
თსუ, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ბიორგი ზიბზიგამი,
ა.შ., მთავარი მეცნიერებათა დოქტორი



ბიზნესის განვითარების პირობები და პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკაიღრება და განვითარება ერთადერთი გზაა, რომელიც უზრუნველყოფს როვორც ეკონომიკის განვითარებას ქვეყანაში, ისე მის რეალურ ეკონომიკურ ალორდინებას. საბაზრო ეკონომიკას, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს მიღწვასა და ფენომენს, ზოგად კანონზომიერებებთან ერთად ახასიათებს თავისი გამოკლინების სპეციფიკური ფორმები თითოეული კონკრეტული ქვეყნის მიხედვით. ამდენად, არ იქნება მართებული, რომ საქართველოში მექანიკურად გადმოვიტანოთ უცხოეთი-დან რომელიმე ცივილიზებული ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მოდელი.

საფსებით სწორია მოსაზრება, რომ საქართველოში არ გამოგვადგება არც აშშ-ის, არც შვეიცარიის, ან სხვა რომელიმე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის მზა მოდელი. ცივილიზირებულ დასავლეთში ბაზრის იმდენი მოდელი არსებობს, რამდენი ეროვნული ბაზარიცაა. საბაზრო ეკონომიკის მზა მატრიცების, სტრუქტიულების ბრძან მიბაძვა უნაყოფო იქნება. საბაზრო ეკონომიკის ზოგადსაკაცობრივ პრინციპებს ქართული რაკურსით უნდა დანახვა და გააზრება.

საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი ითვალისწინებს, საქართველოს ეკონომიკაში საკუთრების მრავალფორმიანობას. უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრების წამყვან როლს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ობიექტურად აუცილებელია გადავიდეს საბაზრო ეკონომიკაზე, თავისუფალ მეწარმეობაზე, ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე, სადაც საზოგადოებრივ პროგრესში გადამწყვეტ როლს კერძო საკუთრება, მისი შეუფერხებელი განვითარება შეასრულებს.

საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პროცესის რეგულირებას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის

ეფექტიანობის სტიმულირებას, სოციალური სამართლიანობის დაცვას, მაკროეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობისთვის ხელშეწყობას.

გარეგნულად ბიზნესი და სახელმწიფო შეიძლება მონინალმდეგებად მოგვეჩენოს, სინადვილეში კი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ბიზნესის აყვავების ხელშეწყობაა. ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოების კეთილდღეობა დამოკიდებულია ცალკეული საწარმოების წარმატებაზე, რის გამოც სახელმწიფო გვევლინება ბიზნესის მეგობრად, პარტნიორად და დამკვეთად, ბიზნესისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა შეიძლება გამოისახოს სხვადასხვა ფორმით.

- ეკონომიკური ზრდის წახალისება (მოწიტრული პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა და სხვა);

- ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა (ბიზნესის უზრუნველყოფა აუცილებელი ინფორმაციით, სპეციალისტების მომზადება, პირდაპირი სესხის მიწოდება, საკრედიტო გარანტია, სუბსიდია და სხვა);

- ინფრასტრუქტურის შექმნა (გზების, ხიდების, აეროპორტის და ა.შ. მშენებლობა, ენერგიის მიწოდება და სხვა);

- საქონლისა და მომსახურების შესყიდვა (სახელმწიფო მომარება მოიცავს მრავალ სახეო-



ნათურა ჯონაძე,
ფილოსოფიის აკადემიური
დოქტორი ეკონომიკაში

ბას – სამხედროს, სამოქალაქოს და ა.შ.);

- სამართლებრივი პაზის უზრუნველყოფა, „ეკონომიკური თამაშის“ წესების შემუშავება, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს ეკონომიკურ აგენტებს შორის;

- სახელმწიფოს მოვალეობაა აგრეთვე ეროვნული მეურნეობის დარგებში აღკვეთოს გაბატონებული მონოპოლიური ძალა, რომელიც აფერხებს თავისუფალი კონკურენციის მოქმედებას.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში მცირებიზნების განვითარებას, რომელმაც არსებითი ზეგავლენა უნდა იქონიოს ეკონომიკას სტაბილიზაციასა და მის ზრდაზე. საქართველოს პირობებში მცირებიზნების არის ის სისტემა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს აუცილებელი საბაზრო სტრუქტურების შესაქმნელად.

საქართველოში ცივილიზებული მეწარმეობის განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ეროვნული შემოსავლის მნარმოებელი უფრო მაღალი დონის მქონე დარგების პრიორიტეტული განვითარების სტიმულირება. რაც უზრუნველ-

ყოფს დარგობრივი სტრუქტურის ძირულ გარდაქმნას ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკამაყოფილების მისაღწევად.

საქართველოში სამენარმეო საქმიანობას, ძირითად, მცირე სანარმოები ეწევიან, რომელთა წილი საწარმოთა საერთო რაოდენობაში 89,8%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს უტოლდება, მაგრამ ჩამორჩება პროდუქციის გამოშვებასა და დასაქმებაში ხვედრითი მაჩვენებლით. საქართველოში მცირე სექტორს 9,5% (პროდუქციის გამოშვებაში) და 24,3% (დასაქმებაში) უზრიავს მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებლები ევროკავშირის ქვეყნებში შესაბამისად 35-71%-ია და 40-70%-ის ფარგლებში მერყეობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ

ევროკავშირის ქვეყნებში ყოველ 1000 მცხოვრებზე 30 მცირე საწარმო მოდის, საქართველოში იგი – 4-5 ერთეულს შეადგენს.

ეს ფაქტები მონაბენ, რომ ჩვენთან ჯერაც არ არის შექმნილი ის აუცილებელი პირობები (ორგანიზაციული, საკანონდებლო, საგადასახადო და სხვა), რომლებიც აქტიურად ხელს შეუწყობდნენ მცირე მენარმეობის წინსვლას. სამწუხაროდ, მცირე საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების ბოლო წლების დინამიკაც არ იძლევა ამის იმედს.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მცირე სექტორის მუშაობის მაჩვენებლები 1998 - 2009 წლებში საგრძნობლადაა გაუარე-

სებული. მართალია, საქართველოში მცირე სანარმოთა რიცხვი 2009 წლის დასაწყისისათვის 1998 წელთან შედარებით 13104 ერთეულითაა გაზრდილი, მაგრამ შემცირებულია მცირე სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 101,6 მლნ ლარით, საქონელპრუნვა - 94,7 მლნ ლარით, დასაქმება კი – 26 243 ადამიანით.

დღევანდელი საქართველო კრიზისული და კრიმინალური ეკონომიკით, ბაზრის მონოპოლიზაციით, უმუშევართა დიდი არმიითა და მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონით ხასიათდება. საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა და მისი ეკონომიკის გაძლიერება მცირე მენარმეობის განვითარებით მიიღწევა, რომლის ნათელსაყოფად „აზის ვეფხვების“ მაგალითიც კმარა. მცირე ბიზნესი ეკონომიკის სწორედ ის სექტორია, რომელიც ხელს უწყობს „საშუალო ფენის“ ჩამოყალიბებას და ქვეყანა სტრუქტული მდგომარეობიდან გამოჰყავს.

ვფიქრობთ, რომ უკვე დადგა დრო პოლიტიკური ამბიციების გარეშე ღრმად გავაანალიზოთ საქართველოს ეკონომიკის ახლანდელი მდგომარეობა, შევაფასოთ მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და შევიმუშაოთ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკის განვითარების ობიექტური სტრატეგია და ტაქტიკა. კურსი უნდა ავილოთ არა მომზარებლურ, სავაჭრო-კომერციულ ეკონომიკურ მოდელებზე, არამედ, მწარმოებლურ-საექსპორტო ეკონომიკაზე, რომელიც მყარ გარანტიას შექმნის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

საქართველოს ეკონომიკის პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანესია აგრობიზნესის განვითარება. დღეს საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 16,2%-ია გამოყენებული სახნავა და მრავალნობიანი ნარგავებისათვის. მოსახლეობის ერთ სულზე 0,15 ჰა სახნავი მოდის. სახნავი მიწების (783 ათასი ჰა) 39%, ანუ, 310 ათასი



ჰა განლაგებულია ზღვის დონიდან 500მ. სიმაღლეზე, სადაც შესაძლებელია მიწათსარებლობის შედარებით მაღალი კულტურის დონის მიღწევა, ხოლო 230 ათასი ჰა სახნავი, ანუ, მისი მთლიანი რაოდენობის 29% განლაგებულია ზღვის დონიდან 500-1000 მეტრ სიმაღლეზე, სადაც მოსავლიანობა და შესაბამისად რენტაბელობა დაბალია, 174 ათასი ჰა, ანუ, 22%-1000-დან 1500მ-მდეა, ხოლო 79 ათასი ჰა, ანუ, 10%-1500-დან 2000 მეტრამდე და უფრო მეტ სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება მეტად შეზღუდულია.

გარდა რთული ვერტიკალური ზონალობისა რელიეფის დახრილობისა და ნიადაგის შედეგნილობის განსხვავებულობისა, სახნავი მიწების დიდი ნაწილი განსაკუთრებით მთის ზონაში წარმოდგენილია მცირე კონტურებად დიდი ქანობის ფერდობებზე, სადაც გაძნელებულია მექანიზმების გამოყენება. საქართველოს სახნავი მიწების 17%, ანუ, 135 ჰა განლაგებულია 10-12⁰-ზე მეტი დახრილობის ფერდობებზე, რომელიც ხელით და ცოცხალი გამწევი ძალით მუშავდება. ასეთ პირობებში ქვეყანაში მთლიანად უგულებელყოფილია კოლხეთის დაბლობის (225 ათ. ჰა ფართობის) გამოყენების შესაძლებლობა.

საჭიროა მეცნიერულ საფუძველზე შემუშავდეს კოლხეთის დაბლობზე სხვადასხვა მიმართულების მეურნეობების (კლასიკური ტიპის ფერმების) ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმები. ამ საკითხის გადაჭრას სათანადო სახელმწიფო მინისტრი უნდა ჩაუდგეს სათავეში.

კოლხეთის დაბლობის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საკითხების სწორად გადაჭრას დამოუკიდებელი საქართველოსათვის პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, საჭიროა მისი ამოშრობისა და ათვისების პროექტის ხელახალი შედეგა, რომელიც მეცნიერულ საფუძველზე იქნება შემუშავებული და გადაწყვეტილი. ყოვლად გაუმართებელია ესოდენ დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის საქმის გადაწყვეტის მინდობა წვრილი გლეხური მეურნეობისათვის.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებაა ტურიზმი. საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრულიად ათვისების შემთხვევაში სავარაუდო შეუძლია წელიწადში 5-6 მილიონი ტურისტის მიღება. ამის მიღწე-

ვა შესაძლებელია სახელმწიფოს ხელშეწყობითა და ტურიზმის სფეროში ბიზნესის განვითარებით, რაც მთავარია, ტურიზმის სფეროს სათანადო დაფინანსებით.

საჭიროა სათანადოდ შეუწყოთ ხელი ტურისტული ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს. სწორედ აქეთ უნდა იქნეს მიმართული სახელმწიფოს ძალისხმეული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია მცირე მენარმების სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა – განვითარება, რომლის ერთ-ერთი ფორმა სახელმწიფო პროგრამების და პროექტების რეალიზებაში (განსაკუთრებით სახელმწიფო შესყიდვები და დაკვეთები) მცირე მენარმების სუბიექტთა მასობრივი მოზიდვაა.

არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების უზრუნველყოფისთვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების, დაკრედიტებისა და დაზღვევის განვითარებული სისტემის შემდგომი სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნათა განხორციელებას და საბოლოოდ, მენარმეთა ცივილიზებული ფენის შემდგომ განვითარებას.

ANNOTATION

CONDITIONS AND PERSPECTIVES OF BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

Khatuna Jokhadze
Academic PhD in Economics

Establishment and development of market relations is the only way to reach the economic development of the country and its real economic revitalization.

In order to shift to the market economy, we need to adopt free entrepreneurship with the private property playing the decisive role.

In modern Georgia, particular attention is to be paid to the development of small business. It is necessary to develop the objective strategy and tactics to develop the country's economy by considering the national interests

of the country. Production and export economy should be the target. The development of production and export of mechanical engineering, aircraft construction, electrical equipment, IT, new materials, semi-conductors, macro-electrical engineering and other high-technological production should be stimulated by all possible means.

Besides, agriculture and food industry should be developed in Georgia in the first instance. Particular attention should be paid to the resort economy and tourism development.

ფირმის ფინანსური ლიაზნოსტიკა

ფინანსები

ფირმის დიაგნოსტიკისას არსებობს ანალიზის ორი უმთავრესი ობიექტი: საწარმოს საქმიანობის შეფეხები პერიოდის განმავლობაში და მისი მდგომარეობა მიმდინარე მომენტში და საწარმოს ძირითადი ბიზნეს-ჭრიცესები.

მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ ფირმის მდგომარეობის ფინანსური დიაგნოსტიკისას აუცილებელია არა მარტო ფინანსური ანალიზის ჩატარება და შესაბამისი კოეფიციენტების გამოთვლა, არამედ, მენეჯერებმა ფინანსური მაჩვენებლები უნდა განიხილონ სხვა არაფინანსურ მაჩვენებლებთან ერთიან კომპლექსში.

არსებობს ფინანსური კოეფიციენტების ფართო სპექტრი, ამიტომ მენეჯერები ყურადღებით უნდა მოვეკიდონ იმ მაჩვენებლების შერჩევას, რომლებიც გამოყენებული იქნება ფირმის მდგომარეობის შეფასებისას. არასწორმა არჩევანმა შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ შრომატევადი ფინანსური ანალიზი არ მოუტანს საწარმოს არანაირ სარგებლობას.

სწორედ ამიტომ ფინანსურმა მენეჯერმა უნდა შეარჩიოს ის მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენენ საინფორმაციო საფუძველს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ფირმის ფინანსური დიაგნოსტიკისას გამოყენებული უნდა იქნას:

1) ფინანსური ანგარიშგების მონაცემები;

2) ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტური და ვერტიკალური ანალიზი;

3) ფინანსური კოეფიციენტები.

ფინანსური დიაგნოსტიკისას პირველ რიგში, აუცილებელია ფინანსური მონაცემების მოწესრიგება, რათა ეს არ იყოს უბრალო სხვა-დასხვა მონაცემები, არამედ, სასარგებლონი ინფორმაცია. ფინანსური ანგარიშგება შედგება სამი ძირითადი ფორმისაგან: ბალანსი, მოგება-ზარალის უნისი და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტური და ვერტიკალური ანალიზი. ჰორიზონტური და ვერტიკალური ანალიზის დროს ხდება ბალანსის მოწემების შედეგით (პროცენტულ) გამოხატულებაში. მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არაა. ფინანსური მაჩვენებლები გადაწყვეტილების მიღებისთვის უსარგებლოა, თუ მენეჯერი არ მოახდენს მათ შედარებას.

მნიშვნელოვანია შესადარისობის პრინციპის დაცვა, ანუ, მენეჯერმა ფირმის მაჩვენებლების შედარება უნდა მოახდინოს. შედარებისთვის არსებობს ორი სახის მაჩვენებლები:

- ამავე საწარმოს მაჩვენებლები წინა პერიოდებში;

- ამავე დარგის სხვა საწარმოების (კონკურრენტების) ანალოგური მაჩვენებლები.

ანუ, ფინანსური დიაგნოსტიკის შედეგად შევვიძლია გავაკეთოთ ორი დასკვნა:

1) როგორ შეიცვალა საწარმოს მდგომარეობა წინა პერიოდთან შედარებით – გაუმჯობესდა, თუ გაუარესდა?

2) რამდენად წარმატებულად მუშაობს საწარმოო კონკურრენტებთან შედარებით.



ნათო გეგიაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი

ფინანსური დიაგნოსტიკისას მნიშვნელოვანია გასაანალიზებელი ფინანსური კოეფიციენტების სწორი შერჩევა. ამისათვის საჭიროა ჯერ გაანალიზდეს ფირმის სტრატეგია და ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც ესწრაფვის, ხოლო შემდეგ გამოვლინდეს კოეფიციენტები, რომელთა გამოთვლაც სავალდებულოა.

ფირმის საქმიანობის შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იქნას 200 ფინანსური მაჩვენებელი, მაგრამ ეს რასაკვირველია, მიზანშეწონილი არ არის. მთლიანი, მსხვილმასშტაბიანი დიაგნოსტიკა სავალდებულოა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ. ხოლო თვეში ან კვარტალში ერთხელ – ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგი. ტიპიური, პრაქტიკულად გამოყენებადი კოეფიციენტები მოგვყავს ცხრილის სახით (იხ. გვ. 80).

თუ საწარმო საქციო საზოგადოებაა და არსებობს ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი, მაშინ, უნდა გაანალიზდეს საბაზო მაჩვენებლებიც, როგორცაა: მოგება 1 აქციაზე და სხვა.

ფინანსური დიაგნოსტიკის ბოლო პრინციპია დასრულებადობა, რაც გულისხმობს, რომ მას შემდეგ, რაც განვარიშებულია ყველა ფინანსური კოეფიციენტი, ჩატარებულია ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტური და ვერტიკალური ანალიზი და აღწერილია გასაანალიზებელი პერიოდის ყვე

2010
წელი

**საწარმოს მართვისათვის გამოყენებადი ფინანსური
მაჩვენებლების (კოეფიციენტების) ცხრილი**

მაჩვენებელი	გაანგარიშების ალგორითმი
ლიკვიდობის	
მიმდინარე ლიკვიდობის	მიმდინარე აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან
აბსოლუტური ლიკვიდობის	კველაზე ლიკვიდური აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან
ფინანსური მდგრადობის	
ავტომომიურობის კოეფიციენტი	საკუთარი კაპიტალის შეფარდება აქტივებთან
ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	ნასესხები და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა
პროცენტების დაფარვის კოეფიციენტი	საოპერაციო მოგების შეფარდება პროცენტებზე დანახარჯებთან
ძირითადი საქმიანობის ეფექტიანობა	
გაყიდვების მომგებიანობა	მოგების შეფარდება ამონაგებთან
პროდუქციის რენტაბელობა	მოგების შეფარდება დირენტულებასთან
კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა	
აქტივების რენტაბელობა RO	წმინდა მოგების შეფარდება აქტივების საშუალოწლიურ ხილიდგენისთან
მიმდინარე აქტივების რენტაბელობა	წმინდა მოგების შეფარდება მიმდინარე აქტივებთან
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა RO	წმინდა მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან
საქმიანი აქტივობის	
აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი	ამონაგების შეფარდება აქტივების საშუალო დირენტულებასთან პერიოდის განმავლობაში
მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი	პერიოდის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითდირენტულების შეფარდება მარაგების საშუალო დირენტულებასთან იმვე პერიოდში
საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი	ამონაგების შეფარდება საბრუნავი კაპიტალის საშუალო ხილიდენისთან ჟერიოდში

ლა თავისებურება, აუცილებელია დასკვერების გაკეთება. ასეთი დასკვერები უნდა იყოს ლაკონური და კონსტრუქციული, ანუ მიმართული ფირმის საქმიანობის გაუმჯობესების გზების საძიებლად. სწორედ ამიტომ რეკომენდებულია SWOT – ანალიზის გამოყენება. ფირმის საქმიანობის ყველა ფაქტორი 4 ნაწილად ჯგუფდება:

S – ძლიერი მხარეები ფირმის საქმიანობაში;

W – სუსტი მხარეები ფირმის საქმიანობაში;

O – შესაძლებლობები, გაუმჯობესდეს ფირმის მდგომარეობა;

T – საფრთხეები, რომლებიც შეიძლება შეხვდეს ფირმას, თავისი საქმიანობის გაუმჯობესების გზაზე.

SWOT ანალიზის პრაგმატული მიზანშენონილობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ცდილობს კონსტრუქციულად გააუმჯობესოს ფირმის საქმიანობის შედეგიანობა. SWOT ანალიზის ძირითადი პიზიციების საფუძველზე სანარმოს მენეჯმენტმა უნდა ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები საქმიანობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებების მიხედვით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალის ფინანსური დიაგნოსტიკა დამთავრებულად.

ყველა ზემოთმოყვანილ პრინციპს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ პრინციპებს უნდა მისდიოს ფინანსურმა ანალიტიკოსმა, ნინააღმდეგ შემთხვევები ფინანსური დიაგნოსტიკის შედეგები იქნება უსარგებლო შემდგომი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რომლებიც მიმართულია ფირმის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის.

АНОТАЦИЯ

ФИНАНСОВАЯ ДИАГНОСТИКА ФИРМ

Нато Бебиашвили

В статье проанализированы те основные показатели, которые должны использоваться при финансовой диагностике предприятия. В финансовом анализе существуют почти 200 показателей, из которых менеджер должен выбрать только те, которые необходимы для принятия управленческих решений. Также необходимо проводить SWOT- анализ и делать правильные выводы на основе финансовых показателей.

დავით ჩაჩანიძე:

სჯობს მოსავალი უფრო ნაკლები და ხარისხიანი იყოს, ვიღრე, ბევრი და პანზრობისთვის საშიში!

„არათოის გემო არა აქვს...“ ხშირად ვისმენია გარეგნულად ლამაზი ხილისა თუ ბოსტნეულის მიმართ დანანებით ნარმოთქმული სიცვები... მართლაც, ქიმიური საშუალებებითა და გენემოციური ინჟინერული ორგანიზმების გამოყენებით ნარმოებული პროცესი ნატურალურად მოყვანილს ვერც გემოთი შეედრება და ვერც არომატით, სასარგებლო თვისებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ცხოვრების აჩარებულ რიტმს აყოლილი ადამიანი ხშირად არც კი უფიქრდება, როგორი ხარისხის პროცესით იკვებება ყოველდღიურად. „ფასტ ფუდი“, ანუ სწრაფი კვება ლამის ცხოვრების წესად გვექნა, ბახაში მოწყვეტილი არომატული კიტი, თუ პომილორი კი - ეგზოტიკად. არადა, ბიოლოგიურად სუფთა პროცესის საკვებად გამოყენება „ცივილიზაციის სიკეთებისგან“ ისედაც გამოფიტული და ენერგიაგამოცვლილი ადამიანისთვის მაღამოს დარი იქნებოდა...



ბიოპროდუქტებზე მოთხოვნა მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად იზრდება. საქართველოში ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უკვე აცნობიერებენ ქიმიური ნივთიერებების გარეშე მოყვანილი ნაყოფის სიკეთეს. არადა, ჩვენს პატარა ქვეყნას ბიომეურნეობების განვითარების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. ბევრმა არც იცის, რომ მათაც კი, ვისაც ჯერჯერობით მოსავალი მხოლოდ ვირტუალურად, სოციალური ქსელის – „Facebook“-ის ფერმაში თუ მოუწევია, სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ იგემონ „ქიმიაშეუხებელი“ პროდუქტი პირდაპირ ბოსტნიდან, ბალიდან, თუ ტყიდან, დააგემოვნონ უგემრიელესი ახალი კამების მაწონი, თხის რძე, თუ სოფლის კვერცხი, კურდღლისა თუ იხვის ხორცს კი შეუდარებელი კახური ბიო-დავინო მიაყოლონ...

უმჯობესია, ამ თემაზე იმ ადამიანმა მოგითხოვთ, ვინც ასფალტსა და ბეტონში დატყვევებულ ქალაქელებს ნამდვი-

ლი ქართული სოფლის არომატი გაახსენა.

ცნობილი პომეოპათი დავით ჩაჩანიძე ერთ დროს ხის სოკოს ბიზნესით იყო დაკავებული. გაჩნდა დიდი რაოდენობით სოკოს ნარჩენი, რომლის განადგურება საცოდაობა იქნებოდა... ფიქრმა და მიებამ შედეგი გამოიღო: თურმე, არსებობდა მეთოდიკა, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა ამ ნარჩენების გადამუშავება და სასუქად ქცევა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მშრალი სასუქის წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა და ფერმერისთვისაც მისი შეძენა და მეურნეობაში გამოყენება ფუფუნებას უდრიდა. თავისთავად მოვიდა შემდეგი ეტაპი: მშრალი სასუქის თხევად მასაში გადაყვანა. ეს მარტივად... უფრო დაწვრილებით კი:

დაგოთ ჩაჩანიძე: – თხევადი სასუქის მომზადების პროცესში ნარჩენები ბაქტერიებით მუშავდება, რასაც ბაქტერიული ინოგულაციას ეძახიან. ბაქტერიებში იგულისხმება ნიადა-

გის მაცხოვებლების მთელი სპექტრი: აქტინობიცეტები, ანუ სოკოები, პრიმიტიული ამებები, ნემატოდები, ჭიაყელები... ეს საკმაოდ დიდი ჯგუფი გახლავთ. გეცადეთ, მაქსიმალურად შეგვევნო ამ „ბინადრებით“ ნარჩენები, რომ ნიადაგის ბუნებრივი შრის – ნეშომბალას მსგავსი ბიოცენოზი, ანუ, სამყარო შექმნილიყო. ის პროცესი, რაც ბუნებაში წლების მანძილზე მიმდინარეობს, ჩვენ რამდენიმე თვეში, შემდეგ კი რამდენიმე კვირაშიც მოვახდინეთ. შედეგი, ანუ, ნაური.

„ნაური“ სიყვარულითა და მაღლიერებით შერქმეული მეტსახელი გახლავთ, რომელსაც ფერმერები თხევად ორგანულ სასუქს ეძახიან. თავად შემქმნელებმა სასუქს ორგანიკა №1 (BioPower Georgia) უწოდეს. იგი ადვილად შესათვისებელი ფორმით შეიცავს: ნიადაგის მიკროორგანიზმებს, ჰემატის მეავებს, ენზიმებს, ფელვინის მეავებს, მიკრო- და მაკროელემენტებს, ვიტამინებს, ბუნებრივ ფიტო-

პორმონებს. ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური სასუქი ადამიანისა და გარემოსათვის სრულიად უსაფრთხოა. იგი ხელს უწყობს მცენარის ზრდა-განვითარებას, ნივთიერებათა ცვლას, ფოტოსინთეზს. თხე-გადი სასუქი სრულად იხსნება წყალში და მისი ხმარება ძალიან მარტივია: საკმარისის გაზიარებოდა 1:100 პროპორციით. შედეგად კი რას მივიღებთ? – სასუქი ზრდის თქველის აღმოცენება-დობას, ხელს უწყობს მცენარის ფეხვთა სისტემის, დეროს, ფოთლის მაქსიმალურ ზომამდე ჩამოყალიბებას, კალმის დაფენ-ვიანებას, აჩქარებს მცენარის ზრდა-განვითარებას და ახან-გრძლივებს ვეგეტაციის პერიოდს. ამასთან, იგი აძლიერებს მცენარის იმუნიტეტს დავადებებისადმი, იცავს სტრესისგან, ხელს უშლის ნაყოფში რადიო-ნუკლიტებისა და მძიმე მეტალების შეთვისებას. ნიშანდობლი-ვია ისიც, რომ სასუქი ზრდის ყვავილობასა და მსხმოიარობას, ნაყოფში შაქრის, ცილებისა და ვიტამინების შემცველობას, მო-სავლის ხარისხს და შენახვის ვადას. მწიფობას კი საშუალოდ 10 დღით აჩქარებს. ასევე, ხელს უწყობს ნიადაგის სტრუქტურის ადგენას, იცავს მას გამოფიტვისაგან, ამდიდრებს ბაქტერიებით, რომლებიც შემდგომში ნიადაგის გაჯანსაღებასა და მიკრო- და მაკროელემენტებით გამდიდრებას იწვევენ.

საქართველოს კლასიკური პომეოპათიის ასოციაციის ხელმძღვანელმა დავით ჩახანიძემ პომეოპათიური საშუალებები ხოვლის მეურნეობაშიც დანერგა და საქმაოდ დიდი წარმატებითაც. პომეოპათიური საშუალებები ამ შემთხვევაში ბაქტერიული სტრულატორების როლს ასრულებენ. ამ გზით შესაძლებელია კომპოსტირების პროცესის კონტროლი და მარ-თვა კალიუმის, ფოსფატისა, თუ აზოტის რაოდენობის დადგენი-სა და კორექტირების კუთხით. პომეოპათიას სოფლის მეურნე-

ობაში სხვაგანაც იყენებენ, მაგრამ ეს მაინც უნიკალური შემთხვევაა, რადგან, ყველაფერს თავად ბატონი დავითი და მისი ჯერ მხოლოდ მცირერიცხოვანი თანამოაზრები იგონებენ და აკეთებენ.

სასუქი შემოწმებას ანასეულში მდებარე სახელმწიფო ლაბორატორიაში გადის. ენთუზიასტთა პარტნიორები არიან ყანხაველის სახელობის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, სადაც სასუქი რეცენზირებას გადის, ანასეულში მდებარე ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების ინსტიტუტი და წეროვანში მდებარე ერთწლიანი კულტურების ინსტიტუტი, სადაც მოწმდება სასუქის ზემოქმედება მარცვლოვან კულტურებსა და ბოსტნეულზე. წინასწარი მონაცემებით, სასუქს საკმაოდ დამატებული მონაცემები გააჩნია. მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში მდებარე მეურნეობის სათბურებში ნიადაგი მესამე წელია არ გამოცვლილა, მხოლოდ თხევადი სასუქით ირწყვება, შედეგი კი, მართლაც, განსაცვიფრებელია.

დავით ჩახანიძეს ძალიან ახარებს ის ფაქტი, რომ სოფლის მოსახლეობამ უკვე აქტიურად დაიწყო ორგანული სასუქის გამოყენება: „ყოველ სეზონზე იგრძნობა, რომ მოთხოვნა მატულობს. საერთოდ, ფერმერები და გლეხები, ვიდრე საკუთარი თვალით არ ნახავნ შედეგს, რთულია მათი დარწმუნება“.

რაც შეეხება ფასს: 1 ჰექტარი მარცვლოვანი კულტურის დამუშავება დაახლოებით 60-90 ლარი ჯდება. ქიმიურ ანალოგში კი ფერმერმა ამისათვის 120 ლარამდე უნდა გადაიხადოს. შემოღომაზე თქველი და ნიადაგი მუშავდება, გაზაფხულზე კი, როცა მცენარე 10-15 სანტიმეტრს მიაღწევს, საჭიროა სასუქის კიდევ ერთხელ მისხურება.

– საინტერესოა, მაინც რა-

ტომ ინერგება ჩვენში ბიომეურნეობა ასეთი ნელი ტექნიკით, როცა მსოფლიოში ბიო-ბუმია?

– ჩვენი დაკვირვებით, ამ საკითხისადმი ორმაგი მიღებობა არსებობს: მეურნეების უმეტესობას საკარმიდამო ნაკვეთში ყველა სახის პროდუქტი ეკოლოგიურად და ბიოლოგიურად სუფთად მოჰყავს, მაგრამ, როცა საუბარია დიდ მასშტაბებზე, ფერმერი რატომდაც ვერ რისკავს და ისევ ქიმიურ საშუალებებს მიმართავს. ბიოლოგიურად სუფთად მოჰყანის წესი მხოლოდ ორგანული სასუქის შეტანა არ გახდავთ. ეს არის ასევე, მცენარეთა დაცვა ბიოლოგიური მეთოდებით. ამიტომ, მესმის ვერმერის, რომელსაც სპეციალური ცოდნის გარეშე მართლაც გაუჭირდებოდა მცენარის დაცვა მწერებისგან, თუ ავადმყოფობისგან. ყველაფრის საწყისი კი მაინც ნიადაგია. ამიტომ აქვს ჩვენს ფირმას ასეთი სლოგანი: სუვია ნიადაბი

– ჯანსაღი მცენარე. ეს არის უმნიშვნელოვანესი პარადიგმა, ბაზისი, ამაზეა აგებული ჩვენი საქმიანობაცა და, საერთოდ, ბიო-მეურნეობაც. თუ ნიადაგში ყველაფერი წესრიგშია, ეს იგივეა, როდესაც მშობელი ბავშვს ოჯახში განვითარებისთვის კარგ პირობებს შეუქმნის. ასეთ შემთხვევაში ბავშვს ძლიერი იმუნიტეტი უყალიბდება და ავადმყოფობა რომც შეხვდეს, მას იოლად გადაიტანს. იგივე ექვება მცენარეს. სპეციალიზებული ცოდნის მისაღებად კი არსებობს ლიტერატურა, მაგრამ, უმთავრესად, ინტერნეტში და ისიც ინგლისურ ენაზე (კომპიუტერი და ინგლისური თურქების საჭიროა...). ჩვენ ფერმერებს ამ მხრივაც ვეხმარებით და კომპლექსურ მიღებომას ვთავაზობთ მათ: ვუხსნით, როგორი თეხლის შერჩევა სჯობს, როგორ უნდა დამუშავდეს ნიადაგი, როგორ დავიცვათ მცენარე ბიოლოგიური მეთოდებით (უმთავრესად, პომეოპათიური საშუალებებით).

— დაგუშვათ, აღამიანმა გა-
რისება და ბიომეურნეობის
მოწყობა გადაწყვიტა. რით უნ-
და დაიწყოს?

- უკირვევესად, უნდა გაარკვიოს, რა სახის აულტურები მოდის ბუნებრივად იმ რეგიონში, სადაც მეურნეობა გაშენდება. ნაკვეთის 9/10 სწორედ კლასიკურ კულტურას უნდა დაუთმოს, 1/10-ზე კი ექსპრიმენტის სახით უცხო ჯიმპბის გახარჯდაც მოხინჯოს. შემდეგი ეტაპი გახლავთ კონსულტაცია ჩვენთან. ადგილზე გასვლისას შეგვისწავლით ტერიტორიას, მის დაშორებას საწარმოებისგან დასაფალი გზიდან... (არანაკლებ 4-5 კილომეტრისა). აუცილებელია რელიეფის გამოკვლევა, ქარის მიმართულების დაგენა, მზით განათების ხანგრძლოვობის გამოთვლა კონკრეტულ ტერიტორიაზე... ფერმერს კონკრეტული კულტურების მიხედვით მივცემთ რჩევებს. ბიომეურნეობაში ჩვენ ვიყენებთ კოლხურ ბაზოს - მაღალ აწეულ ნიადაგს, სადაც დათესილი და ჩარგულია სხვადასხვა სახის მცენარე, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან: ერთი მცენარე იცავს ძირითად კულტურას გარკვეული მწერებისგან და დააგადებისგან. მაგალითად, პეკინურ კომბოსტოს ხახვი შესანიშნავად არიდებს კომბოსტოს რწყილს. ზაფრანასა და რეპანს კარგი ურთიერთობა აქვთ პომიდორთან და ა. შ. კოლხური ბაზოები მოსავლელადაც უფრო იოლია, მეტ მოსავალსაც იძლევა. მხოლოდ თავიდან მოუწევს ფერმერს ფიზიკური შრომა და გარჯა ბაზოს გასაკეთებლად: მისი სიმაღლე 20 სანტიმეტრია, სიგანე კი - 1,20 ან 90. სიგრძე 5-დან 15 მეტრამდე მერყეობს. თუმცა, კახეთში ჩვენს მეურნეობაში 30 და 50 მეტრიან ბაზოებსაც შეხვდებით. ბაზო ნოეფერდება კომპისტით, ანუ, ორგანული ნარჩენით, ან ჩვენივე ორგანული თხევადი სასუქით გაჯერდება. მომდევნო ეტაპებია თესლის დამუშავება, ჩითილის

გამოყვანა და კონკრეტული მე-
თოდიკით ჩარგვა, რომელსაც
ინტენსიურ ბიო-თესვას ეძახი-
ან. მცენარეებს შორის მანძილი
საკმარის შემცირებულია, ვიდ-
რე, ეს ჩვეულებრივ მინდორში
თესვისას ხდება. ამ მეთოდით
3-4-ჯერ მეტი მოსავლის მოყვა-
ნა შეიძლება. ამის შემდეგ ხდე-
ბა მულჩირება – ნიადაგის და-
ფარვა ორგანული ნარჩენებით.
ეს შეიძლება იყოს ნახერი, ნა-
მაჯა, ჩალა (ჩვენს პარტნიო-
რებს ჩალას ვუზრუნოთ). მერე კი
იწყება ზრუნვა მცენარის და-
აგადებების პროფილაქტიკასა
და მკურნალობაზე. უმთავრუ-
სად, პროფილაქტიკაზე, რად-
გან, გაფრთხილებული კაცი
შეიარაღებულიცაა. აქვე აღვ
ნიშნავ, რომ ჩვენი კონსულტა-
ცია აბსოლუტურად უფასოა.

– როგორ გეხსახებათ ბიომე-
ურნეობების მომავალი საქარ-
თველოში?

– არსებობს ძალიან საინ-
ტერესო ევროპული სტატისტი-
კა: კრიზისის ფონზე ეპროპაში
ერთადერთ მზარდ ბიზნესად
ბიოლოგიური პროდუქციის
წარმოება დარჩა. პარადოქსია:
თითქოსდა, ადამიანს უფრო უნ-
და ჰქინიდეს, ამ დროს კი იგი
პრაგმატულად ფიქრობს და მი-
მწევს, რომ სჯობია იყიდოს
ძვირი პროდუქტი, მიირთვას
ნაკლები, მაგრამ ხარისხიანი,
ვიტამინებით საგასე, ვიდრე იყი-
დოს ბევრი და უხარისხო. დი-
დია მოწამლევის რისკიც. რასაკ-
ვირველია, ხარისხიანი პროდუქ-
ტი ნიშნავს ჯანმრთელობას,
უხარისხო – ექიმთან ვიზიტს,
რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში
საკმარი ძვირი ჯდება. სტრა-
ტეგიულად და გლობალურად
კი ეს ნიშნავს კაცობრიობის
გადარჩენას. უველავერს რომ
თავი დაგანებოთ: მიწადან მოვ-
დივართ და მიწაში მივდივართ.
თუ მას არ გავუფრთხილდებით
და მკვდარი ინსტრუმენტივით
მოვეპურობით, არაფერი არ გა-
მოგვივა... მიწა არის ცოცხალი
არსება! არ შეიძლება ცოცხალ
არსებას მიუღია, აგრესიულად,

გულგრილად... ჩვენი მცირე-
მიწიანი ქვეყნისთვის, სადაც
თოთოეული მტკაველი გასათ-
ვალისწინებელია, სადაც არის
უნიკალური ჰავა, მოსახლეო-
ბა, სხვა მეთოდით მცენარეების
გაზრდა, უბრალოდ, არც შეიძ-
ლება... კველაზე ღიდი ძვირფა-
სეულობა ადამიანისა და ქვეყ-
ნის ცხოვრებაში არის მიწა,
რისი გულისთვისაც ადამიანი
სისხლს, ოფლს დვრის. თუ მი-
წას გაუფრთხილდები, ის გაჭ-
მევს, გასმევს, ბუნებასთან აბ-
სოლუტურ ჰარმონიაში გამყო-
ვდეს...

კველაზე დიდი მნიშვნელობა ბიომეტრნიის წარმატებაში (ისევე, როგორც სხვა სახის საქმიანობაში) აქვს არაინვესტიციის მოცულობას, არა სახელმწიფოს მიერ შექმნილ პირობებს, არამედ ადამიანურ ფაქტორს... 90 პროცენტით მაინც... ჩემი სურვილია, პარტნიორად მყავდეს განათლებული, ინიციატივიანი ფერმერი და არა გლეხი, რომელიც უწინ ბატონის წყალობას ელოდებოდა, დღევანდელ პირობებში კი მთავრობის სუბსიდირების იმედად დარჩენილა და წუწუნებს, რომ ცხოვრება მძიმე და როგორია... არადა, გლეხი რომ ფერმერად იქცეს, მხოლოდ განათლებაა საჭირო. ჩვენში ადამიანი სოფლიდან ქალაქში ჩადის განათლების მისაღებად, უკან კი აღარ ბრუნდება. ეს კატასტროფაა! სოფლად აგრონომი უკვე სანთლით უნდა ეძებო! გლეხები, უმთავრესად, დამოკიდებულები არიან შეამტკიმიკატების მაღაზიაზე: ვინც რას შემოიტანს, იმას ყიდულობენ და აყრიან მიწას. სამწუხაროდ, ქართველთა უმეტესობას საქართველო მხოლოდ სუვრასთან უყვარს, ქართულ მიწასთან მუშაობას კი თავს არიდებს. როგორ შეიძლება, კაცები სოფელში მიწა ჰქონდეს და ქალაქში გარბოდეს? აქ ფასეულობის შეცვლაზეა საუბარი. ქალაქი არის ილუზია, მირაჟი... ადამიანი კი გაუწიბის იმას, რაც



სიცოცხლის საწყისია – მიწას...

– ბუნებრიგად ისმება კითხვა: რამდენად თვალსაჩინო შედეგებს მიგალწიეთ ამ ბოლო წლების მანძილზე?

– ორგანულ თხევად სასუქს ჩვენი ძირითადი ფირმა – Bioorganic georgia აწარმოებს. როდესაც სასუქი შევქმნით, აღმოჩნდა, რომ ის არავის სჭირდებოდა – ვერ ვიპოვეთ ფერმერები, რომლებიც ბიო-მეთოდებით დაინტერესდებოდნენ. ამიტომ დავიწყეთ ფერმერების გაზრდა. ამჟამად ორი აქტიური ბიო-ფერმერი გვყავს: პახა ბარიშვილი ართანაში და ლევან მშედლიშვილი უფლისციხეში. ისინი აგვიპნენ და მთელი თავიანთი მიწები ბიო-საწყისებზე გადაიყვანეს. ამირან ზექალაშვილი კი კონფლიქტურ რეგიონში ცხოვრობს და ბიო-თხებს ზრდის, რომლებსაც პომერანიური საშუალებებით ეუფლით. სწავლების გარდა ჩვენ მათ პროდუქტის რეალიზაციაში დახმარებაც შევთავაზეთ. აი, აქ ერთვება საქმეში ჩვენი მეორე ფირმა – biofood.ge. ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ შეიძინოთ ჩვენი და ჩვენი პარტნიორების წარმოებული ბიო-პროდუქცია ვებ-გვერდზე www.biofood.ge. გვიკვეთავს ქარ-



თვეელი მოსახლეობაც და საელჩოების თანამშრომლებიც. საქმე აშეარად პერსპექტიულია, რაღაც, კლიენტები თანდათან გვემატება. ამით ვრწმუნდებით, რომ სწორ გზაზე ვდგვართ. დიდ რეკლამას არც ვერ ვით: ჩვენი კლიენტები თავად გატიუებიან ერთმანეთს, ერთად აგერმოვნებენ პროდუქტს და რწმუნდებიან მის ხარისხში.

ფერმერებისთვის განკუთვნილი წიგნის გამოცემასაც ვაპირებთ. უკვე დავუკავშირდით ამერიკელ და ინგლისელ ავტორებს, გამომცემლებს. გვსურს ჩვენი სპეციალისტების ჩართვაც... ბიო-ტურების მოწყობასაც ვგეგმავთ. გვსურს, შეფობა

გავუწიოთ სკოლებს, ბავშვებს თავადვე დავათვესინოთ მცენარეები და მიწის სიყვარული გავუდვივოთ... თანაც, რეგიონებშიც გავდივართ, რეალიზაციაზე, მარკეტინგზე და მენეჯმენტზეც ვფიქრობთ. არ ვიცი, როგორ უნდა მოვასწროთ ეს უველავერი ოთხმა კაცმა.... მეურნეობაში ხომ დილის 6 საათიდან ამოვდივართ! სახლში ხანდახან ვერც კი ვბრუნდებით.... მაგრამ ენერგიას ისევ მიწა გვაძლევს: რაც სოფელში დავიწყე მუშაობა, მის გარეშე ცხოვრება ვეღარც კი წარმომიდგენია...

ეკა ჯიმშელაძე



„Տաճառ“

ԵՏՈԱԵԽՈՏՅՆ ՏՎՅՈՒՆՅՑ ՈՐՄԳՅԱՆ ՀՏՈՒՅՑ



ავტომობილის გფლოგელთა ერთ-ერთი უპილველოვანების დროის საზოგადო ხარისხის საკუთრებულო ხასიათის განვითარებისა თუ საბურავების მისაღებ ფასი გერგანაა. ასევე დიდი გნივალურობა ენიჭება საიმუშაო ადგილსა და უკართო ასორტიმენტს. საქართველოში ავტოსალონებისა და ავტონაირების გაყაზიერების სიმცირეს ნაგდვილად არ ვუჩივით. თუმცა, ზოგიერთია კომპანიამ ავტომობილების გფლოგელთა პრის განსაკუთრებული პოპულარობა მოიაწვა. დღევანდებ ნომერით ერთ-ერთ მათგანს ხარმოვნილებით.

კომპანია „ამბოლი“ 2003
წელს დაარსდა და საქმიანობის
პირებისაგე წლებში წამყვანი
კომპანიის სახელი დაიმკიდრა
ავტომობილის ფარების, ალუმინის
დისკებისა და აქსესუარების
ბაზარზე. კომპანია ავტონაწი-
ლებისა და აქსესუარების ფარ-
თო ასორტიმენტის იმპორტება

და რეალიზაციას ახორციელებს
როგორც საბითუმოდ, ასევე, სა-
ცალოდ საქუთარი მაღაზიების
ქსელის საშუალებით, რომლის
გაფართოებაზე „ამბოლი“ და-
არსების დღიდანვე ზრუნავდა.
დღეისათვის კომპანიის ქსელი
შეიძიო მაღაზიისგან შედგება,
რომელთაგან ექვსი თბილისში,

ერთი კი ქუთაისში მდებარეობს.
უახლოეს მომავალში „ამბოლი“
მაღაზიას ბათუმშიც გახსნის.

მსოფლიოს სხვადასხვა ქმარების გარენაზე და კარხებთან პირდაპირი კავშირი და გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობები, იმპორტირებული საქონლის უშუალოდ მომხმარებელზე რეალიზაცია საკუთარი მაღაზიების ქსელის საშუალებით „ამბელის“ მაღაზიებში წარმოდგენილ პროდუქციაზე ყველაზე დაბალ ფასებს განაპირობებს. აგრონაზილების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი ფასები და პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი ის პრიორიტეტებია, რომელთა გაუმჯობესებაზეც კომპანია მუდმივად მუშაობს.

კომპანია პროდუქციის მშპ-ს გერმანიდან, იტალიიდან, ტაივანიდან, ბელგიიდან, პოლანდიიდან, სამხრეთ კორეადან – აწარმოებს. „აბდოლი“ ავტომობილების მფლობელებს წელს პირველად სთავაზობს იაპონური ფირმა „NITTO“-ს საბურავებს, რომელიც მსოფლიოში საბურავების წარმოების სფეროში ერთ-ერთ ლიდერადა აღიარებული.

„ამბოლის“ მაღაზიებში ავტომანქანის ნათებასთან დაპავშირებულ ნებისმიერ პროდუქციას შემოგთავაზებენ: აქ სისტემატურად იყიდება უმაღლესი ხარისხის ფარები, ჰალოგენის, ჟენერისა თუ ლიონის ნათერმბი. „ამბოლი“ მსოფლიოში საუკეთესოდ მიჩნეული გერმანული ავტონათურების მწარმოებლის – „ოსრამის“ ოფიციალური დილერია. „ამბოლის“ მაღაზიებში ქსენონის სისტემებიცაა წარმოდგენილი, რომლებიც ავტომანქანის ნათების საშუალებებში გენერირებოდენ.

„ამბოლის“ მაღაზიებში „მინ-



ქიზნე

ტექსის წარმოების შესანიშნავი სამუხრუჭე ხუნდების, უღამაზები ალუმინის დისკების (OZ RACING, MOMO, ALUTEC), ზეთების, ფილტრების, ავტომობილისთვის საჭირო თითქმის ყველა ნაწილის შეძენა შეგიძლიათ. სულ ახლასან „ამბოლმა“ ავტომანქანის ძარის თუნექისა და პლასტმასის ნაწილებიც შემოიტანა. კიდევ ერთი სიახლე: მუდმივი კლიენტებისთვის „ამბოლი“ შემოღვმაზე სპეციალური ფასდაკლების ბარათების შემოღებას გვემავს.

ზაფხულის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით „ამბოლი“ მომხმარებელს საზაფხულო საბურავების ფართო არჩევანს სთავაზობს. კომპანიის ღირექტორი დავით ჭანტურია ავტომოუკავშირების სეზონურ სასარგებლო რჩევებსაც აძლევს:

დავით ჭანტურია: „ზამთრის საბურავების ზაფხულში მოხმარება არაგონივრულია, უმთავრესად, უსაფრთხოების თვალსაზრისით: ზამთრის საბურავები სპეციალურად ისეა შექმნილი, რომ სამუხრუჭე მანძილის, მო-



გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე გათვლილი. საბურავი, რომელმაც, როგორც წესი, 2-3 ზამთარი უნდა გაატაროს, თუმცი მისთვის შეუფერებელ სეზონზე არ შეცვლიან, ერთი ზაფხულის „გადატანის“ შემდეგაც კი უფარგისი გახდება. სწორედ ამიტომ გურჩევ ავტომობილის მფლობელებს: საბურავების სეზონურად შერჩევის შემთხვევაში უსაფრ-

თხოდაც ივლიან და საგრძნობ ეკონომიასაც გააკეთებენ.“

საქართველოში, სამუხრაროდ, ჯერ კიდევ მწვავედ დგას ფალსიფიცირებული ავტონაწილებით ვაჭრობის საკითხი. ხშირ შემთხვევაში, კლიენტის შეცდომაში შევვანის მიზნით, ფალსიფიცირებული პროდუქცია ორიგინალზე ძვირადაც იყიდება.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „ამბოლის“ მომსახურებით სარგებლობისას მომხმარებელი დაცულია უხარისხო, ფალსიფიცირებული პროდუქციისგან. ქსელში მხოლოდ ცნობილი ბრენდების უმაღლესი ხარისხის ორიგინალი ავტონაწილები იყიდება, რადგან, „ამბოლი“ ოფიციალური იმპორტორია. მეორე უპირატესობა კი ხარისხიანი პროდუქციის დაბალ ფასად შექნის შესაძლებლობა გახდავთ, რაც ნამდვილად ამართლებს „ამბოლის“ სლოგანს: „ხარისხი საუკეთესო ფასად!“

დაინტერესების შემთხვევაში „ამბოლის“ მაღაზიებს შევიძლიათ მიმართოთ შემდეგ მისამართებზე:



ცურების საწინააღმდეგო თვალსაზრისით საუკეთესო მაჩვენებლებს მხოლოდ ზამთრისთვის დამახასიათებელ ტემპერატურაზე ავლენს. სწორედ ამიტომ მათი სიცხეში გამოყენება მაღალი რისკის მატარებელია. თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე, ზამთრის საბურავები ძალიან სწრაფად ცვდება ზაფხულში მზისგან გაცხელება ბულ ასფალტზე, რადგან +7

თბილისში:

აკაკი წერეთლის გამზირი № 40 ტელ.: 8(90) 121 001;

ელიავას ბაზრობა (სამი მაღაზია)

ტელ.: 8(90) 121 002, 8(90) 121 003, 8(90) 121 009;

ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა №15 ტელ.: 8(90) 121 004;

ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №7 (ავტოპაზრობა), ტელ.: 8(90) 121 005;

დილმის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა სანაპირო ტელ.: 8(90) 121 007.

ქუთაისში:

სოფელი ქვიტირი, ავტომაგისტრალზე,

ავტონაწილების ბაზრობასთან.

დაცვილებითი იცოდვაციისათვის ესეუმრათ „ამბოლის“

ვებ-გვერდი: WWW.AMBOLI.GE



„ელგასი“

მაღარი ხარისხი და დატანი ფოსტები

PR

ჩვენი სახალისებრი სახის დაცვითი სისტემები დიდი პოტენციალით სარგებლობას. თუკი რაგდენომ ლის ნიცათ მათ, უმთავრესად, ორგანიზაციები ამონტაჟისა და დატანისათვის თითოვაული მოქალაქე დაიღილდება შეძლებისას და მათი საჭირო საფრთხოების დაცვითი სისტემების წარმოების სფეროში მსოფლიოში აღიარებული პროდუქციის ფიციალურ დისტრიბუტორადაც მოვცვევლინება სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

„ელგასი“ დაცვით სახანძრო სიგნალიზაციას, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებს, შეზღუდული შეღწევის სისტემებს, აუდიო და ვიდეო დომოფონებს, ფარულ კამერებს ამონტაჟებს ორგანიზაციებში.

„ელგასი“ დაცვით სახანძრო სიგნალიზაციას, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებს, შეზღუდული შეღწევის სისტემებს, აუდიო და ვიდეო დომოფონებს, ფარულ კამერებს ამონტაჟებს ორგანიზაციებში,

კერძო სახლებსა თუ მრავალსართულიან კორპუსებში. „ელგასის“ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია ევროპისა და შემცირებიდან შუამავლის გარეშე შემოდის, რაც, ბუნებრივია, ფასზეც აისახება. როგორც „ელგასის“ მენეჯერი დევან მინაძე განმარტავს, მათი კონკურენტებიც საკმაოდ მაღალი ხარისხის საქონელს სთავაზობენ კლიენტს, თუმცა, „ელგასის“ ფასებს, პროდუქციის ხარისხსა და მომსახურების დონეს თუ გავითვალისწინებთ, ყველაზე დაბალია. გარდა ამისა, პროდუქციის უმეტეს ნაწილზე „ელგასი“ ორნლი-



ან გარანტიას იძლევა. „ელგასის“ მომსახურებით საქართველოში მოქმედი წარმატებული კომპანიებიც სარგებლობენ.

ლევან მინაძეს ინფორმაციით, თუ აქმდე ყველაზე დიდი პოპულარობით დაცვითი სიგნალიზაციის სისტემები სარგებლობდა, ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვა სამეთვალყურეო თვალზე, რომელიც ვიდეო ჩანაწერის სახით აფიქსირებს ყველაფერს 24 საათის განმავლობაში, ერთიდან ოთხი თვის პერიოდში. პოპულარული პროდუქციის ნუსხაშია გაზის და სხვა მხუთავი აირის დეტექტორებიც. თანამედროვე ტიპის, 2010 წლის მოდელები 60 კვადრატულ მეტრზეა გათვლილი. ამავე ფართობზე მოქმედებს სახანძრო დეტექტორებიც. „ელგასის“ ჩამონათვალშია რადიოგადამცემები, უკაბელო სიგნალიზაცია, ვიბრაციული სენსორები... ამ უკანასკნელს, უმთავრესად, ბანკებში იყენებენ. აღნიშნული ტიპის ხელსაწყო კედლისა დანგრევისას ვიბრაციაზე რეაგირებს.

სამომავლოდ „ელგასი“ დიდი მაღაზიების გახსნას აპირებს, სადაც დაცვითი სისტემების სფეროში მსოფლიოში წამყვანი ბრნდების მრავალფეროვან არჩევანს შემოგვთავაზებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თბილისი,
ვახუშტი ბაგრატიონის ქ.№54
ტელ.: 34-54-03, 8(99) 56-36-22.



თვითმმართველობის პროექტის კლიუსები და მინუსები

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგია (პროექტი), რომელიც შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - „ეფუძნილი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის“ მიერ გაე-

ადგიუნდილი დოკუმენტი განსაზღვრავს მმართველობის სისტემის და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მირთმები მიმართ უდებების და უაქტობრივად წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საშუალოებადინა კონცეფციას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თახამად, ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა-განხილვა-დამტკიცება, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა მისი ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, რაც სრულად შეესაბამისობის „ადგილობრივი თვითმმართველობის ეკროპული ქარტით“ დაგენილ ადგილობრივი თვითმმართველობის ფისკალური ავტონომიის პრინციპებს.

სამწუხაოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის „ეკროპულ ქარტიასთან“ თეორიული შესაბამისობის მიუხედავად, სინამდვილეში, როგორც ეს სტრატეგიის პროექტშიც ხაზგასმითაა მითითებული, ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების ფაქტობრივი საფინანსო-ეკონომიკური აგტონომიურობის ხარისხის საქმოდ დაბალია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს: თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო შემოსავლების მცირე მოცულობა და მასში საკუთარი შემოსავლების დაბალი ხევდრითი წილი; საჯარო ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეების შორის საბიუჯეტო შემოსავლების არაადეკვატური პროპრეციით განაწილება; ადგილობრივი ბიუჯეტების სათანადოდ დახვეწილი სოციალურ-ეკონომიკუ-

რი განვითარების გამგების გარეშე შედგენა და სხვ.

რეფორმის სტრატეგიით, ძირითად მიმართულებად დასახულია ისეთ დონის სისტემით განხორციელება, როგორიცაა:

- იმ გადასახადებისა და მოსაკრებლების ნუსხის გაზრდა, რომელთა შემოღებისა და მათზე განაკვეთების დაწესების უფლება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციაში იქნება. ამასთან, საჭიროდა მიჩნეული ე.წ. გამოთანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის რეგულარულად გადასინჯვა იმ მიზნით, რომ ტრანსფერტის გამოანგარიშება დაფუძნოს ობიექტურ კრიტერიუმებს;

- სტრატეგიის პროექტით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობისათვის სასწავლო-მეთოდური დახმარების გაწევა სრულფასოვანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებაში. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში გადაცემას, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის მატერიალური, ტექნიკური და მეთოდური დახმარების გაწევას მათზე გადასაცემი ქონების აღწერა-ინვენტარიზაციის პროცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიაში ფისკალურ დაცენტრალიზაციისთვის დაგავმირებით ჯეროვანი ყერადღება უნდა მიმქცეს ბიუჯეტების ფორმირების პროცესშისადმი უფრო დრმა და პრინციპულ მიდგომებს. კინგრეტულად საქმე ეხება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის მოწესრიგებას და სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ფორმირება – ადსრულებისთვის

როს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და შვეცერის სერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის საგენტოს (SIDA) ფინანსური ხელშეწყობით, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სამართლებრივი დოკუმენტია.

გამოთანაბრებული პირობებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის დაახლოებით თანაბარი ფინანსური შესაძლებლობების შექმნას. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს „შემოსავლების განაწილების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის პერიოდულად გადახედვის საჭიროება და აუცილებლობა.

სამწუხაოდ, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობისა და ფისკალური დაცენტრალიზაციის პრობლემა გარკვეულ სისტემურ სახიათს ატარებს. ამას ის გარემოება განაპირობებს, რომ საბაზრო პრინციპებზე მუშაობის უკვე მრავალწლიანი პრაქტიკის მიუხედავად, „არ მომზდარა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიული მართვის ორგანებებს შორის ფინანსების (ბიუჯეტების) ფორმირებასა და გამოყენებაში ცენტრისა და ტერიტორიული ერთეულების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლების მკვეთრი და მაფიო გამოჯვანა“.

ბიუჯეტთაშორის ურთიერთობაში ჩამოყალიბებული გაურკვევლობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწევლია მმართველობის სახელისუფლებო დონეებს შორის უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობათა გაუმიჯნაბაში, თვალიათლივ მიუკითხა იმაზე, რომ „დღესათვის არ არსებობს ქვების ეპონომიკურ ინტერესებს მორგებული, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის მომწერიგებელი პელიტიკა, რაც, თავისთავად განაპირობებს პრეტიმალური საბრანაფერტო ფერტოლოტიკის არარსებობას“.

მოუწესრიგებულ ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებზე და მისგან გამომდინარე პრეტიმალური სატრანსფერო პოლიტიკის უქონლობაზე აშკარად მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ფი-

ნანსური რესურსების უკმარისობას განიცდის და ცენტრალური ბიუჯეტიდან სისტემატურ ფინანსურ დახმარებას ითხოვს ქვეყნის პრაქტიკულად ყველა ტერიტორიული დანაყოფი (რეგიონი) და მათში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების უმრავლესობა. შექმნილი გითარების მთავრი მიზეზი კი უნდა ვეძიოთ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებიდან საბიუჯეტო შემთხვევის მასიმალური მოცულობით ამოღების და ადგილზე მხოლოდ მცირე ნაწილის დატოვების გაუმართდებელ პრლიტეგაში.

ადსანიშვაია, რომ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის გართულებას და ცენტრსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის ფინანსური რესურსების არაოპტიმალურ განაწილებას იმთავითვე ხელი შეუწყო სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემთხველების განაწილების არასწორი პოლიტიკის გატარებას, კერძოდ, დროისა და ვითარების მიხედვით, მარეგულირებელი გადასახადების არასწორად განსახლვრამ.

ეს იმაში გამოიხატა, რომ მარეგულირებელი გადასახადების ფუნქციას 1990-2000-იანი წლების პირველ ნახევარში ასრულებდა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები და მათი სიდიდე საგადასახადო შემთხველების ერთეული პროცენტობით იზომებოდა. ხოლო, როცა ამ სახის გადასახადებიდან შემთხველები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მათ ოპერატორულად (კანონმდებლურად) დაკარგეს მარეგულირებელი ფუნქცია, რაც, ვფიქრობთ, გამართლებული არ იყო, რადგან ამით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები, ფაქტობრივად, ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ფინანსური რესურსების მუდმივ მოხვენელებად (თუ არა მათხოვრებად) გადაიცნენ.

ამასთან დაკავშირებით, არ შევცდით, თუ ვიტყვით, რომ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის, ანუ ფინანსური დეცენტრალიზაციის საკითხი უფრო უკეთესად იყო მოწესრიგებული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, სადაც სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის რესურსების მუდმივ მოხვენელებად (თუ არა მათხოვრებად) გადაიცნენ.

დალი შემოსავლის მქონე გადასახადის სახეს წარმოადგენდა და გარანტირებულად უზრუნველყოფდა ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემოსავლის დადგენილი პროცენტული წილის მიხედვით განაწილებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორი ფისკალური დეცენტრალიზაციის პოლიტიკის განსახორციელებლად, საგადასახადო შემოსავლების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის განაწილებასა და ცენტრალური ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებაში დაახლოებით გამოთანაბრებული პირობების შესაქმნელად მიზანშეწონილად მიგამარია, რომ საბიუჯეტო რეგულირების (ფისკალური დეცენტრალიზაციის) პოლიტიკა, ერთი მხრივ, ეფუძნებოდეს ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემთხველების წყაროების ოპტიმალური და სამართლიანი განაწილების პრინციპებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ადგილობრივ ბიუჯეტში საგადასახადო შემთხველების სიდიდე და კავშირებული იყოს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მუშაობის შედეგებთან.

„ადგილობრივი თვითმმართველობის „შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, თვითმმართველი ერთეული ახორციელებს სამი სახის უფლებამოსილებას, სახელმწიფო მნიშვნელობის სახელმწიფო გარემონტირებული უნდა გადაეცეს თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობებს ეჭსკლუბიურ გამგებლობაში, უნდა მოხდეს თვითმმართველ ერთეულებზე მისი დელგებირება, თუ იგი უნდა მიეკუთვნოს სახელმწიფო სელისუფლების უფლებამოსილებათა სფეროს.

ამასთან, უფლებამოსილებათა გამიჯნა აუცილებლად უნდა მოხდეს სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად, ანუ, იმდაგვარად, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის მომსახურების გაწევის და ხარჯების ანაზღაურების კომპეტენცია დაკავშიროს სახელმწიფო (ცენტრალური) მმართველობის შესაბამის ორგანოებს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობისა – ადგილობრივ თვითმმართველობებს.

ვციქრობთ, ბუნდოვანი და გაუგებარია, ვინ ან რა იგულისხმება „თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში“ და ვინაა „მუნიციპალური ხელისუფლება“, რომლის მიმართაც ამ ორგანოებმა უნდა შესარელოს „ადგილობრივ მოქალაქეთა დამაკავშირებელი როლის ფუნქცია“?

რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიაში ასევე წამოყენებულია წინადაღება, რომ „გადაიღგას ქმედით ნაბიჯები რეგიონების დონეზე მოქმედი კვაზიდეკონცენტრირებული მმართველობის სრულფასოვან მმართველობად გარდასაჭმნებლად. გაფართოვდეს გუბერნატორების უფლებამოსილებათა წრე და მათ მომავლებში მიენჭოს დამტებითი კომპეტენციები, უპირველეს ყოვლისა, რეგიონის სოციალურ-ეკო-

ლებას, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობით აკრადებული არ არის და არ ვაკეულობება ავტონომიური წარმონაქმნების უფლებამოსილებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა რეგულირების დახვეწის მიზნით პროექტით გათვალისწინებულია საჯარო უფლებამოსილებათა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების თვითმმართველობის კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში (პარმონიაში) მოვანის საჭიროება და მათი კუთვნილებადობის ზუსტად განვითარება. ამ მიზნით, საქართველოს საკანონმდებლო და ადმასრულებელმა სელისუფლებამ ცალკეული საკანონმდებლო აქტის კუთვნილებადობის გადასინჯვისას მკაფიოდ უნდა გამიჯნოს, ესა თუ ის კონკრეტული საჯარო კომპეტენცია უნდა გადაეცეს თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობებს ეჭსკლუბიურ გამგებლობაში, უნდა მოხდეს თვითმმართველ ერთეულებზე მისი დელგებირება, თუ იგი უნდა მიეკუთვნოს სახელმწიფო სელისუფლების უფლებამოსილებათა სფეროს.

ამასთან, უფლებამოსილებათა გამიჯნა აუცილებლად უნდა მოხდეს სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად, ანუ, იმდაგვარად, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის მომსახურების გაწევის და ხარჯების ანაზღაურების კომპეტენცია დაკავშიროს სახელმწიფო (ცენტრალური) მმართველობის შესაბამის ორგანოებს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობისა – ადგილობრივ თვითმმართველობებს.

ვციქრობთ, ბუნდოვანი და გაუგებარია, ვინ ან რა იგულისხმება „თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში“ და ვინაა „მუნიციპალური ხელისუფლება“, რომლის მიმართაც ამ ორგანოებმა უნდა შესარელოს „ადგილობრივ მოქალაქეთა დამაკავშირებელი როლის ფუნქცია“?

რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიაში ასევე წამოყენებულია წინადაღება, რომ „გადაიღგას ქმედით ნაბიჯები რეგიონების დონეზე მოქმედი კვაზიდეკონცენტრირებული მმართველობის სრულფასოვან მმართველობად გარდასაჭმნებლად. გაფართოვდეს გუბერნატორების უფლებამოსილებათა წრე და მათ მომავლებში მიენჭოს დამტებითი კომპეტენციები, უპირველეს ყოვლისა, რეგიონის სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების დაგეგმვის სფეროში“.

უნდა ვადიაროთ რომ, რეალურად, „კანონმდებლობით რეგიონების გუბერნატორისათვის მინიჭებულ ერთადერთი კონკრეტული სახის უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობაა“. თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, ამას ხელი არ ჟერმლია, რომ დღეს გუბერნატორებად წოდებული პრეზიდენტის სახელ-მწიფო რწმუნებულები თვითმმართველი ერთადერთი კონკრეტული გამოხატვის სახის უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობაა“.

თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, ამას ხელი არ ჟერმლია, რომ დღეს გუბერნატორებად წოდებული პრეზიდენტის სახელ-მწიფო რწმუნებულები თვითმმართველი ერთადერთი კონკრეტული გამოხატვის სახის უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო ზედამხედველი გამოხატვის სახის უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები არასათანადოდ არიან აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და სხვა საჭირო აპარატებით, რის გამოც მათში სუსტადა განვითარებული ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის კომპიუტერული სისტემები. დავიციტია შესაბამისი კადრების მხრივაც.

რეალური უფლებამოსილების შესატყისად რეგიონის სოციალურეკონიურ განვითარებაში მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმალური საქმიანობისთვის საჭიროა ინფორმაციულობის გარკვეული დონე, მაგრამ დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები არასათანადოდ არიან აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და სხვა საჭირო აპარატებით, რის გამოც მათში სუსტადა განვითარებული ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის კომპიუტერული სისტემები. დავიციტია შესაბამისი კადრების მხრივაც.

განსახილველი რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიაში ჯგროვანი ყურადღებაა გამახვილუბული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და მუნიციპალურ მომსახურებაზე, რაც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, თვითმმართველი ერთეულების ექ-

სკლუზიურ უფლებამოსილებაში შედის. თუმცა, ასეთი ხარჯების დაფინანსებისთვის სათანადო მატერიალური რესურსების არქონის გამო, ამ მიმართულებით საქმიანობა არასახარბიელო დონეზე ხორციელდება.

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება-წინადაღების განსჯა-ანალიზი და მათი გათვალისწინება ხელს შეუწყობს საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სახელმწიფო სტრატეგიის“ (პროექტის) შინაარსობრივ-ხარისხსობრივ გაუმჯობესებას და მის უფრო დახვეწილ დასრულყოფილი დონის საკანონმდებლო აქტად წარმოხნას.

ჯამლეთ შათირიშვილი, გონიომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ; ლარება შათირიშვილი, საქართველოს პარლამენტის სტაჟიორი

АНОТАЦИЯ

ПРОБЛЕМНЫЕ ВОПРОСЫ ГОСУДАРСТВЕННОЙ СТРАТЕГИИ РЕФОРМИРОВАНИЯ МЕСТНОГО САМОУПРАВЛЕНИЯ

Джамлет Шатиришвили, доктор экономических наук, профессор
Леона Шатиришвили, Парламент Грузии, стажер

Местное самоуправление является важнейшей составной частью единой системы государственного управления. Под местным самоуправлением подразумевается децентрализация системы государственного управления в разрезе административно-территориальных единиц страны с присвоением им полного правомочия управления (в пределах их компетенции) и возложения на них ответственности за результаты их деятельности.

В статье достаточно глубоко содержательно проанализированы вопросы фискальной децентрализации и межбюджетных отношений, указано на нечеткое разграничение прав и обязанност центральной власти и территориальных единиц в формировании и использовании финансовых (бюджетных) ресурсов, что отрицательно отражается на трансфертную политику государства.

Исходя из создавшейся ситуации, нами предложено: фискальная децентрализация (бюджетное регулирование) обязательно основываться на оптимальное и правильное распределение источников налоговых поступлений между бюджетами разных уровней и, в

тоже время, объем налоговых поступлений в местных бюджетах определяться по итогам работы органов местного самоуправления в мобилизации бюджетных доходов.

В научной статье при рассмотрении вопроса реформирования децентрализации и делегирования правомочий, нами обращено внимание на то, что разграничение правомочий между центральной властью и органами местного самоуправления должно осуществляться с учетом принципа субсидирования, т.е. с указанием компетенции обслуживания и оплаты связанных с ними расходов.

Что касается сферы административно-территориальной реформы, по нашему соображению, речь должна идти не об увеличении полномочий т.н. "губернаторов" (как это указано в проекте реформы местного самоуправления), которые, в действительности, стали "единовластниками" в своих регионах, а наоборот, думать о повышении их ответственности в социально-экономическом развитии региона в соответствии с не присвоенными им по закону полномочиями, а реально "прихваченными" ими правомочиями.

თემის სამართლებო მობილიზაცია – სოფლის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მექანიზმი



„ჩვენ გვიყენდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უმისოდ ჩვენი თავი ვერც კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა, ამ მიკერებამ მიწა-ზედ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შეპქმნა თვით ჩვენი ისტორიაც. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და გინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე მიწა და გუთანია.“

ილია ჭავჭავაძე

საქართველო უძველესი ავრარული კულტურის ქვეყანაა. ქართველები სამინათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავებთან იღვნებ და მინათმოქმედება მათვის არა მხოლოდ უბრალო სამურნეო საქმიანობა, არამედ, ერთგვარი ლოთის-მსახურება იყო. ყოველივე ამან განაპირობა მათი განსხვავებული ჩვეულები, სურვილები და მისწრაფებები ამ ქვეყნის ცხოვრებაში, რაც მინათმო მარატიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს და რამაც უზრუნველყო ქართველთა უმთავრესი საქმიანობის - სოფლის მეურნეობის გადაქცევა ქართული სახელმწიფოს ნარმოქმნის საძირკველად.

მიწა ქართველი გლეხეაცის-თვის არა მარტო წარმოების საშუალებაა, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელი ორგანული ნაწილია. მიწისაგან მისი მოწყვეტა არა მარტო ტრადიციული აგრარული კულტურის მოსახლეებს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საფუძვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის უუნქციის მოშლასაც გამოიწვევს.

საქართველოში ბოლო წლებში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანია და განაპირობა იმან, რომ არ განხორციელდა მიზანმიმართული ეკონომიკური და სოციალური რეფორმები. ყველაზე დიდი რეზერვი, რომლის ამოქმედება უნდა გამხდარიყო მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესების საფუძველი, უყვრადებოდ იქნა მიტოვებული.

დღეს, როდესაც აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონო-

მიური ინფრასტრუქტურისთვის დახმარების გაწევა, მოსახლეობის რეალური შესაძლებლობების გამოყენობას და რეალიზაციას განსაკუთრებული ადგილი ენიჭება. **სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ორგანულად შერტყმულ სათემო თემაზე ნიზაციებს ხელეწიფებათ თემის (სოფლის) მოსახლეობის თანამონაწილეობის დრმად გააზრებული პროექტების საშუალებით მოახდინონ ადგილებზე რეალურად არსებული ინტელექტუალური, ორგანიზაციული და სამეურნეო რესურსების მთლიანი წარმოჩენა და გამოყენება, რის შედეგადც გარედან ფინანსურ დახმარებასა და სხვა სახის დონის მიერებებს შექმნებათ წარმატებით განხორციელების ობიექტური საფუძველი.**

სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ გაააქტიურონ საზოგადოებრივი აქტივობა იმ სფეროებში, რომელებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება სხვადასხვა პირობების გამო ბუნებრივია, ჯერჯერობით არ არის მოსალოდნელი. მათი მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების შესა-

ბამისი. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც რეალურად მოქმედი ძლიერი კლემენტი და საბოლოო პარტნიორი მწვავე პრობლემების გადაჭრაში.

თემის მობილიზაციის მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ეკონომიკურ ნაწილს, რადგან სწორედ ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპზე დამყარებულ პროექტებს გააჩნიათ რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ძლიერი გარნიტიტიბი. აქ თემის მობილიზაცია შეიძლება გახდეს ტრადიციული ეკონომიკური დარგების ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მათი უფასესობის ამაღლებისა და, შესაბამისად, თემის წევრთა შემოსაფლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური შექანიზმი (რაც თავის მხრივ წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს). ამის თვალსაჩინო მაგალითთა სოფლის მეურნეობის ის დარგები, სადაც არსებობს აგროპროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ჩამოყალიბებული ტრადიციები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური

პოტენციალის უმნიშვნელოვანებას ნაწილს წარმოადგენენ. ასეთებია: მეცნიერება-მედიკობა, ხილის (მ.შ. ციტრუსი), პოსტნეულის, ჩაისა და საკონსერვო პროდუქციის წარმოება და სხვა. დღეისათვის ისინი განიცდიან მწვავე კრიზისს, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, პროდუქციის რეალიზაციისა და ამ დარგებში დაგროვილ სხვა პრობლემებთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და გადამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ინტერესების გათოშულობა წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო დარგები წარმოადგენენ მთლიანობით სისტემას, რომლის ეფექტურობა და მოკიდებულია როგორც მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტების იმანენტურ თვისებებზე, ასევე ამ როგორებს შორის არსებულ ურთიერთებავშირებზე. რაც უფრო მჭიდროა (ორგანულია) ეს ურთიერთებავშირები, მით მეტად სრულყოფილი და ეფექტურია ეს სისტემა. შესაბამისად, ამ კავშირების დარღვევა ხდება მიზეზი ამ დარგების პარალიზებისა, რომლის შედეგებიც სახემავა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის თრ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ა) პროდუქცია (ნედლეული), რომელსაც გადამუშავების გარეშე გააჩნია სასაქონლო სახე. იგი ფერმერის მიერ უშუალოდ მიერთება ბაზარს, ან, მოიხმარება პირადი ინტერესებისთვის. ასეთებია: ხილი, ბაზეული, ბოსტნეული, ციტრუსი, ნაწილობრივ – ხორცისა და რძის პროდუქტები და სხვა. ამ ტიპის პროდუქციის წარმოება, მრავალი სირთულის მიუხედავად, შედარებით მოწესრიგებულია და ამას ძირითადად ის გარემოება განაპირობებს, რომ გლეხი უშუალოდა დაკავშირებული სარეალიზაციო ბაზებთან და კონტროლს უწევს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის მიზნებისათვის.

ბ) ნედლეული, რომელიც განკუთვნილია გადამუშავებისთვის. ასეთებია: ჩაი (ჩაის ფარიკებისთვის), ყურძენი (დვინის ქარხნებისთვის), ხილი, ბოსტნეული, ბაზეული (საკონსერვო წარმოებისთვის), ხორცი და რძე (ხორცისა და რძის კომბინატებისათვის) და სხვა. სწორედ ეს

არის ის სფერო, სადაც ფერმერი იზოლირებულია სარეალიზაციო ბაზრისგან, რადგან, ასეთი პროდუქციის ერთადერთი მომხმარებელია შესაბამისი გადამუშავებელი საწარმო. ამდენად, ამ ტიპის პროდუქციის წარმოება მთლიანად დამოკიდებულია გადამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობაზე. აღსანიშნავია, რომ დარგებზე მოდიოდა ქვეყნის შიდა ეროვნული პროდუქტის ძირითადი ნაწილი და ამიტომ ისინი ეკონომიკის მთავარ ბაზისს წარმოადგენდნენ.

